გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
15 იანვარი **შაბათი** 2011
№010 (13307) ფასი 60 თეთრი




ავსტრალიის ღია პირველობა

# სუპერ დასაწყისი

პირველ წრეში ჰიუიტი-ნალბანდიანს და საფინა-კლაისტერსს ვნახავთ

14-15

# გერმანია განახლდა









## ბაგიშვილმა რადვანსკას მოუგო

ქართველების წარმატებული სტარტი

10



## მეხუთე ქართველი ესპანეთში

ბურჯანაძე კახასოლის მთავარ გუნდში

11



## ძიუდოს დიდკაცობა თბილისს ეწვევა

10

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

დინამო

# გახდება დინამო კვლავ სახალხო გუნდი?

## ვერისბაღელებს ფიფიასთან შეხვედრა სურთ

სანამ თბილისის "დინამოს" ახალი ხელმძღვანელები გაძლიერებაზე ფიქრობენ, გულშემატკივრებიც იმედოვნებენ, რომ "დინამო" კვლავ სახალხო კლუბი გახდება – ფინანსურად ძლიერი მეპატრონის გამოჩენამ ხომ გულშემატკივარში მიძინებული იმედები გააღვიძა.

ცხადია, "დინამოს" მომავალზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. პროფესორი **დევი დობორჯგინიძე** ამბობს, რომ ვერისბაღელ გულშემატკივრებს კლუბის მეპატრონე **რომან ფიფიასთან** შეხვედრა და პერსპექტივაზე საუბარი სურთ.

*"ჩვენ მზად ვართ, ყველა პრობლემაზე ვილაპარაკოთ, რადგან "დინამო" ჩვენი საყვარელი კლუბია, რომელსაც წლებია, ვქომაგობთ და დარწმუნებული ვარ, უპირველესად მეპატრონეს წაადგება მრავლისმნახველ გულშემატკივრებთან შეხვედრა და მათი აზრის მოსმენა"*, - ამბობს დობორჯგინიძე.

"დინამოს" თემა ფორუმებზეც აქტიურად განიხილება. ერთ-ერთი გულშემატკივარი წერს: *"რეალურად ვიმსჯელოთ: ძლიერი "დინამოს" ბიუჯეტი 10 მილიონი დოლარი მაინც უნდა იყოს. აქედან გამოდის, რომ ბიზნესმენის მოგება მინიმუმ 50-100 მილიონამდე უნდა მერყეობდეს, რაც საქართველოში ზღაპრის ტოლფასია. რჩება ერთი გამოსავალი – უნდა შეიქმნას ისეთი პროგრამა, რომ კლუბი მინიმუმ წაგებზე არ წავიდეს, რაც დღევანდელ პირობებში ძნელია. სამწუხაროდ, ამ დრომდე წმინდა ბიზნესის კუთხით არანაირი ინტერესი არ იყო. "დინამოს" აქტივები მხოლოდ ფეხბურთელების კონტრაქტებია, თორემ კლუბს არც სტადიონი გააჩნია და არც ბაზა საკუთარ მფლობელობაში, რითაც ინვესტორს მოხიბლავდა".*

"ქართული სპორტის ქომაგების" წევრმა **კობა კობაიძემ** კი წერილი მოგვწერა: *"მე, უპირველესად, საქართველოს ნაკრების გულშემატკივარი ვარ და შემდეგ ნებისმიერი ქართული კლუბის. თუმცა მიმაჩნია, რომ "დინამო" თუ გაძლიერდა, ამას სხვა კლუბების გამოცოცხლებაც შეუძლია და კლუბის ბედი ამიტომაც მაღელვებს.*

*ჩემი აზრით, ძალიან კარგი ფაქტია, "დინამო" რომან ფიფიამ რომ შეიძინა. პირადად ჩემი მოლოდინი კი ისაა, რომ ევროპაში ბრძოლისუნარიანი გუნდით გავიდეთ. მართალია, კლუბს ბოლო წლებში ჩავარდნა ჰქონდა, მაგრამ მთლიანობაში საქართველოში მისი წარმატებები არ გვიკვირდა, ეს არ გვაკმაყოფილებს. როდესაც ჩემპიონთა თუ ევროპის ლიგების ჯგუფურ ეტაპზე "ჟილინა", "კლუჟი", "შერიფი", ბატე და მსგავსი კლუბები გადიან, მიმაჩნია, რომ ეს "დინამოსა" და სხვა ქართულ კლუბებსაც შეუძლიათ.*

*მახარებს ის ფაქტი, რომ "დინამოს" ხელმძღვანელებმა ქართველი ფეხბურთელები დააბრუნეს: გიორგი ციმაკურიძე, დიმა ტატანაშვილი, გიორგი ფოფხაძე "დინამოს" უდავოდ გააძლიერებენ. ჩემი ოცნებაა, "დინამომ" ძველი დიდება დაიბრუნოს. კლუბის ახალმა ხელმძღვანელებმა იმედები გაგვიღვიძეს და ღმერთმა არ ქნას, მორიგი იმედგაცრუება განვიცადოთ".*

ჟურნალისტი და ფედერაციის პრესატაშე **ლაშა დვალიშვილი** "დინამოს" ახალ მეპატრონე რომან ფიფიას ესაუბრა და თავისი შეხედულებები ჩამოყალიბებული სახით გააცნო:

- თბილისის "დინამო" იყო და კვლავ უნდა გახდეს სახალხო კლუბი, იმიტომ, რომ "დინამოს" მდგომარეობაზე დამოკიდებულია ქართული საკლუბო ფეხბურთის განვითარება, ჩვენს ფეხბურთში არსებული ტენდენციები და მისი დონე.

რომან ფიფიას ფეხბურთის ფედერაციაში გავესაუბრე, როდესაც იქ პრესკონფერენცია გამართა. მინდოდა, გამეგო, რა ჩანაფიქრები ჰქონდა და ჩემი მოსაზრებებიც გავაცანი.

**- რა შესთავაზეთ?**

- ჩემი აზრით, და ეს გულშემატკივრული აზრი ჩემს დღევანდელ საქმიანობასთან არანაირ კავშირში არ არის, პირველ ეტაპზე განსახორციელებელია მნიშვნელოვანი ცვლილებები. უპირველესად, კლუბსა და ვეტერან ფეხბურთელებს შორის ურთიერთობის აღდგენას ვგულისხმობ, რაც აუცილებელია. ვფიქრობ, უნდა გაკეთდეს შემდეგი:

1. მოქმედი და "დინამოს" ცნობილი ფეხბურთელების რეგულარული შეხვედრები; 2. ფოტოებისა და მაისურების გამოფენას დიღმის ბაზაზე; 3. დინამოელთა მიერ ჩატარებული თამაშების ვეტერანებთან ერთად განხილვა. ცხადია, ეს არაფორმალურ გარემოში უნდა მოხდეს და მწვრთნელის საქმიანობაში ჩარევის მცდელობად არ უნდა გავიგოთ.

ამას გარდა, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, "დინამომ" ის სათამაშო ფორმა დაიბრუნოს, რომელშიც 1981 წლის სეზონში ასპარეზობდა. ეს სწორედ ის ფორმაა, რომლის მორგებაზეც ყველა ბავშვი ოცნებობდა და რომელთანაც ჩვენი ოცნების კლუბი გაიგივდა.

ამ ყველაფრის შედეგად, ჩემი აზრით, ფეხბურთელებს ზრდის დამატებითი სტიმული გაუჩნდებათ. გარდა ამისა, უფროს თაობაში "დინამოს" მიმართ დაკარგული ინტერესი ხელახლა გაღვივდება და დარწმუნებული ვარ, გულშემატკივართა სტადიონზე დაბრუნების ერთ-ერთი ხერხი გახდება.

"დინამო" ის კლუბია, რომლის ვარჯიშზე მოხვედრას ყველა ბავშვი ოცნებობდა და რაც უფრო მეტი შეხება ექნებათ კლუბთან, "დინამოს" სიყვარული და კლუბში მოხვედრის სურვილი ადრიდანვე გაუჩნდებათ. საამისოდ დინამოელთა ვარჯიშებზე მათი რეგულარული დასწრება აუცილებელი მგონია.

გარდა ამისა, 21-ე საუკუნეა და "დინამოს" საფირმო მაღაზიის გახსნა სჭირდება. ჯერ ერთი, ეს იქნება პრეცედენტი ქართულ საკლუბო ფეხბურთში. მეორეც, ესეც კლუბის მიმართ ყველა თაობის გულშემატკივართა ინტერესს გაზრდის. საკლუბო ატრიბუტიკის (მაისურების, შარფების, კაშნეების) გაყიდვა ამის წინაპირობა იქნება.

**- როგორი იყო ფიფიას რეაქცია თქვენს შეთავაზებაზე?**

- ბატონი რომანი დაინტერესდა და მთხოვა, წერილობითი სახით წარმედგინა ის, რაზეც ვილაპარაკეთ. მე მსგავსი წინადადება მექნება ნებისმიერი ქართული კლუბის მიმართ, რადგან დროა, ძველებური წარმოდგენებიდან ახალზე გადავერთოთ და კლუბები კი არ ჩავკეტოთ, არამედ გავხსნათ ხალხისთვის, გულშემატკივარი რომ შეეჩვიოს და კლუბის ყოველდღიურ საქმიანობაში უფრო ჩაერთოს.

**მერაბ მამულაშვილი**



ევტიჩი მაროვიჩი კუმბევი

ფოტოები: www.fcdinamo.ge

# მოდიან და მოდიან...

## დღე ერთია და გასასინჯი სამი

თბილისის "დინამო" გასაძლიერებლად ახალ-ახალ ფეხბურთელებს იწვევს. ქართველების აყვანისა და ოთხი უცხოელის გასასინჯად ჩამოყვანის შემდეგ გუშინ კიდევ სამი ფეხბურთელი მიიწვიეს. მათზე ინფორმაცია "დინამოს" პრესატაშე **გიგა გვენცაძემ** გაავრცელა:

მაკედონიელი **პანჩე კუმბევი** დაიბადა 1979 წლის 25 დეკემბერს შელეში (იუგოსლავია), მაკედონიის მოქალაქეა, **სიმაღლე** 182 სმ, **პოზიცია** ცენტრალური მცველი. უთამაშია: **1999-2000** "ბორეცი", მაკედონია 23 მატჩი (2 გოლი), **2000-03** "პობედა", მაკედონია 106 (7), **2004-08** "დუსკობოლია", პოლონეთი 52 (3), **2008-10** "ლეგია", პოლონეთი 18 (1). ეროვნულ ნაკრებში ჩაატარა 9 მატჩი (0 გოლი).

გერმანული ინტერნეტ-პორტალი "ტრანსფერმარკტი" კუმბევს 300 ათას ევროდ აფასებს.

სერბმა მარცხენა მცველმა, **ჟარკო მაროვიჩმა** 2010 წელი რუმინულ "გაზ-მეთანში" დაასრულა და **აკაკი ხუბუტიას** თანაგუნდელი იყო. სხვათა შორის, ხუბუტია თბილისში ყოფნის დროს "დინამოს" ტექნიკურ დირექტორ **მურთაზ შელიას** რომ შეხვდა, მაროვიჩზეც ელაპარაკა – კლუბის ხელმძღვანელები მასზე იმ დროისთვის უკვე აგროვებდნენ ინფორმაციას.

ხუბუტიამ გვითხრა, მაროვიჩი საინტერესო ფეხბურთელია, რომელიც "გაზმეთანში" ტყუილუბრალოდ ამოიჩემეს და ტრანსფერზე დააყენესო.

მაროვიჩი დაიბადა 1987 წლის 28 იანვარს ბელგრადში (იუგოსლავია). სერბეთის მოქალაქე. **სიმაღლე** 183 სმ, **პოზიცია** მარცხენა მცველი. უთამაშია: **2004–07** "სოპოტი", სერბეთი 49 (4), **2007-08** ბასკ, სერბეთი 18 (1) **2008-10** "გაზ-მეთანი", რუმინეთი 39 (3).

მაროვიჩის კლუბი "სოპოტი" ნამდვილად სერბული კლუბია, პოლონურ ქალაქ სოპოტში არ აგვრევია.

"ტრანსფერმარკტი" მაროვიჩს 200 ათას ევროდ აფასებს.

კიდევ ერთი გასასინჯი **მარკო ევტიჩი** დაიბადა 1982 წლის 21 მაისს. სერბეთის მოქალაქე. **სიმაღლე** 187 სმ, **პოზიცია** ცენტრალური მცველი

ბოლო კლუბი: "რუდარ პრიედორი", ბოსნია-ჰერცოგოვინა.

მარკო ევტიჩზე უფრო ვრცელი ინფორმაციის მოპოვება გაგვიჭირდა. ის ბოლო სეზონში ბოსნიურ კლუბში გამოდის, 12 შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა და ოთხი ყვითელი ბარათი მიიღო.

"ტრანსფერმარკტი" ევტიჩს 100 ათას ევროდ აფასებს.

შეგახსენებთ, რომ "დინამოში": უკვე ისინჯებიან ინგლისელი მცველი **დანიელ ოდონელი**, ალჟირელ-ფრანგი გამთამაშებელი **სემი დერასი**, იტალიაში მცხოვრები **ანდრეა ტოდოროვი** და ახალზელანდიელი თავდამსხმელი **კრის ბრაიტი**.

**მერაბ მამულაშვილი**

ამბები

## სიონში გოგობერიშვილიც გამოჩნდა

ბოლნისის "სიონი" სეზონის მეორე ეტაპისთვის მზადებას განაგრძობს. გუნდს შეუერთდა მთავარი მწვრთნელი **გიორგი ყიფიანი**, რომელიც მცირე ხნით ისრაელში იმყოფებოდა. ბოლნისელთა რიგებში კვლავ გამოჩნდნენ ახალი ფეხბურთელები, თავდამსხმელებთან **სანდრო იაშვილთან** და **რევაზ ჯიქიასთან**, მცველ **ალექსანდრე ინწკირველთან** ერთად „სიონში" ნახევარმცველი **ალექსანდრე გოგობერიშვილი** და მცველი **დავით ბაქრაძე** ვარჯიშობენ. გუნდის ნახევარმცველი **ვლადიმერ უგრეხელიძე** ალბათ გუნდს შეიცვლის. ბოლნისელთა მთავარ და სარეზერვო გუნდებში სამ ათეულზე მეტი ახალწვეულია, მიმდინარეობს სელექციის პროცესი და დამრჩენ-წამსვლელთა ვინაობა თანდათან გაირკვევა.

ბოლნისელები დღეს სტუ-სთან საბურთალოზე, "მარაკანაზე" ამხანაგურ მატჩს გამართავენ, 18 იანვარს კი თბილისის "დინამოს" გაეჯიბრებიან. "სიონი" 21 იანვარს ურეკში გამგზავრებას გეგმავს. სავარაუდოდ, წასვლამდე გაირკვევა გუნდში დამრჩენთა დიდი ნაწილის ვინაობა. ქვემოქართლელები ზღვისპირეთშიც ჩაატარებენ საკონტროლო თამაშებს.

**დავით ცაბაძე**

## საკონტროლო გრიგოლეთში

გუშინ ზუგდიდის "ბაიამ" მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდი ფოთის "კოლხეთს" გაეჯიბრა, რომელიც კვლავ მთავარი მწვრთნელის გარეშეა. მართალია კოლხთა თავკაც **ბესიკ შეროზიას** კლუბი არ დაუტოვებია, მაგრამ გუნდის მომავლის გარკვევას ელის და მის არყოფნაში ბიჭებს დუბლშემადგენლობის თავკაცი **ზაზა ინიაშვილი** ავარჯიშებს. გრიგოლეთში გამართული მატჩი ფრედ დასრულდა - მეტოქეებმა თითო ბურთი გაცვალეს. ანგარიში ზუგდიდელებმა გახსნეს, 35-ე წუთზე **შოთა ლომიამ** "ბაია" დააწინაურა. 57-ე წუთზე თავი "კოლხეთში" დაბრუნებულმა **პაატა ცხვიტარიამ** გამოიჩინა. ინიაშვილის გუნდს მოგებაც შეეძლო, მაგრამ **მანუჩარ ნიქარიშვილმა** 77-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა.

გუშინ ჩატარებულ საკონტროლო შეხვედრაში გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

ბაია: **მაქაცარია, აქუბარდია, სვირავა, რ. ონიანი, თ. აკობია, რიგვავა, სიხარულია, გუჯეჯიანი, გ. ქირია, ლომია, ეხვაია.**

*შეცვლაზე შევიდნენ:* **ვართაგავა, მალიჩავა, ჩანგელია, კუკავა, ქობალია, მამულია, ქვარცხავა, კ. ახალაია.**

კოლხეთი: **ლატარია, ცხვიტარია, ბარამიძე, ქორჩილავა, გეგელია, მოისწრაფიშვილი, გოგონაია, ყურუა, გულუა, მეგრელიშვილი, ნიქარიშვილი.**

*შეცვლაზე შევიდნენ:* **კუკულაძე, კვირაია, გელაჭეიშვილი.**

**დავით ცაბაძე**

## ვიტესში რვა ქართველია

თურქულ შეკრებაზე არნემის "ვიტესში" რვა ქართველი ემზადება: **გურამ კაშია** და **გიორგი ჭანტურია** (რომლებიც აქამდეც ირიცხებოდნენ კლუბში) მთავარ გუნდში ვარჯიშობენ, "საბურთალოს" და 19-წლამდელთა ნაკრების წევრები, **დავით ხოჭოლავა, ვაკო ყაზაიშვილი,** აგრეთვე საფეხბურთო სკოლა "ოლიმპის" ოთხი მოთამაშე (რომელთა ასაკიც 15 წელს არ აღემატება) არნემული კლუბის დუბლშემადგენლობაში ინვრთნებიან.

ყაზაიშვილმა და ხოჭოლავამ "ვიტესი 2"-ში საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს. არნემელებმა მეიჯორ ლიგის ერთ-ერთ კლუბთან ითამაშეს და 3:0 გაიმარჯვეს. ყაზაიშვილი და ხოჭოლავა ჰოლანდიურ კლუბს თითო გოლით შეეწივნენ. თუმცა ჯერ არც ერთი გასასინჯი ფეხბურთელის საკითხი არ გადაწყვეტილა.

**მერაბ მამულაშვილი**

## გაბედავა ისევ ილიჩივეცში?

უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრის დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მარიუპოლის "ილიჩივეცი" და **გიორგი გაბედავა** კონტრაქტის გაწყვეტაზე შეთანხმდნენ. ამას კლუბის ოფიციალური ვებგვერდი იუწყებოდა და ამ საქმეში გადამწყვეტი როლი "ილიჩივეცის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ვალერი იარემჩენკომ** შეასრულა. დონეცკის "შახტარის" დუბლშემადგენლობის ყოფილმა დამრიგებელმა კლუბში დონბასელი ახალგაზრდობა მიიყვანა, გაბედავა და კიდევ ექვსი ფეხბურთელი კი გაუშვა. თუმცა შევიტყვეთ, რომ გაბედავა ახლა ისევ "ილიჩივეცში" ვარჯიშობს და გამორიცხული არაა, კვლავ ამ კლუბში ითამაშოს.

როგორც "გაგრას" ვიცე-პრეზიდენტმა **გოდერძი ჩიხრაძემ** გვითხრა: *"იარემჩენკოს გაბედავა თავიდან არ მოეწონა და ეს ლოგიკურიც იყო. მან ის ნახა კიევის "დინამოსთან" მატჩში, რომელშიც კლუბი 0:9 დამარცხდა. მაგრამ წლეულს ვარჯიშებზე დააკვირდა და მასში საინტერესო თვისებები დაინახა. გამორიცხული არ არის, ის მაინც დატოვონ. ყოველ შემთხვევაში, ამის შანსი არსებობს. ყველაფერი კი ამ დღეებში გადაწყდება".*

შეგახსენებთ, რომ მარიუპოლში ჩაირიცხა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი **თორნიკე ოქრიაშვილი**, რომელიც "შახტარს" ეკუთვნის, "ილიჩივეცში" კი ნახევარწლიანი იჯარით ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

## ხსოვნის ტურნირი

ქართული და საბჭოთა ფეხბურთის ვარსკვლავის **გიორგი სიჭინავას** ვაჟი **გოგა** მამის კვალს გაჰყვა. ის პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა და 1985 წელს თბილისის "დინამოში" რამდენიმე გაგრელ ახალგაზრდასთან ერთად მიიწვიეს, რომელთა შორისაც იყო შემდგომში საქართველოს ნაკრების მცველი და "ამერის" მთავარი მწვრთნელი **გიორგი ჩიხრაძე**.

უმცროსმა სიჭინავამ კარიერა ნაადრევად დაასრულა, მაგრამ ფეხბურთთან კავშირი არ გაუწყვეტია. იყო "გაგრას" პარტნიორი და ერთ-ერთი ხელშემწყობი, უცხოური ტურნეებისა და საკონტროლო შეხვედრების ორგანიზატორი.

ორი წლის წინ გოგა სიჭინავა კიევში მოკლეს. მას შემდეგ აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია და კომპანია "გაგრა-სანდორა" მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ ბავშვთა ტურნირს ატარებს.

წლევანდელი ტურნირი გუშინ დიღომში, ოლიმპიური მომზადების ცენტრში დასრულდა – ფინალში "ლოტკინმა" "მერანი" 3:1 დაამარცხა.

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384.* *ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# დასვენება მორჩა, მზადება გრძელდება

თვეზე ნაკლები რჩება საქართველოს ჩემპიონატის განახლებამდე - 12 თებერვალს გადამწყვეტი ეტაპი დაიწყება; მანამდე კი უმაღლესი ლიგის გუნდების უმრავლესობამ საახალწლო-საშობაო „არდადეგები" უკან მოიტოვა და მეორე ეტაპისათვის მზადება დაიწყო. რა თქმა უნდა, მზადება ყველას არაერთგვაროვანი რომ ექნებოდა, ამას ბევრი მარჩიელობა არც სჭირდებოდა: სატურნირო ცხრილში პირველ ოთხ ადგილზე მყოფი გუნდები ინტენსიურ ვარჯიშებსა და საკონტროლო მატჩებს ჯერ ადგილზე ატარებენ, მერე კი უცხოურ შეკრებაზეც გაემგზავრებიან; გუნდების მეორე კატეგორია (ეგრეთ წოდებული საშუალო ფენა) საქართველოს შავიზღვისპირეთს მიაშურებს და რჩება ორი-სამი გუნდი, რომელთა მომავალიც დღეისთვისაც ბუნდოვანია.

...გადამწყვეტი ეტაპისათვის მზადებისა არ იყოს, „სატრანსფერო ბაზარზე" უმაღლესი ლიგის გუნდების აქტიურობაც არაერთგვაროვანია: ზოგი მნიშვნელოვნად ძლიერდება, ზოგი ძველ შემადგენლობას ინარჩუნებს, ხოლო ზოგიერთ კლუბში (საბედნიეროდ, უმცირესობას ვგულისხმობთ) ჯერ ისიც არ იციან, გუნდში რა კონტინგენტი ეყოლებათ. ყოველივე ზემოთქმულის „ანარეკლია" ჩვენი „სატრანსფერო ცხრილიც", - პირველი ეტაპის დასრულებიდან მეორედ რომ გვინდა შემოგთავაზოთ. „სატრანსფერო მიდი-მოდი" პირველად 23 დეკემბერს გამოვაქვეყნეთ და იმდროინდელთან შედარებით ამჯერად ბევრ სიახლესაც ნახავთ. ყოველ შემთხვევაში, აშკარად თვალში საცემია, მეორე ეტაპზე თუ როგორი სახეშეცვლილი შემადგენლობა ეყოლებათ თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს". თუმცა, აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ბოლო წლებში ქართული საკლუბო ფეხბურთისათვის დამახასიათებელი „სატრანსფერო ზღაპრები": ამა თუ იმ გუნდში გასასინჯად უცხოელებს ჩამოიყვანენ და სპორტულ მედიაშიც „ერთი ამბავი" ატყდება ხოლმე. სინამდვილეში კი, აღმოჩნდება, რომ ფართოდ რეკლამირებული ეს უცხოელი ფეხბურთელები ჩვენებურებს არათუ ვერ სჯობიან, საერთოდაც, სპორტის ამ სახეობასთან... „მწყრალად" არიან! რა თქმა უნდა, ამას ყველა პოტენციურ ლეგიონერზე ვერ ვიტყვით, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ წინა სეზონთან შედარებით საქართველოს ჩემპიონატში უცხოელ ფეხბურთელთა რიცხვი შესამჩნევად შემცირდა; უფრო მეტსაც ვიტყვით: XXII ჩემპიონატში დებიუტი არც ერთ ლეგიონერს ჰქონია და იმის მიუხედავად, რომ ამჟამად ორ ქართულ გუნდში ამ დროისათვის ცხრა უცხოელი ფეხბურთელი ისინჯება, ნურავის გაუკვირდება, თუ ყველა მათგანს... მალევე დაემშვიდობებიან...

...პირველი ეტაპის გამარჯვებულმა „ზესტაფონმა" მზადება ადგილზე დაიწყო და როგორც უკვე „ტრადიციად" იქცა, გუნდი უცხოურ შეკრებაზეც გაემგზავრება. თანაც, ისე როგორც წინა წლებში, **გია გეგუჩაძის** გუნდი ამჯერადაც ევროპის ცნობილ კლუბებთან ჩაატარებს სპარინგმატჩებს და არც ის ფაქტია უმნიშვნელო, რომ ესპანურ შეკრებაზე მყოფი „ზესტაფონი" ამჯერადაც იასპარეზებს მარბელიის პრესტიჟულ ტურნირზე. სხვათა შორის, არც ის გაგვიკვირდა, „ზესტაფონიდან" რომ ჯერჯერობით არავინ წასულა; ეგ კი არა, რამდენიმე ახალწვეულის გამოჩენასაც უნდა ველოდოთ და ამჯერად გუნდში მხოლოდ ორი ხორვატი ფეხბურთელი (**გორან გრუიცა, მარინ ვუჩიმოლივიჩ-გრგიჩი**) იმყოფება სინჯებზე.

უფრო ადრე დაიწყო მზადება ქვეყნის ჩემპიონ „ოლიმპმა" და დებიუტანტი მწვრთნელის, **თორნიკე მაისურაძის** გუნდმა ერთი საკონტროლო მატჩის („სიონთან" - 1:3) ჩატარებაც მოასწრო. „ოლიმპი" ერთ კვირაში თურქეთში გაემგზავრება შეკრებაზე და ეს ფაქტი მართლაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია: კლუბის ხუთწლიან ისტორიაში, თუ არ ვცდებით, მხოლოდ მეორე შემთხვევაა, მოსამზადებელ ეტაპს გუნდი უცხოეთში რომ გაივლის. ისიც „უცნაურია", რომ „ოლიმპში" განსაკუთრებული ცვლილებები (ამ ეტაპზე) არ მომხდარა: ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელთაგან გუნდიდან მხოლოდ **გრიგოლ ჭანტურია** და **გიორგი ბერიშვილი** წავიდნენ, ხოლო პოტენციურ ახალწვეულთა შორის **გელა ხუბუა** და **გიორგი მოდებაძე** უნდა ვახსენოთ. თუმცა, დარწმუნებული ვართ, მეორე ეტაპის დაწყებამდე „ოლიმპში" არაერთ ცვლილებას ვიხილავთ; აი, „დინამო" ბოლოს როდის იყო „სატრანსფერო ბაზარზე" ასეთი აქტიური, ველარც გაგვიხსენებია! თითქმის ასი პროცენტით გადაწყვეტილია, რომ ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კლუბს ცნობილი ბიზნესმენი **რომან ფიფია** უპატრონებს და ეს კი იმის წინაპირობაა, რომ გუნდის სამწვრთნელო შტაბსა თუ მოთამაშეებს... ფეხბურთის გარდა სხვა საფიქრალი არაფერი ჰქონდეთ. უმთავრესი ცვლილება სამწვრთნელო შტაბს შეეხო: მთავარ მწვრთნელად კვლავაც **კახა კაჭარავა** იმუშავებს, ვისაც ამიერიდან **ზაურ სვანაძე** მიეხმარება; სასიამოვნო სიახლეა ისიც, რომ კაჭარავას მსგავსად, მშობლიურ კლუბს ხანმოკლე პაუზის შემდეგ **შოთა კაშია** დაუბრუნდა; ზუგდიდის „ბაიადან" ორი პერსპექტიული ფეხბურთელის (**თორნიკე ზარქუა, ნიკა კვეკვესკირი**) დამატებაც კლუბისთვის წარმატებულ ტრანსფერად უნდა შეფასდეს, ისე როგორც ბოლო დროს უცხოეთში მოასპარეზე მოთამაშეების (**დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი ფოფხაძე, გიორგი ციმაკურიძე**) „დინამოში" ჩამოყვანა. აი, რაც შეეხება გუნდში სინჯებზე მყოფ უცხოელებს (**დანიელ ოდონელი, კრის ბრაიტი, სემი დერასი, ანდრეა ტოდოროვი, პანჩე კუმბევი, მარკო მაროვიჩი, მარკო ევტიჩი**), ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, ამათგან რომელი გააგრძელებს კარიერას საქართველოს ჩემპიონატში. თუმცა, „დინამოს" დანაკლისიც აქვს, თანაც, სოლიდური (ამ შემთხვევაში „ხარისხს" ვგულისხმობთ, და არა - რაოდენობას): კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა **დავით მუჯირს**, რუსულ პრემიერლიგაში გააგრძელებს კარიერას **მათე ვაწაძე**, ხოლო **ლევან ხმალაძე** უკრაინულ „ზარიაში" ცდილობს მოწყობას.



შოთა კაშია ფოტო: www.fcdinamo.ge

ზემოთ ნახსენები სამი გუნდი მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონობისათვის იბრძოლებს, აი, „ვიტ ჯორჯიას" კი ძირითადი აქცენტი, ალბათ, თასის გათამაშებაზე ექნება გადატანილი. თუმცა, ჯერჯერობით გაურკვეველია, სად გააგრძელებენ კარიერას „ვეტერინართა" შემადგენლობაში შემორჩენილი სამი გამოცდილი ფეხბურთელი: **დავით ლომაია, ჯაბა ლიპარტია** და **ირაკლი კლიმიაშვილი**. მატებას რაც შეეხება, „ვიტ ჯორჯიამ" არც ამჯერად უღალატა საკლუბო პოლიტიკას და მეორე ეტაპისათვის პირველი ლიგიდან ყველასათვის უცნობი ჭაბუკი ფეხბურთელები (**ლაშა გაბრიჭიძე, გიგა ჯულელი, ილია ქავთარაძე**) დაიმატა, პლუს „ტორპედოდან" დაიბრუნა ახალგაზრდა შემტევი **მიხეილ როსტიაშვილი**. ისე, „ტორპედო" ვახსენეთ და, ალბათ, უპრიანიც იქნებოდა, რომ ამ ეტაპისათვის სატრანსფერო სიახლეებზე საუბარი სწორედ ქუთაისური გუნდით დაგვეწყო. აი, აქ არის ცვლილებები, თუ არის: „ტორპედომ" ქართულ „სატრანსფერო ბაზარზე" მართლაც რომ საგრძნობლად იაქტიურა და ყოველივე ეს ამ გუნდის ქომაგებს განსაკუთრებულ ოპტიმიზმსაც უტოვებს. რაც მთავარია, ახალწვეულთა თითქმის აბსოლუტურმა უმრავლესობამ გუნდის შემტევი პოტენციალი უნდა გააძლიეროს: პირველ ეტაპზე „ტორპედოს" ყველაზე მეტი პრობლემა ხომ წინა ხაზში ჰქონდა. ქუთაისური გუნდის ახალწვეულები არიან: **გრიგოლ დოლიძე, ლუკა გუგუჩია, ლევან ქებაძე, ლევან ბაკურაძე, დავით კირკიტაძე, ნიკოლოზ მაისურაძე** (ნახევარმცველები), **გიორგი მეგრელაძე, რევაზ გოცირიძე** (ფორვარდები). ისიც სასიამოვნო სიახლეა, რომ გარკვეული პაუზის შემდეგ საქართველოს ჩემპიონატს უბრუნდება **გიორგი სეთურიძე** - ეს სწრაფი მარჯვენაფლანგელი **გია გიგატაძის** გუნდს რომ დიდად გამოადგება, ამაში ეჭვი არ გვეპარება, ისევე როგორც იმაში, რომ მეორე ეტაპზე „ტორპედო" საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

როგორც შეამჩნევდით, დღეს მხოლოდ ის ხუთი გუნდი ვახსენეთ, მეორე ეტაპზე მხოლოდ და მხოლოდ ამბიციური მიზნები რომ ექნებათ; დანარჩენ ხუთეულზე კი - „ლელოს" შემდეგ ნომერში ვისაუბრებთ.

გვერდი მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**

## სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება/ საკონტრ. მატჩები |
|---|---|---|---|
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | - | გრუიცა, ვუჩიმილოვიჩ-გრგიჩი (ორივე - ხორვატია) | 8 იანვრიდან ზესტაფონში<br>24 იანვრიდან ესპანეთში |
| ოლიმპი<br>თორნიკე მაისურაძე | ყაზაიშვილი, ხოჭოლავა (ორივე - ვიტესი ჰოლანდია), ჭანტურია (?), ბერიაშვილი (თურანი, აზერბაიჯანი), ახალკაცი (გორი) | ხუბუა (ბაია), გ. მოდებაძე (თურანი, აზერბაიჯანი) | 4 იანვრიდან რუსთავში<br>20 იანვრიდან თურქეთში |
| დინამო<br>კახა კაჭარავა | **ვაწაძე (ვოლგა, რუსეთი)**, მუჯირი (კონტრაქტი დაუმთავრდა), მეტრეველი (სპარტაკი), ხმალაძე (ზარია, უკრაინა) | **კახა კაჭარავა (მთავარი მწვრთნელი), ზაურ სვანაძე (მთავარი მწვრთნელის ასისტენტი), შ.კაშია (სპარტაკი), გ. ფოფხაძე (ვიბორგი, დანია), ზარქუა, კვეკვესკირი (ორივე - ბაია), ციმაკურიძე (უგუნდოდ), ტატანაშვილი (მეტალურგი ზ. უკრაინა)**, ოდონელი (ინგლისი), ბრაიტი (ახ. ზელანდია), დერასი (ალჟირი), ტოდოროვი (ბულგარეთი) კუმბევი (მაკედონია), მაროვიჩი, ევტიჩი (ორივე - სერბეთი) | 3 იანვრიდან თბილისში<br>დინამო-სტუ 3:1<br>23 იანვრიდან ანთალიაში |
| ვიტ ჯორჯია<br>მერაბ კოჭლაშვილი | დ. ლომაია (კონტრაქტი დაუმთავრდა), ლიპარტია (?), კლიმიაშვილი (?) | **გაბრიჭიძე, ჯულელი (ორივე მეშახტე), ქავთარაძე (ნორჩი დინამო), როსტიაშვილი (ტორპედო, იჯარა დაუმთავრდა)** | |
| ბაია<br>ელგუჯა ქომეთიანი | **მეგრელაძე (ტორპედო), გუგუჩია (ტორპედო, იჯარით), კვეკვესკირი, ზარქუა (ორივე - დინამო), დოლიძე (ტორპედო), ჭიჭვეიშვილი (კარიერა დაასრულა)**, სომხიშვილი (?), ზუხბაია (?), გოგობერიშვილი (?), ხუბუა (ოლიმპი), კ. ჩხეტიანი (?), გ.მ. ხიდეშელი (?), ლ. ახალაია (?), კანდელაკი (ვიტესი, ჰოლანდია), ლ. აკობია (ულისი, სომხეთი) | | 3 იანვრიდან ზუგდიდში<br>ბაია-კოლხეთი 1:1 |
| ტორპედო<br>გია გიგატაძე | **როსტიაშვილი ( ვიტ ჯორჯია, იჯარა დაუმთავრდა)**, ზ. ხაჭიპერაძე (?), კვერნაძე (?), ლ. კირკიტაძე (?), ბიბილაშვილი (?), ცნობილაძე (?), ნ. კვასხვაძე (?) | **გვარამაძე (მეკარეების მწვრთნელი, სპარტაკი)**, მეგრელაძე, დოლიძე (ორივე - ბაია), გუგუჩია (ორივე - ბაია, იჯარით), მაისურაძე (სპარტაკი), ქებაძე, დ. კირკიტაძე, ბაკურაძე (სამივე - სამტრედია), რ. გოცირიძე (სიონი), ხარაბაძე (?), ანდრიაძე (?) | 3 იანვრიდან ქუთაისში<br>22 იანვრიდან ანთალიაში |
| სიონი<br>გიორგი ყიფიანი | რ. გოცირიძე (სიონი) | ჩირიკაშვილი (უგუნდოდ), რ. ჯიქია, ინწკირველი, (ორივე - კოლხეთი), ს. იაშვილი (უგუნდოდ), რეხვიაშვილი (უგუნდოდ) | 25 დეკემბრიდან - ბოლნისში<br>კოლხეთი-სამტრედია 1:1<br>20 იანვრიდან - იალტა (უკრაინა) |
| კოლხეთი<br>ბესიკ შეროზია | ჭითანავა, ჯოჯუა (ორივე - გორი), გ. შენგელია (?), სტურუა (?), ექონია (?), მახვილაძე (?), ო. გველესიანი (თურანი, აზერბაიჯანი), გ. დეკანოსიძე (?), სილაგავა (?), ინწკირველი რ. ჯიქია (ორივე - სიონი), თედიაშვილი (?), სიჭინავა, ციცხვაია (ორივე გაგრა) | | 20 იანვრიდან - ფოთში<br>კოლხეთი-სამტრედია 3:1<br>ბაია-კოლხეთი 1:1 |
| სამტრედია<br>? | **გელა სანაია (მთავარი მწვრთნელი), ქებაძე, დ. კირკიტაძე, ბაკურაძე (სამივე - ტორპედო)** | | კოლხეთი-სამტრედია 3:1 |
| სპარტაკი<br>ბადრი კვარაცხელია | **გალდავა (?), ჩალაძე (მარტვილი), მამუდოვი (?), ბაბულაიძე (?), ცინცაძე (?), კორსანტია (?), სარალიძე (?), თავბერიძე (?), ფურცელაძე (?), ძაგანია (?), მაისურაძე (ტორპედო)**, შ. კაშია (დინამო) | **ლურწკაია (მეკარეების მწვრთნელი)**, მანჩხავა (უგუნდოდ), მეტრეველი (დინამო) | 27 დეკემბრიდან - თბილისში<br>სპარტაკი-სიონი 1:1<br>10 იანვრიდან - შავი ზღვის პირეთში |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი*

უცხოური ფეხბურთი

● გერმანია. ბუნდესლიგა. XVIII ტურის წინ



გამოჯანმრთელებული არიენ რობენი და ჰოფენჰაიმიდან ნაყიდი ლუის გუსტავო სრულ მზადყოფნაში არიან!

# ბაიერნი დიდ ოპერაციას იწყებს!

## წინ, დორტმუნდის ბორუსიასკენ - რიბერისთან, რობენთან, ახალწვეულ ლუის გუსტავოსთან და ახალგაზრდა მეკარე კრაფტთან ერთად

**დღეს**

**ვერდერი-ჰოფენჰაიმი** 18:30
**დისკვალიფიკაცია:** სალიჰოვიჩი (ჰოფენჰაიმი)
**ტრავმა:** ბიონიში, ნალდო, დ. შმიდტი, ვესლი - ობასი

**შტუტგარტი-მაინცი** 18:30
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბულარუზი, აუდელი - სვენსონი, შლიშკოვიჩი

**ვოლფსბურგი-ბაიერნი** 18:30
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბრააფჰაიდი, კროოსი, ოლიჩი (ბაიერნი)

**ნიურნბერგი-ბორუსია (მ)** 18:30
**დისკვალიფიკაცია:** ბობადილია (ბორუსია)
**ტრავმა:** ნილსონი, ფრანტცი, გიუნდოგანი, ბუნიაკუ - ბრუვერსი, დანტე, მატმური

**ზტ. პაული-ფრაიბურგი** 18:30
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** მორენა - პუპლინი, კრმასი, ტოპრაკი, იეგერი, ვილიამსი, ბეხმანი, რაიზინგერი

**შალკე-ჰამბურგი** 21:30
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** დიკმაიერი, მატიისენი, კასტელენი, გერერო, პეტრიჩი (ყველა ჰამბურგი)

**ხვალ**

**აინტრახტი-ჰანოვერი** 18:30
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კრისი, ფრანცი, პეტკოვიჩი, რუსი, ვასოსკი, ბაირამოვიჩი - მილერი, ანდრეასენი, კარლიტოსი

**კაიზერსლაუტერნი-კიოლნი** 20:30
**დისკვალიფიკაცია:** ბუგერა, ტიფერტი (კაიზერსლაუტერნი)
**ტრავმა:** შიმუნეკი - ბრეჩკო, იანულისი, მაკინო, მაკენა, მოჰამადი, ჟაჟალო, იონიტა

მეორე წრის პირველი ტურის ცენტრალური მატჩი გუშინ, ლევერკუზენში გაიმართა - „ბაიერმა" „შემოდგომის ჩემპიონ" „დორტმუნდს" უმასპინძლა. თუმცა დღეს და ხვალაც საკმაოდ საინტერესო შეხვედრები გაიმართება, რომელთაგან რამდენიმე აშკარად გამორჩეული პაექრობაა. მაგალითად, დღეს „მანჩესტერ სიტიში" გადასული **ედინ ჯეკოს** გარეშე დარჩენილი „ვოლფსბურგი" მიუნხენის „ბაიერნს" უმასპინძლებს.

### კრაფტის „ნათლობა" მგლებთან

მიუნხენელები მეორე წრის დაწყებას მოუთმენლად ელოდებოდნენ. „ბაიერნის" მიზანი „დორტმუნდის" წნეხის ქვეშ მოქცევაა და მიუხედავად იმისა, რომ რეკორდმაისტერს „ბორუსიამდე" 14 ქულა აკლია, ბავარიელებს შემართება არ აკლიათ. **ლუის ვან გაალის** გუნდმა მიზნის მისაღწევად პირველი ნაბიჯი „ვოლფსბურგის" დამარცხებით უნდა გადადგას. ჰოლანდიელ სპეციალისტს ლაზარეთიდან **არიენ რობენი** დაუბრუნდა, რაც „ბაიერნის" ქომაგებისთვის ყველაზე სასიხარულო ინფორმაციაა. როგორც იცით, ჯანმრთელია **ფრანკ რიბერიც**, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბაიერნში" რობენისა და რიბერის დუეტი აღსდგება - სხვათა შორის, ამ სეზონში პირველად. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ იანვრის დასაწყისში ბავარიელებმა „ჰოფენჰაიმიდან" საყრდენი ნახევარმცველი **ლუის გუსტავო** იყიდეს (15 მილიონად), რომელზეც უდიდეს იმედებს ამყარებენ.

რობენის, რიბერის და ლუის გუსტავოს გარდა, ყურადღების ცენტრში იქნება „ბაიერნის" ახალგაზრდა მეკარე **თომას კრაფტიც**, რომელიც ვან გაალმა იანვრის დასაწყისში რეკორდმაისტერის პირველ მეკარედ გამოაცხადა (**ჰანს-იორგ ბუტი** სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებს).

„ვოლფსბურგისთვის" კი დღეიდან სრულიად ახალი ერა იწყება - ერა ედინ ჯეკოს გარეშე. ბოსნიელმა თავდამსხმელმა „ვოლფსბურგში" გატარებული სამწლინახევრის განმავლობაში 66 გოლის გატანა შეძლო და გერმანიის ექსჩემპიონის მთავარი გოლეადორი გახლდათ, რამდენიმე დღის წინ კი ქვემოსაქსონიური კლუბი დატოვა და „მანჩესტერ სიტის" მიაშურა. ეს იმას ნიშნავს, რომ „ვოლფსბურგის" მწვრთნელმა **სტივ მაკლარენმა** ბრაზილიელ თავდამსხმელ **გრაფიტეს** ახალი პარტნიორი უნდა უპოვოს. რაკი „მგლებს" ჯერ არავინ შეუძენიათ (და ალბათ არც შეიძენენ), უმთავრესი კანდიდატი **მანჯუკიჩია**. ამასთან, „ვოლფსბურგს" ახალი კაპიტანიც სჭირდება.

### გლადბახი და შტუტგარტი გადარჩენისთვის ბრძოლას იწყებენ

დღესვე საქმეში ის გუნდებიც ჩაერთვებიან, რომლებმაც პირველი წრე ყველაზე ცუდად ჩაატარეს. აუტსაიდერ „გლადბახს" „ნიურნბერგთან" უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის. სწორედ ამ შეხვედრამ უნდა გამოაჩინოს, რამდენად შეუძლია მიონხენგლადბახურ კლუბს ვითარების გამოსწორება. გუნდში სამი ახალწვეულია - **შტრანცლი, ჰანკე** და **ნორდტვეიტი**, რაც მიონხენგლადბახელ ფანობას ოპტიმისტურად განწყობის საშუალებას აძლევს. თუმცა აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ბორუსიას" დაცვის ბურჯი **ბრუვერსი** დაუშავდა, რაც მწვრთნელ **მიხაელ ფრონტცეკისთვის** სერიოზული პრობლემაა. მაგრამ საკადრო პრობლემები „ნიურნბერგსაც" აქვს, თანაც, უფრო სერიოზული - მარტო **ნილსონისა** და **გიუნდოგანის** ტრავმები რად ღირს. ალსანიშნავია, რომ ფრანკებს იანვრის სატრანსფერო პერიოდში არავინ შეუძენიათ.

„გლადბახის" დარად, მომავალს ოპტიმისტურად უყურებენ „შტუტგარტშიც" - გუნდში, რომელმაც პირველი წრე მისთვის უჩვეულო, ბოლოსწინა ადგილზე დაასრულა. მართალია, შვაბებმა მწვრთნელი ჯერ კიდევ მეორე წრის დასრულებამდე გამოცვალეს და გუნდი **ბრუნო ლაბადიას** ჩააბარეს, მაგრამ ამ სპეციალისტმა დეკემბერში „შტუტგარტის" თამაშში რაიმე კორექტივების შეტანა ველარ მოასწრო. შვაბთა მეტოქე დღეს პირველი წრის უმთავრესი აღმოჩენა „მაინცია" - გუნდი, რომელმაც პირველი წრე ყველასათვის მოულოდნელად მეორე ადგილზე დაასრულა. საინტერესოა, როგორ დაიწყებენ „კარნავალელები" სეზონის მეორე ნახევარს. შეგახსენებთ, რომ **თომას ტუხელის** სამწყსოს სეზონის სტარტზე რვა თამაშიდან რვა მოგება ჰქონდა.

### რა დღეშია ვერდერი? ჰოფე ბას გარეშე

სეზონის პირველი ნახევარი „ვერდერმაც" ამაზრზენად ჩაატარა და პოზიტიური ასპექტები ვერც მოსამზადებელ შეკრებაზე გამოამჟღავნა. „მუსიკოსები" ტესტ-მატჩებში ჯერ „დუისბურგთან" დამარცხდნენ (1:4), მერე კი თურქულ კლუბ „ესქიშეჰირთან" (1:3). ასე რომ, „ვერდერის" ფანებს ოპტიმისტურად განწყობის უფლება არ აქვთ. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ „ვერდერმა" თავისი ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი, პორტუგალიის ნაკრების გოლეადორი **უგო ალმეიდა** „ბეშიქთაშს" მიჰყიდა. ერთი სიტყვით, ბრემენელთა დამრიგებელ **თომას შააფს** ძალიან ბევრი საზრუნავი აქვს.

„ვერდერის" დღევანდელ მეტოქე „ჰოფენჰაიმს" კი, როგორც იცით, ახალი მწვრთნელი ჰყავს: **რალფ რანგნიკი**, რომელიც „სოფლელებს" წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა, იანვრის დასაწყისში თანამდებობიდან გადადგა (იმის გამო, რომ გუნდის მფლობელმა **დიტმარ ჰოპმა** „ბაიერნს" უპრობლემოდ მიჰყიდა ლუის გუსტავო). „პროფესორი რალფი" **მარკო პეცაიუოლიმ** შეცვალა, რომელიც მანამდე რანგნიკის ასისტენტი იყო და რომელსაც დღეს ბუნდესლიგაში მთავარი მწვრთნელის რანგში დებიუტი ექნება. „ჰოფეში" ვერ ვიხილავთ თავდამსხმელ **დემბა ბასაც**, რომელიც არსად წასულა და არც ტრავმირებულია - უბრალოდ, ცუდად მოქცევის გამო (ამ თემაზე ადრეც ვწერდით), განაცხადიდან ამოშალეს და სავარაუდოდ, აღარც დააბრუნებენ.

„ზანკტ პაულიმ" პირველი წრე მე-15 ადგილზე დაასრულა, რაც ნამდვილად არ არის სახარბიელო შედეგი, მაგრამ „პაულისთვის" აბსოლუტურად მისაღები და ლოგიკურია. სწორედ ამიტომ, „მილერნტორზე" განგაშის ზარებისთვის არ შემოუკრავთ და გადარჩენისთვის ბრძოლას დღეიდან მშვიდად გააგრძელებენ. დღეს „ზანკტ პაულის" მეტოქე „ფრაიბურგია" - გუნდი, რომელმაც პირველ წრეში სენსაციური შედეგი აჩვენა და მე-6 ადგილზეა. არადა, სეზონის წინ „ფრაიბურგიც" „ზტ. პაულის" რანგში გადიოდა. „ფრაის" წარმატებები გოლეადორ **პაპის დემბა სისეს** დამსახურებაა, რომელიც ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზეა და დღეს „მილერნტორზეც" შეეცდება თავისი ბომბარდირული ნიჭის გამომჟღავნებას. ალსანიშნავია, რომ „ფრაიბურგს" „ზანკტ პაულისთან" გასვლითი მატჩი აქამდე არასდროს მოუგია და „მილერნტორზე" გამართულ ოთხ მატჩში ბრაისგაუელებს მხოლოდ ერთი გოლი აქვთ გატანილი.

### ჰამბურგი ვან ნისტელროის იმედად

დღეს საღამოს ბუნდესლიგა კიდევ ერთ, ამ ტურში უკვე მესამე ისეთ მატჩს გვთავაზობს, „ავ თვალს რომ არ დაენახვება": „შალკე" „ჰამბურგს" უმასპინძლებს. გეხსომებათ, „შალკემ" სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო, მაგრამ დეკემბერში გარკვეულწილად გამოისწორა მდგომარეობა და საბოლოოდ, პირველი წრე მე-10 ადგილზე დაასრულა. თანაც, გელზენკირხენელები ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალშიც გავიდნენ და არც გერმანიის თასიდან გავარდნილან. ამრიგად, **ფელიქს მაგათს** სეზონის გადარჩენა ნამდვილად შეუძლია და ამბობს, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მინიმუმ საუკეთესო ხუთეულში მოვხვდეთო. აქვე, აუცილებლად უნდა გავავლოთ პარალელი იმ სეზონთან, როცა გერმანიის ჩემპიონი „ვოლფსბურგი" გახდა (2009 წელს) - მაშინ ფელიქსი სწორედ „ვოლფსბურგს" ავარჯიშებდა და მის მიერ გაწვრთნილმა „მგლებმა" პირველი წრე მე-11 ადგილზე დაასრულეს, მერე კი იმდენი ქნეს, რომ გერმანიის ჩემპიონები გახდნენ...

„ჰამბურგში" კი რთული ვითარებაა - ჩრდილოგერმანულ კლუბში დღესდღეობით ყველას აკრიტიკებენ. HSV-ს ერთადერთი იმედი დღეისათვის გამოჯანმრთელებული **რუუდ ვან ნისტელროია**, რომელმაც ჩრდილოელებს პირველ წრეში „შალკესთან" მატჩი მოაგებინა.

### სკიბეს 4 კაცი აკლია

ხვალ, ტრადიციისამებრ, ორი თამაშია დაგეგმილი. ნაშუადღევს პირველი წრის ბოლო ტურში „დორტმუნდის" დამამარცხებელი ფრანკფურტის „აინტრახტი" მეოთხეადგილოსან „ჰანოვერს" დაუხვდება. ფრანკფურტელთა თავკაც **მიხაელ სკიბეს** საკადრო პრობლემები აქვს და განსაკუთრებით დაცვაში უჭირს, სადაც ტრავმების გამო **ვასოსკი, ფრანცი, რუსი** და **კრისი** აკლია. შეგახსენებთ, რომ ოთხივე ცენტრალური მცველია! სწორედ ამიტომ უხმო სკიბემ მოყვარულთა გუნდიდან ახალგაზრდა და შედარებით გამოუცდელ **კლერკს**. „ჰანოვერს" კი ასეთი პრობლემები არ აქვს. რაც მთავარია, სრულ მზადყოფნაშია „წითლების" გოლეადორი დიდიე **ია კონანი**, რომელმაც 12 დეკემბერს მენისკის ოპერაცია გაიკეთა.

მე-18 ტური ხვალ საღამოს, „კაიზერსლაუტერნისა" და „კიოლნის" ჯახით დაიხურება. ალსანიშნავია, რომ „წითელ ეშმაკებს" „თხებთან" 23-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ. „ლაუტერნში" დეკემბრის მერე ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა, „კიოლნს" კი ახალი კაპიტანი (**ლუკას პოდოლსკი**) და ახალი სპორტული დირექტორი (**ფოლკერ ფინკე**) ჰყავს.

**გოტფრიდ ლენცი**

● [illegible] მატჩი

# 6 წუთში 3 გოლი!

## დორტმუნდმა ლევერკუზენი დაკლა...

...დაიწყო მეორე წრე და „დორტმუნდის" მჯობნი ისევ არ ჩანს. არადა, ბევრს ჰქონდა იმის იმედი, რომ „ლევერკუზენი" „ბორუსიას" დამარცხებას და მასთან შვიდქულიან დისტანციაზე მიახლოვებას შეძლებდა, რაც თავის მხრივ ინტრიგის გამოცოცხლების ნიშანი იქნებოდა, მაგრამ... პირველი წრის ტრიუმფატორმა „შავ-ყვითლებმა" მეორე წრეც იმდენად შთამბეჭდავი თამაშითა და გამარჯვებით დაიწყეს, რომ ვისაც ბოლომდე არ სჯეროდა, ახლა მაინც დაიჯერებს, რომ დორტმუნდელთა შეჩერება ამ სეზონში ძალიან ძნელი იქნება.

BVB-მ მესამეადგილოსან მეტოქეს მეორე ტაიმის დასაწყისში, ექვს წუთში სამი გოლი გაუტანა და სწრაფად მოუმთავრა ყველაფერი. **კევინ გროსკროიტცმა** ორი ეფექტური გოლი გაიტანა, ერთი კი ახალგაზრდა **მარიო გიოტცეს** ანგარიშზეა, რომელმაც „ლევერკუზენის" კარის დარაჯ **რენე ადლერს** ბურთი ფეხებსშუა გაუტარა. მერე კიდევ დიდხანს არცხვენდნენ დორტმუნდელები **იუპ ჰაინკესის** გუნდს და მხოლოდ ბოლოსღა მოეშვნენ, რითაც **შტეფან კისლინგმა** ისარგებლა და ერთი გაქვითა (კისლინგის მეორე გოლი ამ სეზონში), მაგრამ უკვე გვიანი იყო...

ორი აზრი არ არსებობს: **იურგენ კლოპის** გუნდის შეჩერება ნელ-ნელა წარმოუდგენელი ხდება.

**ლევერკუზენი-ბორუსია (დ) 1:3**

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ადლერი – შვააბი, მ. ფრიდრიხი, რაინარტცი, კასტრო – ლ. ბენდერი (60. ბარნეტა), როლფესი – სემი (60. ვიდალი), რენატო – კისლინგი, ჰელმესი (60. დერდიოკი).

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი – ს. ბენდერი (46. და სილვა), ნ. შაჰინი – ბლაშჩიკოვსკი, გიოტცე (68. ბარიოსი), გროსკროიტცი (87. ფელიპე სანტანა) – ლევანდოვსკი.

**გოლები:** 0:1 გროსკროიტცი (49), 0:2 გროსკროიტცი (53), 0:3 გიოტცე (55), 1:3 კისლინგი (80)

**გაფრთხილება:** კისლინგი, მ. ფრიდრიხი – გროსკროიტცი

**მაყურებელი:** 30 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 18 | 15 | 1 | 2 | 42-11 | 46 |
| 2. მაინცი | 17 | 11 | 0 | 6 | 30-19 | 33 |
| 3. ლევერკუზენი | 18 | 9 | 6 | 3 | 36-28 | 33 |
| 4. ჰანოვერი | 17 | 10 | 1 | 6 | 25-27 | 31 |
| 5. ბაიერნი | 17 | 8 | 5 | 4 | 31-20 | 29 |
| 6. ფრაიბურგი | 17 | 9 | 1 | 7 | 25-25 | 28 |
| 7. აინტრახტი | 17 | 8 | 2 | 7 | 24-21 | 26 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 17 | 6 | 7 | 4 | 32-22 | 25 |
| 9. ჰამბურგი | 17 | 7 | 3 | 7 | 27-28 | 24 |
| 10. შალკე | 17 | 6 | 4 | 7 | 25-24 | 22 |
| 11. ნიურნბერგი | 17 | 6 | 4 | 7 | 22-28 | 22 |
| 12. კაიზერსლაუტ. | 17 | 6 | 3 | 8 | 27-27 | 21 |
| 13. ვოლფსბურგი | 17 | 4 | 7 | 6 | 24-25 | 19 |
| 14. ვერდერი | 17 | 5 | 4 | 8 | 23-35 | 19 |
| 15. ზტ. პაული | 17 | 5 | 2 | 10 | 16-30 | 17 |
| 16. კიოლნი | 17 | 4 | 3 | 10 | 18-33 | 15 |
| 17. შტუტგარტი | 17 | 3 | 3 | 11 | 32-35 | 12 |
| 18. ბორუსია (მ) | 17 | 2 | 4 | 11 | 26-47 | 10 |

**გოტფრიდ ლენცი**



ტყუპები ერთმანეთის წინააღმდეგ ორთაბრძოლისას: სვენ ბენდერის დორტმუნდი ლარს ბენდერის ლევერკუზენს ზემოდან უყურებს

● პრობლემა


ფრენკმა ჩელსის კრიზისი აღიარა

# ლემპარდს სკოლარი აგონდება

**ფრენკ ლემპარდმა** ხალხის წინაშე კერკეტი კაკლის როლის თამაშს თავი დაანება. ის „ჩელსის" პირველი წარმომადგენელია, რომელმაც თქვა, რომ გუნდში ფსიქოლოგიური კრიზისია და ფეხბურთელები მატჩების წინ აღარ არიან დარწმუნებული, მოედანზე მოსაგებად გადიან თუ წასაგებად. გაზეთ „სანისთვის" მიცემულ ინტერვიუში ინგლისის ჩემპიონთა ყველაზე გავლენიანმა ნახევარმცველმა აღიარა, რომ მან და მისმა თანაგუნდელებმა დაკარგეს დაუმარცხებლობის შეგრძნება, რომლის წყალობითაც გასულ სეზონში პრემიერლიგაში და ფეხბურთის ასოციაციის თასზე გაიმარჯვეს. და კიდევ ერთი: ლემპარდმა განაცხადა, რომ „ჩელსის" წარუმატებლობა არაფერ კავშირშია მწვრთნელის ასისტენტ **რეი უილკინსის** თანამდებობიდან გაშვებასთან. ის, რომ „ლურჯებმა" ცუდად თამაში უილკინსის გაშვების შემდეგ დაიწყეს, უბრალოდ დამთხვევააო, ამბობს ინგლისის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელი.

*„გასულ სეზონში დუბლი მოვიგეთ. შედეგს ყველამ ერთად მივაღწიეთ, რეის ჩათვლით. რეი ერთ-ერთი ჩვენგანი იყო, მაგრამ ახლა აღარ არის. ასეთ რაღაცებს კლუბის დირექტორატი წყვეტს. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ „სტემფორდ ბრიჯზე" რომან აბრამოვიჩი რომ არ მოსულიყო, ჩვენ ინგლისის ჩემპიონის ტიტულს სამჯერ ვერ მოვიპოვებდით. რასაკვირველია, ყველაფერი, რაც მოედანს მიღმა ხდება, მნიშვნელოვანია, მაგრამ ფეხბურთელები ვალდებული ვართ ძალიან ბევრი რაღაც მოედნის მიღმა დავტოვოთ და სათამაშოდ ისე გავიდეთ. ის, რაც რეისთან დაკავშირებით მოხდა, თავის გამართლებად არ გამოდგება. ჩვენ ვალდებული ვართ ყველაფრის მიუხედავად ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ".*

გასულ უქმეებზე „ლურჯებმა" ფეხბურთის ასოციაციის თასის მესამე ეტაპზე გამამხნევებელი გამარჯვება მოიპოვეს - 7:0 მოუგეს „ჩემპიონშიპის" ერთ-ერთ ქვედა გუნდ „იფსვიჩს", მაგრამ ლემპარდი თავს არ იტყუებს. მან კარგად იცის, რომ მთავარი ფეხბურთის ასოციაციის თასი კი არა, პრემიერლიგაა, სადაც ბოლო ტურში მან და მისმა თანაგუნდელებმა „ვულვერჰემპტონთან" 1:0 წააგეს. ერთი სიტყვით, მთავარია თავი ხელში აიყვანონ და ბედის ბორბალი შემოატრიალონ, რაც დასავლეთლონდონელებს სჩვევიათ. გავიხსენოთ, თუნდაც, გასული სეზონი, როდესაც „ჩელსი" ჩემპიონთა ლიგაში „ინტერთან" დამარცხდა და თითქოსდა ნირიც წაუხდა, მაგრამ ყურადღება მოიკრიბა და ორი ჯილდო მოიგო.

*„შარშან „ინტერმა" დაგვამარცხა, რასაც „ბლექბერნთან" ფრე მოჰყვა, რის შემდეგაც კობჰემის საწვრთნელ ბაზაზე დიდი თათბირი გვქონდა. ამ თათბირის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ჩვენ დავამარცხეთ „პორტსმუთი" (5:0), „ასტონ ვილა" (7:1), რასაც მოვაყოლეთ და მოვაყოლეთ... ყველას ვუგებდით.*

*დღეს, რომ არ დავიმალოთ, მუდმივად გვაქვს შეგრძნება, რომ მოედანზე გასვლის წინ საკუთარ თავში დარწმუნებულები არ ვართ. ჩვენ არ ვიცით, მოვიგებთ თუ წავაგებთ. დავაზუსტოთ: იმას კი არ ვამბობ, რომ რომელიმე ჩვენგანს თავდადება ან მოგების სურვილი შეუმცირდა, მაგრამ საკუთარი უძლეველობის გრძნობა დავკარგეთ და ამისთვის ვერაფერი მოგვიხერხებია".*

„ჩელსის" დღევანდელი მდგომარეობა ლემპარდს **ლუიშ ფელიპე სკოლარის** „სტემფორდ ბრიჯზე" ყოფნის ბოლო დღეებს აგონებს. ის ამბობს:

*„სკოლარის „ჩელსიში" ყოფნის ბოლო პერიოდიც სწორედ ასეთი იყო - აღარ გვქონდა რწმენა, რომ მოედანზე გავიდოდით და მოწინააღმდეგეს აუცილებლად დავამარცხებდით. ეს ისეთი გრძნობაა, რომელსაც თუ დაკარგავ, მერე მისი დაბრუნება ძნელია. ახლა ფეხბურთელებმა მდგომარეობიდან გამოსასვლელად რაც შეიძლება ბევრი უნდა ვიმუშაოთ. ჩვენს კურსს არ უნდა გადავუხვიოთ, მწვრთნელის დავალებებს ვუერთგულოთ და იმედი მაქვს, რომ ნელ-ნელა ყველაფერს გამოვასწორებთ. ასე თუ არ მოვიქცევით, აუცილებლად ხელი მოგვეცარება".*

ინგლისური პრესა დარწმუნებულია, რომ შექმნილმა მდგომარეობამ ფეხბურთელებს შორის ურთიერთობათა დაძაბვაც გამოიწვია. ასე მაგალითად, **დიდიე დროგბამ** და **ჯონ ტერიმ** საჯაროდ, მაყურებლის წინაშეც კი იკამათეს.

*„როდესაც გუნდი ვერ იგებს, უცნაური იქნება, დიდმა, გამოცდილმა ფეხბურთელებმა ერთმანეთს მიზეზები რომ არ ჰკითხონ. დროგბაცა და ჯონიც ემოციური ადამიანები არიან. რასაკვირველია, ყველაზე კარგი იქნებოდა, ფეხბურთელებს ერთმანეთთან გასახდელში ეკამათათ და ხალხისთვის თავიანთი აღელვება არ ეჩვენებინათ, მაგრამ როდესაც გამარჯვების სურვილი გკლავს, ხანდახან ემოცია შეიძლება მოედანზეც გადმოიღვაროს. იმ დღეს ჩვენ ყველანი მოგებას ველოდით. გვეგონა „ვულვზს" დავამარცხებდით და საჩემპიონო ბრძოლას დავუბრუნდებოდით, მაგრამ მოწინააღმდეგემ ღირსეულად ითამაშა და გამარჯვება მას დარჩა".*

● მანჩესტერ სიტი

# მანჩინიმ ოთხეულს დაუქვითა

„მანჩესტერ სიტის" იტალიელი თავკაცი **რობერტო მანჩინი** მკაცრი ხელმძღვანელის იმიჯის გამართლებას ცდილობს: ბოლო დროს ერთმანეთთან ჩხუბში შემჩნეული ოთხი ფეხბურთელი დააჯარიმა.

„ლელოს" მკითხველმა კარგად იცის, რომ მანჩინის რამდენჯერმე კონფლიქტი მოუვიდა საკუთარ ფეხბურთელებთან. ისტლენდზე შეკრებილი ვარსკვლავები, როგორც ჩანს, დიდი ხელფასებით განებივრებულები არიან და ხშირად ჭირვეულობენ, რის გამოც „ინტერის" ყოფილ თავკაცს პერიოდულად „მაგიდაზე მუშტის დარტყმა" უწევს. ხშირად კონფლიქტის საბაბი მანჩინის საწვრთნელი მეთოდებია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მწვრთნელს ამ კონფლიქტებიდან არც ერთი არ „წაუგია". და აი, ახლა, თავკაცმა, რომლის გუნდიც პრემიერლიგის ცხრილში მეორეა, გადაწყვიტა ხელფასები დაუქვითოს იმ ფეხბურთელებს, რომელთა მუშტი-კრივი პრესამ გადაიღო და მასმედიის საშუალებებით გავრცელდა. ესენი გახლავან: **მარიო ბალოტელი, კოლო ტურე, ემანუელ ადებაიორი** და **ჯერომ ბოატენგი**. მოგეხსენებათ, ჩამოთვლილი ფეხბურთელები ორი სხვადასხვა ჩხუბის მონაწილეები არიან.

ის, რომ ოთხი ფეხბურთელი დააჯარიმა, მანჩინიმ ჟურნალისტებთანაც დაადასტურა: *„დიახ, ჩვენ ოთხი ფეხბურთელი დავსაჯეთ, რადგან გუნდში ჩხუბი არ შეიძლება. მეორე მხრივ, რას იზამ, ხანდახან ასეც ხდება. დაქვითულ თანხებს „მანჩესტერ სიტი" ქველმოქმედებისთვის გამოიყენებს. მინდა საზოგადოებას ვაცნობო, რომ ორივე ინციდენტი ორ წუთში დასრულდა და არანაირი გაგრძელება არ მოჰყოლია. ეს უბრალო გაფიცხების შედეგი გახლდათ. გუნდში ფეხბურთელებს შორის ურთიერთობა ნორმალურია".*

შემდეგ მანჩინიმ იხუმრა: *„ხანდახან განზრახ ვჩხუბობთ, ფოტოგრაფებმა სურათები რომ გაყიდონ. ხუმრობის გარეშე კი ასე ვიტყოდი: ასეთი კონფლიქტები ყველა გუნდში ხდება. გარწმუნებთ,*


ბალოტელი და ბოატენგი ამ ჩხუბისთვის დაისაჯნენ

*25 წელიწადია პროფესიულ ფეხბურთში ვტრიალებ და ვიცი, რომ დროგამოშვებით ყველგან ჩხუბობენ. განსხვავება ჩვენსა და სხვებს შორის მხოლოდ ის არის, რომ „მანჩესტერ სიტის" საწვრთნელი ცენტრის მოედანს გარშემო მაღალი კედელი არ აკრავს და გარედან ყველაფერი ჩანს.*

*ერთხელ, „სამპდორიაში" რომ ვთამაშობდი და ჯერ ფრიად ახალგაზრდა ვიყავი, ტრევორ ფრენსისს (**ფაბიო კაპელოს** დახასიათებით ფრენსისი გახლდათ საუკეთესო ინგლისელი ფეხბურთელი, ვისაც კი ოდესმე იტალიურ სერია A-ში უთამაშია) ვეჩხუბე. რატომ ვეჩხუბე? 25 წლის წინანდელი ამბავია და მიზეზი ნამდვილად არ მახსოვს, მაგრამ თავად ჩხუბი ახლაც თვალწინ მიდგას. ასეთ დროს მთავარია, ინციდენტის შემდეგ ყველაფერი დასრულდეს და მტრობაში არ გადაიზარდოს. ალბათ, გაინტერესებთ, შევწუხდი თუ არა იმის გამო, რომ გაზეთებში ჩემი ფეხბურთელების ჩხუბის ფოტოები გამოქვეყნდა. გიპასუხებთ: აბსოლუტურად არ შევწუხებულვარ".*

გავიხსენოთ: ბოატენგმა და ბალოტელიმ საწვრთნელ ცენტრში დეკემბერში იჩხუბეს, „არსენალის" დროინდელმა თანაგუნდელებმა ტურემ და ადებაიორმა კი გასულ კვირაში დააყარეს ერთმანეთს მუშტები და გასაშველებლები გახდნენ.

● ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა


რაფაელ ვან დერ ვაარტი ლონდონში თავს კარგად გრძნობს

## რაფაელს სამუდამოდ დარჩენა უნდა

ჰოლანდიელ შემტევ ნახევარმცველს, 27 წლის **რაფაელ ვან დერ ვაარტს** „ტოტენჰემში" სამუდამოდ უნდა დარჩენა. ვარსკვლავმა, რომელსაც ამჟამინდელი კონტრაქტის თანახმად „სფურზში" კიდევ სამი წელიწადი და ექვსი თვე აქვს გასატარებელი, თქვა:

*„აქაურობა ძალიან შემიყვარდა. შევეთვისე ფეხბურთელებსა და გუნდის რეალისტურ პოლიტიკას. თუკი ამის საშუალება მომეცემა, სიამოვნებით დავრჩები „უაით ჰარტ ლეინზე" კარიერის ბოლომდე".*

შეგახსენებთ, რომ ვან დერ ვაარტი „სფურზში" ამ სეზონში გადავიდა. მის სანაცვლოდ „დეზებმა" „რეალს" 8 მილიონი ფუნტი გადაუხადეს და ფული რომ არ დაინანეს, სწორადაც მოიქცნენ, რადგან ჰოლანდიელი ახალ გუნდს პირველივე დღიდან მოერგო. ვან დერ ვაარტმა „დეზების" მაისურით უკვე 11 გოლი გაიტანა. ხვალ, კვირას, „ტოტენჰემს" „მანჩესტერ იუნაიტედი" სტუმრობს და ვან დერ ვაარტი მზად არის, ლიდერთან შეხვედრაში ოსტატობა სრულად გამოამჟღავნოს:

*„ვფიქრობ, „ტოტენჰემისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრა ამ სეზონში პრემიერლიგის უდიდესი მატჩია. ამ შეხვედრას მარტო ჩვენთვის კი არ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, არამედ ტიტულის მოპოვების ყველა კანდიდატისთვის, რადგან „მანჩესტერ იუნაიტედი" დღემდე დაუმარცხებელია. თუ ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩემპიონატი სახეს იცვლის და უკლებლივ ყველას შანსი გაიზრდება".*

## ჩელსიმ ნაბიჯი გადადგა

„ჩელსიმ" **სტივ პიენაარის** შესაძენად ოფიციალური ნაბიჯი გადადგა და „ევერტონს" 3 მილიონი ფუნტი შესთავაზა. ინგლისის ჩემპიონი ახლა შეხედავს, რით უპასუხებს მის სვლას „ტოტენჰემ ჰოთსპური", რომელიც ასევე ცდილობს 28 წლის სამხრეთაფრიკელის ხელში ჩაგდებას. ცნობისთვის: „სფურზს" ჯერ ოფიციალურად არაფერი მოუმოქმედებია და მისი ინტერესი ლაპარაკის დონეზეა.

პიენაარს, რასაკვირველია, ორივე ტრანსფერი აძლევს ხელს, თუმცა, ბუნებრივია, „ჩელსიში" გადასვლა ურჩევნია. საქმე ის არის, რომ „როგორც „ლურჯები", ასევე „დეზები" ჩემპიონთა ლიგაში გამოდიან და სამხრეთაფრიკელი პირდაპირ საოცნებო შეჯიბრებაში ამოჰყოფდა თავს. პიენაარს ერთი ძალიან კარგი თვისება აქვს, თავდამსხმელების უკან ორივე ფრთაზე შეუძლია თამაში, ისევე როგორც **იოსი ბენაიუნს**, რომელიც დაშავებულია და მოედანს წესით მარტში უნდა დაუბრუნდეს.

## მეექვსასე

**რაიან გიგზი** კვირას „ტოტენჰემ ჰოთსპურის" წინააღმდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში თავის მეექვსასე მატჩს ჩაატარებს. უელსელი ვეტერანი იმედოვნებს, რომ მომავალში კიდევ არაერთ შეხვედრაში მოუწევს მონაწილეობა წითელი მაისურით.

37 წლის გარემარბს, რომელმაც ფეხბურთის ასოციაციის თასის მესამე ეტაპზე „ლივერპულს" პენალტი გაუტანა და „იუნაიტედმა" მერსისაიდელები სწორედ ამ გოლის წყალობით დაამარცხეს, სეზონის ბოლოს კლუბთან კონტრაქტის ვადა ეწურება, მაგრამ იმედოვნებს, რომ კიდევ ერთი წლით გაიხანგრძლივებს „ოლდ ტრეფორდზე" ყოფნას:

*„სულ იმას ვცდილობ, ფორმაში ვიყო და მწვრთნელმა მათამაშოს. დღეს, საბედნიეროდ, საქმე კარგად მიდის და მე ფეხბურთისგან უდიდეს სიამოვნებას ვიღებ".*

მოგეხსენებათ, გიგზმა ნაკრებში თამაშს თავი 2007 წელს დაანება, თუმცა მზად არის უელსელთა ახალ თავკაცს **გარი სპიდს** მხარში ამოუდგეს:

*„მე გარის მხარდამხარ მითამაშია. ის დიდებული ფეხბურთელი იყო და ეჭვი არ მეპარება, რომ უელსის ნაკრებში მუშაობას კარგად გაართმევს თავს. თუკი მას ჩემგან რაიმე დახმარება დასჭირდება, შეუძლია დამირეკოს და მყისვე მხარში ამოვუდგები",* - ამბობს ის.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

**სერია A. XX ტურის წინ**


ლეონარდოს არჩევანი

# ბოლონიას კიდევ მინუს 2

## ლიდერი ერთ-ერთ აუტსაიდერთან

**დღეს**

**ნაპოლი-ფიორენტინა** 21.00
**დისკვალიფიკაცია:** ჰამშიკი (ნაპოლი).
**ტრავმა:** ვარგასი, ავრამოვი, ჩერჩი, ნატალი, იოვეტიჩი (ფიორენტინა).

**ინტერი-ბოლონია** 23.45
**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** სნეიდერი, კოუტინიო, სამუელი, ჟულიო სეზარი – მორლეო, მუტარელი.

**ხვალ**

**კალიარი-პალერმო** 15.30
**დისკვალიფიკაცია:** კოსუ – ბოვო, კამოციერი.
**ტრავმა:** ლაძარი – ერნანდესი, პინილია, გარსია.

**ბრეშა-პარმა** 18.00
**დისკვალიფიკაცია:** ჯემაილი (პარმა).
**ტრავმა:** კარაჩოლო, სერენი, პეტემაი, ბაიოკო (ბრეშა).

**კატანია-კიევო** 18.00
**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** ალვარესი, ისკო, ბიაჯანტი, მორიმოტო, პოტენცა - ლუჩანო.

**ჩეზენა-რომა** 18.00
**დისკვალიფიკაცია:** ჟულიო სერჟიო (რომა).
**ტრავმა:** ნაგატომო – პიზარო, მექსე.

**ჯენოა-უდინეზე** 18.00
**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** პალოსკი, ანტონელი – დომიცი, ბასტა, ფერონეტი.

**იუვენტუსი-ბარი** 18.00
**დისკვალიფიკაცია:** მელო (იუვენტუსი).
**ტრავმა:** რინაუდო, მარტინესი, დე ჩელიე, იაკვინტა, კვალიარელა, ტონი – ალმირონი, გეზალი, ს. მაზიელო, ბარეტო.

**ლაციო-სამპდორია** 18.00
**დისკვალიფიკაცია:** ბიავა – გასტალდელო, ლუკინი.
**ტრავმა:** მენი, გარიდო, მათუზალემი, როკი – სემიოლი, კაჩატორე, პადალინო.

**ლეჩე-მილანი** 23.45
**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** აბიატი, ბოატენგი, ძამბროტა, ინძაგი – ჯულიატო, რეგინიუსენი, ოლივერა, ოფერე.

სერია A-ს მიმდინარე გათამაშებამ ეკვატორს უწია და თითოეული თამაში სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. XX ტურში გამოკვეთილ ცენტრალურ პაექრობას ვერ ვიხილავთ, თუმცა არაერთი მატჩი იწვევს გულშემატკივართა საკმაოდ დიდ ინტერესს.

ტური „ნაპოლი"-"ფიორენტინას" მატჩით გაიხსნება და ამ შეხვედრაზე აუცილებლად უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნეაპოლური გუნდი მეორე ადგილზეა, „ფიორენტინა" კი ტრადიციულად ძლიერ გუნდებში გადის და წესით, **ვალტერ მაძარის** სამწყსოს ბრძოლა უნდა გამოუცხადოს. ფლორენციელებმა წინა ტურში გატეხეს ნავსი და როგორც იქნა, სამი ქულა ჩაიწერეს აქტივში. არადა, „ბრეშასთან" პაექრობაში ორი ბურთის სხვაობით აგებდნენ და ძალიან ახლოს იყვნენ მორიგ სირცხვილთან. **სინიშა მიხაილოვიჩის** თქმით, „ფიორენტინა" სწორ გზას ადგას და შედეგები აუცილებლად გაუმჯობესდება. სერბმა სპეციალისტმა დღევანდელ შეხვედრაში ფავორიტად „ნაპოლი" მონათლა, თუმცა იქვე დასძინა, „სან პაოლოზე" სამი ქულის ასაღებად ვითამაშებთო. ფლორენციელებს რომ არაერთი ფეხბურთელი ჰყავთ დაშავებული, კარგად მოგეხსენებათ და მათი გვარების გაცნობა ზემოთაც შეგიძლიათ. დანაკლისი ნეაპოლელებსაც აქვთ - გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **მარეკ ჰამშიკია** დისკვალიფიცირებული, ვის ადგილსაც ძირითად შემადგენლობაში არგენტინელი **სოსა** დაიკავებს. თუ მაძარის დავუჯერებთ, გუნდი მზად არის კიდევ ერთხელ გაახაროს გულშემატკივარი: *„საკუთარ მოედანზე თამაში განსაკუთრებულად გვახარებს, რადგან ქომაგთა უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობთ. ფეხბურთელები ოპტიმალურ ფორმაში არიან და სიმართლე გითხრათ, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. „ფიორენტინამ" გადალახა მძიმე დროება და ალმავლობის გზას ადგას, თუმცა ჩვენ ეს არ გვაშინებს - მიზანი მხოლოდ სამი ქულის მოპოვებაა".*

ჩემპიონატის ლიდერი ერთ-ერთი აუტსაიდერს ესტუმრება და შეეცდება მორიგი სამი ქულა ჩაიწეროს აქტივში. თუმცა, თუ „მილანის" ბოლოდროინდელ ასპარეზობას გავიხსენებთ, სიტყვა მორიგი შესაძლოა უადგილოც იყოს. **მასიმილიანო ალეგრის** გუნდმა არაერთი დაუგეგმავი ქულა დაკარგა და უკვე ორი საშინაო თამაშია, გამარჯვების მოპოვებას ვერ ახერხებს. თუ „გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, შეტევის წინა ხაზზე **ალეშანდრე პატოსა** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** ტანდემს ვიხილავთ, მათ უკან კი **კლარენს ზეედორფი** გაირჯება. სათადარიგოთა სკამზე მოიაზრება **რობინიო,** რომელიც ბოლო პაექრობებში მუდმივად ძირითად თერთმეტეულში გახლდათ. რეზერვში იქნება **ანტონიო კასანოც** და სავარაუდოდ, მეორე ტაიმში ჩაერთვება თამაშში. აქვე ერთი ძალიან კარგი ამბავი „მილანის" გულშემატკივრებისთვის - **ალესანდრო ნესტა** ჩადგა მწყობრში და „ლეჩესთან" პაექრობაში **ტიაგო სილვას** შეუწყვილდება.

ბოლო დროს, ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ „მილანს" ჩავარდნა აქვს, რასაც ალეგრი კატეგორიულად უარყოფს: *„პირველი სეზონია, რაც გუნდში ვმუშაობ და კარგად მესმის, რომ დღევანდელი „მილანი" იდეალურ ფეხბურთს არ თამაშობს. ხარვეზები ჯერ კიდევ ბევრია, თუმცა მიუხედავად ამისა, ჩვენ ლიდერები ვართ და ჩემპიონობისთვის ვიბრძვით. ჩავარდნა? - რომელ ჩავარდნაზე მელაპარაკებით, როდესაც გუნდი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია და მიუხედავად ამისა, სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას. დიახ, ხშირად გასვლით პაექრობებში უფრო გვიადვილდება გამარჯვება, ვიდრე სახლში და ამას აქვს თავისი ახსნა - „სან სიროზე" მეტოქე გუნდები მთელი შემადგენლობით იცავენ თავს, მასიური დაცვის გარღვევა კი ყოველთვის ძალიან რთულია. საკუთარ მოედანზე მეტ-ნაკლებად ყველა იხსნება, რაც გვიადვილებს მოწინააღმდეგე კართან ხიფათის შექმნას, ეს არის და ეს".*

**ლეონარდო** ტკბება იმით, რომ „ინტერის" მწვრთნელია და მის ხელში გუნდმა კრიზისის დაძლევის მაგალითი გვიჩვენა. დიახ, ბრაზილიელი სპეციალისტი ენთუზიაზმით არის აღსავსე და თურმე ვარჯიშებზეც ისეთი ემოციურია, როგორც ოფიციალური თამაშებისას. ლეომ „ინტერი" ორფორვარდიან ტაქტიკაზე გადაიყვანა და შეტევის წინა ხაზზე **სამუელ ეტოო-დიეგო მილიტოს** ტანდემს ათამაშებს. ბრაზილიელს სჯერა, რომ ეს საუკეთესო შემტევი წყვილია თანამედროვე ფეხბურთში - ამაზე მისი კომენტარი მეტყველებს: *„ორი ფორვარდით თამაში იმიტომ გადავწყვიტე, რომ არც ეტოო მემეტება ფლანგზე გადასაწევად და არც მილიტო თადარიგში გადასასროლად. ვფიქრობ, როდესაც არგენტინელი ოპტიმალურ ფორმაში შევა, „ინტერს" საუკეთესო თავდასხმა ეყოლება მსოფლიოს მასშტაბით. ამიტომ, ამ ტაქტიკურ მოდელს ვამუშავებთ და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, „ბოლონიასაც" ორი ფორვარდით შევუტევთ".*

„ინტერი" „ბოლონიას" ეთამაშება, გუნდს, რომელსაც ფედერკალჩომ კიდევ ორი ქულა ჩამოაკლო. დიახ, კლუბის ექსპრეზიდენტის **სერჯო პორჩედას** ფინანსური მაქინაციების და დარღვევების გამო, „ბოლონიას" უკვე სამი ქულა ჩამოაკლდა და სატურნირო ცხრილში მე-15 ადგილი უკავია. რომ არა სანქციები, გუნდი დღეს მეათე პოზიციაზე იქნებოდა.

საინტერესო მატჩი გაიმართება რომის ოლიმპიურ სტადიონზე, სადაც „ლაციო" „სამპდორიას" უმასპინძლებს. **ედუარდო რეია** მუდმივად იმას იმეორებს, რომ მისი გუნდის კრიზისი მოგონილი ამბავია და ამის დამტკიცებას „სამპდორიასთან" შეხვედრაში შეეცდება. არადა, გენუელები კარგ ფორმაში არიან, რაზეც გასულ ტურში მეორე რომაული გუნდის დამარცხება მეტყველებს. **ფედერიკო მაკედათი** გაძლიერებული „სამპა" ევროსაგზურს უმიზნებს და უკან დასახევი გზა აღარ აქვს. „ლაციო" ტრადიციული ოთხეულით შეუტევს - წინა ხაზზე **ფლოკარი** ითამაშებს, მის უკან კი **მაური, ერნანესი** და **სარატე,** „სამპას" წინა ხაზზე კი მაკედა-**პაცინის** ტანდემს ვიხილავთ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 19 | 12 | 4 | 3 | 34-17 | 40 |
| 2. ლაციო | 19 | 10 | 4 | 5 | 25-18 | 34 |
| 3. ნაპოლი | 18 | 10 | 3 | 5 | 27-20 | 33 |
| 4. რომა | 19 | 9 | 5 | 5 | 27-24 | 32 |
| 5. იუვენტუსი | 18 | 8 | 7 | 3 | 33-21 | 31 |
| 6. პალერმო | 19 | 9 | 4 | 6 | 32-22 | 31 |
| 7. ინტერი | 17 | 8 | 5 | 4 | 25-16 | 29 |
| 8. უდინეზე | 19 | 8 | 3 | 8 | 27-25 | 27 |
| 9. სამპდორია | 18 | 6 | 8 | 4 | 20-17 | 26 |
| 10. კალიარი | 19 | 6 | 5 | 8 | 21-18 | 23 |
| 11. ფიორენტინა | 18 | 6 | 5 | 7 | 20-20 | 23 |
| 12. ჯენოა | 18 | 6 | 5 | 7 | 13-15 | 23 |
| 13. კიევო | 19 | 5 | 7 | 7 | 19-21 | 22 |
| 14. ბოლონია | 19 | 6 | 7 | 6 | 19-24 | 22 |
| 15. პარმა | 19 | 5 | 7 | 7 | 19-23 | 22 |
| 16. კატანია | 19 | 5 | 6 | 8 | 17-24 | 21 |
| 17. ჩეზენა | 18 | 5 | 4 | 9 | 13-21 | 19 |
| 18. ლეჩე | 19 | 5 | 3 | 11 | 18-36 | 18 |
| 19. ბრეშა | 19 | 4 | 3 | 12 | 15-26 | 15 |
| 20. ბარი | 19 | 3 | 5 | 11 | 12-28 | 14 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

**ბომბარდირები:** 13 – დი ნატალე, კავანი (ნაპოლი); 11 - დი ვაიო (ბოლონია); 10 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 9 - კვალიარელა (იუვენტუსი), ეტოო (ინტერი), ბორიელო (რომა).

**ლაშა ნიკლაური**

**ინგლისი. პრემიერლიგა. XXIII ტურის წინ**

# საით გაუხვევს სიუჟეტი?

**დღეს**

**ჩელსი-ბლექბერნი** 19:00
**ტრავმა:** მიკელი, ალექსი, ჟირკოვი, ბენაიუნი - ჯონსი, გრელა, ენდრიუსი, რობერტსი

**მანჩესტერ სიტი-ვულვზი** 19:00
**დისკვალიფიკაცია:** ელოკობი (ვულვზი)
**ტრავმა:** რიჩარდსი, ბალოტელი - მენსიენი, ედუარდსი, ნაითი, გედიურა, დევისი

**სტოკი-ბოლტონი** 19:00
**ტრავმა:** სიდიბე - სტეინსონი, ჰოლდენი, ო'ბრეინი, სემუელი, გარდნერი

**ვესტ ბრომვიჩი-ბლექპული** 19:00
**დისკვალიფიკაცია:** ოლსონი (ვესტ ბრომვიჩი)
**ტრავმა:** რიდი, მეტოკი - გრენდინი, ჰერევუდი, ბეშემი, გილკსი, ოლმონდი, კლარკი

**უიგანი-ფულჰემი** 19:00
**ტრავმა:** კლივერლი, დი სანტო, მაკკარტი, მოზესი - ბრიგსი, სენდეროსი, ზამორა

**ვესტ ჰემი-არსენალი** 21:30
**დისკვალიფიკაცია:** სანია (არსენალი)
**ტრავმა:** დაიერი, მაკკარტი, იაკობსენი, ილუნგა, ედგარი, და კოსტა, ჰიცშპერგერი, კოლისონი, კურუში – დიაბი, ალმუნია, ვერმაელენი, ფრიმპონგი, გიბსი, ფაბიანსკი, სკილაჩი

**ხვალ**

**ბირმინგემი-ასტონ ვილა** 16:00
**დისკვალიფიკაცია:** ე. იანგი, ჰესკი (ორივე ასტონ ვილა)
**ტრავმა:** მაკფადენი, დანი – ლ. იანგი, დელფი

**სანდერლენდი-ნიუკასლი** 16:00
**ტრავმა:** მეილერი, კეტერმოლი, ტერნერი, კემპბელი, მენსა – ქეროლი, ტიოტე, ბენ არფა, რ. ტეილორი

**ლივერპული-ევერტონი** 18:05
**დისკვალიფიკაცია:** ჯერარდი (ლივერპული)
**ტრავმა:** კარაგერი – ჯეგიელკა

**ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ.** 20:10
**დისკვალიფიკაცია:** ქაბული, დეფო (ორივე ტოტენჰემი)
**ტრავმა:** ო'ჰარა, ჰადლსტოუნი, კინგი, ვუდგეიტი – ო'ში, ჰარგრივსი, ვალენსია

რაღ უნდა ლაპარაკი, რომ პრემიერლიგის 23-ე ტურის მატჩებიდან ყველაზე მეტად „უაით ჰარტ ლეინზე" კვირას დანიშნული შეხვედრა ხვდება თვალს - „ტოტენჰემ ჰოთსპური" „მანჩესტერ იუნაიტედს" მასპინძლობს. ბოლოს ლონდონის ამ სტადიონზე „სფურზმა" მანჩესტერელი სტუმრები 2001 წელს დაამარცხა - 3:1. მაშინ **პოლ სქოულზი** და **რაიან გიგზი** თავჩაქინდრულნი ტოვებდნენ მოედანს და ნამდვილად არ ფიქრობდნენ იმაზე, რომ ზუსტად ათი წლის შემდეგ კვლავ ექნებოდათ იმავე მეტოქესთან, იმავე სტადიონზე თამაშის შანსი და, რაც მთავარია, მთელი ამ ხნის განმავლობაში უფრო ზუსტად კი 19 დაპირისპირებაში ერთხელაც არ დამარცხდებოდნენ. მაგრამ, ხვალ, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა იყო ბოლო ათი წლის განმავლობაში. თუ „დეზებს" ამ სეზონში ოთხეულში მოხვედრა უნდათ (შესაძლო ჩემპიონობაზე რომ არაფერი ვთქვათ), აუცილებლად უნდა გაიმარჯვონ. ლონდონელთა წარმატების შემთხვევაში ცხრილში, რომელსაც სათავეში 44 ქულით სწორედ „იუნაიტედი" უდგას, ბევრი რამ შეიცვლება, ხოლო ჩემპიონატს ვინ მოთვლის მერამდენედ გადაუსხვაფერდება სცენარი.

მოგეხსენებათ, სანამ ამერიკაში შესვენებაა, ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი და „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ვარსკვლავი **დევიდ ბექჰემი** ლონდონშია და „ტოტენჰემთან" ერთად ვარჯიშობს. „ბექზს" ფორმის შესანარჩუნებლად „დეზების" ოფიციალურ შეხვედრებშიც უნდოდა მონაწილეობა, ხოლო პრესა მის „მანჩესტერ იუნაიტედთან" თამაშზე უკეთესს რას ინატრებდა, მაგრამ ყოფილი გმირისა და მისი გმირად შემქმნელი გუნდის დაპირისპირება ვერ შედგება - ბექჰემის ამერიკული გუნდი „ლოს ანჯელეს გელექსი" ვეტერანს თამაშის ნებას არ რთავს. სხვათა შორის, ზემოთ ნახსენებ ათი წლის წინანდელ შეხვედრაში ბექჰემს მონაწილეობა არ მიუღია.

ითამაშებს თუ არა ხვალ სქოულზი, უცნობია. ის ნოემბრის შემდეგ საზარდულს მკურნალობს, აი, გიგზს კი უეჭველად ვიხილავთ. ვნახავთ **უეინ რუნისა** და **ნემანია ვიდიჩსაც,** რომლებმაც წინა შეხვედრა გამოტოვეს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი ვიდიჩის გამოჩენაა, რადგან კრიტიკოსებმა ბოლო ხანს „იუნაიტედს" სწორედ დაცვაში დაუწუნეს თამაში.

შეგახსენებთ, რომ რუნის 2010 წლის მარტის შემდეგ კომბინაციიდან ანუ პენალტის დაუხმარებლად გოლი არ ჰქონდა გატანილი და მხოლოდ 2011 წლის 1 იანვარს, „ვესტ ბრომვიჩთან" შეხვედრაში გატეხა ნავსი, მაგრამ იმავე შეხვედრაში კოჭი იტკინა და შემდეგი ორი თამაშის გამოტოვება მოუხდა.

და რაკილა ახლანდელი ამბების ათი წლის წინანდელთან შედარებით დავიწყეთ: ახლანდელი „ტოტენჰემი" გაცილებით უკეთესი გუნდია და მიზნებიც გაცილებით სერიოზული აქვს. „დეზებმა" მიმდინარე ჩემპიონატში ერთადერთხელ წააგეს, „უიგან ატლეტიკთან", „მანჩესტერ იუნაიტედმა" კი სტუმრად შვიდი ფრე ითამაშა და მხოლოდ ორჯერ წააგო.

სტუმრად შვიდი ფრე და ორი მოგება „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" შესაძლოა მთლად საამაყო შედეგი ვერ არის, მაგრამ „ლივერპულისთვის" ოცნებაზე მეტია - მერსისაიდელებმა ოთხშაბათს „ბლექპულთან" წააგეს და ახლა საქალაქო დერბის ასე ხვდება: 11 შეხვედრიდან ორი ფრე, ერთი გამარჯვება და დანარჩენი მარცხი. **კენი დალგლიშის** ეფექტი ჯერ არ ამოქმედებულა. ლეგენდარულმა კაცმა პირველი თამაში ფეხბურთის ასოციაციის თასზე წააგო, მეორე პრემიერლიგაში, ოღონდ სტუმრად და ახლა, „წითლების" ფანებს შეუძლიათ გული იმით გაიკეთონ, რომ დალგლიში შინ პირველად თამაშობს და აი, აქ კი გატეხავს ნავსს - შოტლანდიელი, ვინც მთელი ცხოვრება „ევერტონის" „ტანჯვა-წვალებით" იყო ცნობილი, იმედოვნებს, რომ ძველ ტრადიციას აღადგენს. მეორე მხრივ კი ჩახედეთ ცხრილს: „ევერტონი" და „ლივერპული" ქულებით ტოლად არიან...

ფეხბურთის ასოციაციის თასზე „იფსვიჩთან" 7:0 გამარჯვების შემდეგ „დიდი შემოტრიალებისთვის" ემზადება „ჩელსიც". ინგლისის ჩემპიონი დღეს „ბლექბერნს" მასპინძლობს. იმავე „იფსვიჩმა" სამი დღის შემდეგ „ქარლინგის თასზე" 1:0 მოუგო „არსენალს"... „მეთოფეები" ლონდონშივე, ოღონდ სტუმრად, „ვესტ ჰემს" ეთამაშებიან.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 20 | 12 | 8 | 0 | 43:19 | 44 |
| 2. სიტი | 22 | 12 | 6 | 4 | 33:16 | 42 |
| 3. არსენალი | 21 | 12 | 4 | 5 | 42:22 | 40 |
| 4. ტოტენჰემი | 21 | 10 | 6 | 5 | 31:25 | 36 |
| 5. ჩელსი | 21 | 10 | 5 | 6 | 36:19 | 35 |
| 6. სანდერლენდი | 22 | 8 | 9 | 5 | 25:22 | 33 |
| 7. ბოლტონი | 22 | 7 | 9 | 6 | 34:29 | 30 |
| 8. ნიუკასლი | 21 | 8 | 4 | 9 | 34:31 | 28 |
| 9. ბლექპული | 20 | 8 | 4 | 8 | 29:33 | 28 |
| 10. ბლექბერნი | 22 | 8 | 4 | 10 | 29:35 | 28 |
| 11. სტოკი | 21 | 8 | 3 | 10 | 26:26 | 27 |
| 12. ევერტონი | 21 | 5 | 10 | 6 | 23:25 | 25 |
| 13. ლივერპული | 21 | 7 | 4 | 10 | 25:29 | 25 |
| 14. ფულჰემი | 21 | 4 | 10 | 7 | 22:24 | 22 |
| 15. ბირმინგემი | 20 | 4 | 10 | 6 | 20:25 | 22 |
| 16. ვესტ ბრომვიჩი | 21 | 6 | 4 | 11 | 26:39 | 22 |
| 17. ვულვზი | 21 | 6 | 3 | 12 | 21:34 | 21 |
| 18. ასტონ ვილა | 21 | 5 | 6 | 10 | 23:38 | 21 |
| 19. უიგანი | 21 | 4 | 9 | 8 | 18:33 | 21 |
| 20. ვესტ ჰემი | 22 | 4 | 8 | 10 | 22:38 | 20 |

**ბომბარდირები:** 14 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 12 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 11 - ქეროლი (ნიუკასლი); 9 - ტ. კეჰილი (ევერტონი), ელმანდერი (ბოლტონი), ნასრი (არსენალი), ნოლანი (ნიუკასლი), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი); 8 - ბენტი (სანდერლენდი), დროგბა - (ჩელსი), მალუდა (ჩელსი); 7 - ბეილი (ტოტენჰემი), კემპბელი (ბლექპული), შამახი (არსენალი), კ. დევისი (ბოლტონი).

**ილია ბაბუნაშვილი**


რუნი ლონდონელებთან ბრუნდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XIX ტურის წინ



ჟულიო ბაპტიშტას დებიუტი კამპ ნოუზე შედგება

# ეკვადორთან

## გრანდული გარჩევები ანდალუსიელებთან

**დღეს**

**ხეტაფე-რეალ სოსიედადი** 21:00

**დისკვალიფიკაცია:** მიკუ (ხეტ)
**ტრავმა:** არისმენდი, მარიო - კ. მარტინესი, იფრანი

**სპორტინგი-ერკულესი** 21:00

**დისკვალიფიკაცია:** ხოსე ანხელი (სპორ)
**ტრავმა:** სერხიო (იჯარით გაუშვეს), მორანი (?), ბოტია - პასი, ტომერი (?), ტ. გომეში

**ვილიარეალი-ოსასუნა** 21:00

**დისკვალიფიკაცია:** ნეკუნამი, მასუდი (აზიის თასზე), პუნიალი (ოსას)
**ტრავმა:** კასორლა, ხუან კარლოსი, ბრუნო (?), ა. ლოპესი, ნილმარი, სენა, მარჩენა - პანდიანი, მონრეალი, რუპერი, მედინა

**სარაგოსა-ლევანტე** 21:00

**დისკვალიფიკაცია:** ბალესტეროსი, ხუანფრანი (ლევ)
**ტრავმა:** იაროშიკი (?) - კაისედო (?), მ. პერესი, ნ. გონსალესი

**ბილბაო-რასინგი** 23:00

**დისკვალიფიკაცია:** სან ხოსე (ბილ)
**ტრავმა:** ფ. ლორენტე (?), ამორებიეტა, პერესი, აურტენეჩე - სერანო, ციოლისი, კენედი (?), კოლტორტი (?)

**სევილია-ესპანიოლი** 01:00

**ტრავმა:** პალოპი, ფასიო (?) - ოსვალდო, დ. გარდია, დ. ლოპესი (?), პენია, გალანი, მატიონი

**ხვალ**

**ვალენსია-დეპორტივო** 20:00

**დისკვალიფიკაცია:** ადურისი - რ. პერესი
**ტრავმა:** ალბელდა - ურეტა, ფერნანდესი, გუარდადო, მიჩელი, რიკი, მორელი

**ალმერია-რეალი** 22:00

**ტრავმა:** ნიეტო, პელერანო - დუდეკი, იგუაინი, მ. დიარა, პეპე

**ბარსელონა-მალაგა** 00:00

**ტრავმა:** გამესი, გონსალესი, რუბენი, გალატო (მალაგა)

**ზეგ**

**ატლეტიკო-მალიორკა** 00:00

**ტრავმა:** მ. სუარესი (ატლეტიკო)

პრიმერადივიზიონის I წრის ბოლო ტურის დიდი ნაწილი შაბათს გაიმართება, თუმცა ჩემპიონობისთვის მებრძოლნი კვირას ჩაერთვებიან საქმეში. ტურს კი ორშაბათს, რაც უკვე ტრადიციად იქცა, „ატლეტიკო“ დააგვირგვინებს „ვისენტე კალდერონზე“...

გრანდებს შეღავათი იმიტომ მიეცათ, რომ მათ შუა კვირაში „სამეფო თასზე“ იასპარეზეს და დასასვენებლად მეტი დრო ესაჭიროებოდათ, თუმცა ანალოგიური შეღავათის გაკეთება „ვილიარეალისა“ და „სევილიასთვის“ (რომელთაც შუა კვირაში ფანტასტიკური მატჩი გვაჩუქეს) არავის გახსენებია. მაშ ასე, კვირას **ჟოზე მოურინიოს** „რეალი“ „ალმერიას“ ესტუმრება, ხოლო ჩემპიონი „ბარსელონა“ „მალაგას“ მასპინძლობს. ამ ორი დაპირისპირებიდან უდავოდ უკანასკნელი უფრო საინტერესოა, „მალაგას“ სახეცვლილების გამო.

ამ დაპირისპირების მონაწილეთა ერთი ფეხბურთელი გუნდს იცვლის და სწორედ ოპონენტთა ბანაკში გადადის - ლაპარაკია **გაბრიელ მილიტოზე**, რომლის დამატებასაც ანდალუსიური კლუბი დღეს გამოაცხადებს ოფიციალურად. დღეიდან გაბრიელ მილიტო „ბარსას“ კი ეკუთვნის, მაგრამ იჯარით „მალაგაში“ თამაშობს. ითამაშებს თუ არა არგენტინელი სადებიუტო მატჩშივე „ბარსას“ წინაალმდეგ, ბურუსითაა მოცული. ალბათ, არა.

„ბეტისთან“ მოგების შემდეგ **პეპ გვარდიოლამ** გუნდი დახურულ კარს მიღმა ავარჯიშა. ეს იყო ჩვეულებრივი ვარჯიში, ერთი გამონაკლისით, ვერსად დალანდავდით პირველი გუნდის მეკარეებს, **ვიქტორ ვალდესს** და **პინტოს**, მათ ნაცვლად მთავარ გუნდთან სარეზერვო შემადგენლობის მეკარეებმა, **ოიერ ოლასაბალმა** და **რუბენ მინიომ** ივარჯიშეს. სარეზერვო გუნდიდან კიდევ ერთი ფეხბურთელი იყო, თუმცა **ტიაგო ალკანტარას** ბოლო დროს ხშირად ვხედავთ მთავარ გუნდში. უახლოეს დღეებში პეპი 40 წლის ხდება, ვნახოთ, რა საჩუქარს გაუკეთებს მას მესი და კომპანია. „მალაგას“ ახალმა თავკაცმა **მანუელ პელეგრინიმ** ფაქტობრივად თავიდან ააწყო გუნდი, ჩილელმა დეკემბერ-იანვარში **ენცო მარესკა, მარტინ დემიკელისი, ჟულიო ბაპტიშტა, ნაჩო კამაჩო, სერხიო ასენხო** და მილიტო დაიმატა. ანდალუსიელები უკვე 4 ქულით უსწრებენ გასავარდნ ზონას და, წესით, ასეთი ფინანსებით და ფეხბურთელებით არ უნდა გავარდნენ.

„მალაგას“ ვარჯიშზე ტრავმების გამო **ხესუს გამესმა, ივან გონსალესმა** და მეკარე **რუბენმა** ვერ მიიღეს მონაწილეობა. სამაგიეროდ, გამოჩნდა **ხავიერ მალაგუენო.** თუკი მილიტოს საკითხი ჯერ გაურკვეველია, **ჟულიო ბაპტიშტამ** უკვე სრულფასოვნად ივარჯიშა ახალ გუნდში და „რომას“ ექსფორვარდს „კამპ ნოუზე“ ვიხილავთ.

ესპანეთის უკიდურეს სამხრეთში მიდის „სამეფო კლუბი“, გაჭირვებულ „ალმერიასთან“ სათამაშოდ, რომელიც კარგად მხოლოდ თასზე ასპარეზობს. დერბიში გამარჯვების შემდეგ ჟოზემ ვერ დაასვენა თავისიანები, პორტუგალიელმაც ვარჯიში დახურა გარეშე თვალისთვის. „ლოს ბლანკოსის“ ბანაკიდან არ გამოსულა ახალი ტრავმის ამბავი, ასე რომ, „ალმერიასთან“ ვერ ითამაშებენ მხოლოდ **პეპე, იგუაინი, დუდეკი** და **მაჰამადუ დიარა** (პირადი პრობლემა).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 18 | 16 | 1 | 1 | 57-10 | 49 |
| 2. რეალი | 18 | 15 | 2 | 1 | 46-16 | 47 |
| 3. ვილიარეალი | 18 | 11 | 3 | 4 | 34-18 | 36 |
| 4. ვალენსია | 18 | 10 | 4 | 4 | 27-20 | 34 |
| 5. ესპანიოლი | 18 | 10 | 1 | 7 | 23-24 | 31 |
| 6. ატლეტიკო | 18 | 8 | 3 | 7 | 28-23 | 27 |
| 7. ხეტაფე | 18 | 8 | 3 | 7 | 28-25 | 27 |
| 8. მალიორკა | 18 | 8 | 3 | 7 | 23-21 | 27 |
| 9. სევილია | 18 | 8 | 2 | 8 | 25-29 | 26 |
| 10. ბილბაო | 18 | 8 | 2 | 8 | 27-30 | 26 |
| 11. ერკულესი | 18 | 6 | 4 | 8 | 22-26 | 22 |
| 12. სოსიედადი | 18 | 7 | 1 | 10 | 25-31 | 22 |
| 13. დეპორტივო | 18 | 5 | 6 | 7 | 15-24 | 21 |
| 14. რასინგი | 18 | 5 | 5 | 8 | 14-24 | 20 |
| 15. ოსასუნა | 18 | 4 | 6 | 8 | 15-21 | 18 |
| 16. მალაგა | 18 | 5 | 2 | 11 | 23-37 | 17 |
| 17. ლევანტე | 18 | 4 | 3 | 11 | 19-29 | 15 |
| 18. სპორტინგი | 18 | 2 | 7 | 9 | 15-27 | 13 |
| 19. ალმერია | 18 | 2 | 7 | 9 | 16-31 | 13 |
| 20. სარაგოსა | 18 | 2 | 7 | 9 | 16-32 | 13 |

**ბომბარდირები:** 22 - რონალდო (რეალი); 18 - მესი (ბარსელონა); 12 - ვილია (ბარსელონა); 11 - ფ. ლორენტე (ბილბაო); 10 - ნილმარი (ვილიარეალი); 9 - როსი (ვილიარეალი), პედრო (ბარსელონა), ტრეზეგე (ერკულესი); 8 - კანუტე (სევილია); 7 - იგუაინი (რეალი), ადურისი (ვალენსია), ფ. კაისედო (ლევანტე), აგუერო (ატლეტიკო), ვალდესი (ერკულესი).

სამეფო თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები

# ჟოზე: კარგი იყო, მაგრამ მეტიც შეიძლებოდა

## ალმერიას შანსი

ხუთშაბათის მეოთხედფინალური მატჩებიდან მადრიდული დერბი განსაკუთრებული იყო, თუმცა თავიდან „ალმერიასა“ და „დეპორტივოს“ დაპირისპირებაზე ვთქვათ - **ხუანმა ორტისის** ერთადერთი გოლით ანდალუსიურმა გუნდმა იმარჯვა, მაგრამ ეყოფა თუ არა მცირე უპირატესობა „რიასორზე“ საპასუხო მატჩში (რომელიც 19 იანვარს გაიმართება) აუტსაიდერს, ჯერ კიდევ საკითხავია. „ალმერია“ ლა ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის, მაგრამ „სამეფო თასის“ წყალობით, შეიძლება, ევროთასებზეც კი მოხვდეს. ამის, რა თქმა უნდა, ნაკლებად გვჯერა, თუმცა მოვლენებს წინ არ გავუსწრებთ.

უსახური თამაში გამოდგა, დაცვაში შეცდომის ორივე გუნდს ეშინოდა და ფაქტობრივად არ უტევდა. 34-ე წუთზე ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, როცა მარცხნიდან ჩაწოდებული ბურთი, სტუმართა რამდენიმე ფეხბურთელის გავლით ორტის მიუვიდა და მანაც „დეპორტივოს“ კარი დალაშქრა. სტუმრები ამანაც არ გამოაფხიზლა, გალისიელები ისევ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ფიქრობდნენ. მოკლედ ყველაფერი 19-ში გადაწყდება.

**ხოსე ლუის ოლტრა** (ალმერია): *„ჩვენ ძლიერად ვითამაშეთ და დაცვაში შეცდომა არ დაგვიშვია. მეტოქეს გოლის გატანის ერთი შანსიც კი არ ჰქონია. ამ წყვილში არაფერი გარკვეულა, „რიასორზე“ უნდა ვიომოთ და ნახევარფინალში გავიდეთ. ერთი გოლი ჩვენკენაა, მაგრამ თავისუფლად შეიძლებოდა ორიც ყოფილიყო“.*

**მიგელ ანხელ ლოტინა** (დეპორტივო): *„დეპორტივო“ აქცენტს ლა ლიგაზე აკეთებს, ჩვენთვის ამ ეტაპზე თასზე თამაში პრიორიტეტული არ არის. ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ მეტოქემ მაინც შეძლო თავისი თამაში მოეხვია ჩვენთვის“.*

| ალმერია-დეპორტივო | 1:0 |
|---|---|

**ალმერია (4-4-2):** ესტებანი - მიჩელი, ს. ფერნანდესი, კ. გარსია, ბერნარდელო - ხუანმა ორტისი, მბამი, კორონა (88. პელერანო), პიატი (76. კრუსატი) - ულოა, უჩე.

**დეპორტივო (5-4-1):** მანუ - მ. პაბლო, ლოპო (46. ადრიანი), ზე კასტრო, რინდაროი, როჩელა - ხ. როდრიგესი (73. ჟუკა), რ. პერესი, ალვარესი (60. ვალერონი), დეზმარე - ლასადი.

**გოლი:** 1:0 ხუანმა ორტისი (34)

დერბიში „რეალმა“ 3:1 მოიგო, **მესუთ იოზილის** გოლმა ბოლო წუთებზე „ბლანკოს“ ნახევარფინალში გასვლის უკეთესი შანსი მისცა. **ჟოზე მოურინიო** ინარჩუნებს უნიკალურ რეკორდს „სანტიაგო ბერნაბეუზე“.

თამაში კი უკეთ სტუმრებმა დაიწყეს, მათი პირველივე კონტრშეტევა გოლით დასრულდა - **ხოსე რეიესმა** გრძელი პასით **სერხიო აგუერო** მოძებნა, რომელიც აშკარად თამაშგარე მდგომარეობაში იყო, თუმცა ეს თანამსაჯმა ვერ შენიშნა და აგუერო **იკერ კასილიასთან** პირისპირ გავიდა, იკერმა თითქოს შეძლო გუნდის გადარჩენა, ოღონდ წესის დარღვევით, მაგრამ იქვე ჩასაფრებულმა **დიეგო ფორლანმა** გაიტანა. მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელმა კარიერაში ერთ-ერთი იოლი გოლი შეაგდო და ამით, ალბათ, კასილიასიც იხსნა გაძევებისგან.

„რეალი“ წაგებებს ჩვეული არ არის და ჟოზეს ბიჭებმა საპასუხოდ რამდენჯერმე მწვავედ შეუტიეს, **კრიშტიანო რონალდომ** ორჯერ შორი მანძილიდან შეაშინა „ატლეტიკოს“ ფანები, საპასუხო გოლი კი **სერხიო რამოსმა** გაიტანა, კუთხურის ჩაწოდების შემდეგ საჯარიმოში ყველაზე მაღლა (თვით **დე ხეაზე**) სწორედ მსოფლიოს ჩემპიონი მცველი ახტა და თავით დიდებული გოლი გაიტანა.

დრო გადიოდა და „ატლეტიკო“ მისთვის ხელსაყრელ ანგარიშს ინარჩუნებდა, მაგრამ თამაშის დაწყებიდან ერთი საათის გასვლის შემდეგ „რეალმა“ ხელთ იგდო დამსახურებული ლიდერობა შეხვედრაში. კრიშტიანო რონალდომ ნავსი გატეხა და პირველად კარიერაში გაუტანა „ატლეტიკოს“ - ყველაფერი კი იოზილის ბრწყინვალე ჩაწოდებას მოჰყვა. შეხვედრის დასრულებას წამები უკლდა, როცა იმავე იოზილმა გამოიჩინა თავი, ორი საგოლე პასის შემდეგ ახლა გოლი გაიტანა, გერმანელს ბურთი რიკოშეტის წყალობით მიუვიდა. მატჩში საუკეთესოები იოზილი, **დი მარია** და რონალდო იყვნენ, წაგებულთა შორის კი - დე ხეა. სხვათა შორის, „ატლეტიკოს“ შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა „ოსასუნადან“ ნაყიდ **ხუანფრანს**, რომელიც ყოფილი რეალელია.

**ჟოზე მოურინიო** (რეალი): *„თანამსაჯი რომ შეცდა სტუმართა გოლის შემთხვევაში, ყველამ კარგად დაინახა. ანგარიშის მიუხედავად, პირველ ტაიმში უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე მეორეში. 3:1 კარგი ანგარიშია, მაგრამ მეტიც შეიძლებოდა და საჭიროც იყო“.*

**კიკე ფლორესი** (ატლეტიკო): *„ორრაუნდიან ბრძოლებში ბევრი ვერ გვაჯობებს, ამიტომაც მივიჩნევ, რომ ჩვენ შეგვიძლია ორბურთიანი ჩამორჩენის გაბათილება. ყოველ შემთხვევაში, საპასუხო მატჩში ცდას არ დავაკლებთ. სიმართლე გითხრათ, მეტოქე ძალიან მომეწონა, „რეალი“ ჩემპიონატის მატჩში ასე კარგად ვერ გვეთამაშა, დღევანდელი მეტოქით მოხიბლული ვარ“.*

| რეალი-ატლეტიკო | 3:1 |
|---|---|

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, ს. რამოსი, რ. კარვალიო, მარსელო - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია (89. გაგო), იოზილი (89. გრანერო), რონალდო - ბენზემა (56. კაკა).

**ატლეტიკო (4-4-2):** დე ხეა - უიფალუში, დომინგესი, პერეა, ფ. ლუიში - რეიესი, რ. გარსია (50. მ. სუარესი), ასუნსაო, ხუანფრანი (89. ვალერა) - აგუერო, ფორლანი (78. ფ. მერიდა).

**გოლები:** 0:1 ფორლანი (7), 1:1 ს. რამოსი (14), 2:1 რონალდო (61), 3:1 იოზილი (89).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



დერბის გმირის მორიგი შეტევა

ამბები

## რონალდო ვერ მაჯობებს

ჟერარდ პიკე აცხადებს, რომ, ერთი-ერთზე ორთაბრძოლისას **კრიშტიანო რონალდო** მას ვერაფერს დააკლებს, რადგან "მანჩესტერ იუნაიტედში" ერთად ყოფნისას პორტუგალიელის ყველა ფინტი ზედმიწევნით შეისწავლა.

ამაზე პიკემ ჰოლანდიურ "ფუტბოლთან" ინტერვიუში ისაუბრა და იქვე არც რონალდოს შექება დაავიწყებია. *"იმის მიუხედავად, რომ მისი ყველა მოქმედება გაშიფრული მაქვს, ვაღიარებ, რომ კრიშტიანო მსოფლიო დონის ვარსკვლავია. გარდა ამისა, იგი კარგი პიროვნებაა. ბევრს ჰგონია, რომ ქედმაღალია, მაგრამ პირიქით, ძალიან უბრალო და მეგობრული ბიჭია"*, - ამბობს ბარსელონელი.

იმავე ინტერვიუში მან **სესკ ფაბრეგასის** "ბარსელონაში" სავარაუდო ტრანსფერზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ მისი შეძენის შემთხვევაში გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდება.

## ლაზარეთს კასორლა და სხვებიც შეემატნენ

"ვილიარეალის" საკადრო პრობლემები გრძელდება. მცველ **ანხელ ლოპესის** მძიმე ტრავმის შემდეგ **სანტი კასორლაც** დაშავდა, ოღონდ შედარებით მსუბუქად. მან მუხლის ტრავმა ესპანეთის თასის მეოთხედფინალში, "სევილიასთან" 3:3 დასრულებული მატჩისას მიიღო.

ექიმთა პროგნოზით, კასორლას "ვილიარეალის" ორი უახლოესი შეხვედრა გაუცდება – "ოსასუნასთან" პრიმერადივიზიონში და "სევილიასთან" განმეორებითი სათასო დაპირისპირება.

იმავე "სევილიასთან" მატჩში "ვილიარეალს" კიდევ ორი, ოღონდ ნაკლებად მნიშვნელოვანი ფეხბურთელი დაუშავდა – სათადარიგო მეკარე **ხუან კარლოსი** დაახლოებით თვე-ნახევარს იუქმებს, ნახევარმცველი **ბრუნო სორიანო** კი ორ კვირას.

## პრემიერლიგას შემცირება ემუქრება

იმ შემთხვევაში, თუ 25 იანვრამდე პერმის "ამკარი" ინვესტორს ვერ იპოვის და რუსეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგაში ფინანსურ გარანტიებს ვერ წარადგენს, მის ადგილს არავის გადასცემენ და რუსულ პრემიერლიგაში მხოლოდ 14 კლუბი იასპარეზებს. პრემიერლიგას არასპორტული მიზეზით უკვე გამოეთიშა რამინსკოეს "სატურნი", რომელიც ვალების გამო უკვე ლიკვიდირებულია. რაც შეეხება პრემიერლიგაში თამაშის მსურველ "კრასნოდარს", მას მწვანე შუქს მხოლოდ მაშინ აუნთებენ, თუ "ამკარი" ელიტაში ადგილის შენარჩუნებას შეძლებს.

## მორენომ აღიარა

ალბათ გახსოვთ, რომ შარშან ნიუ იორკის აეროპორტში ნარკოტიკები აღმოუჩინეს 2002 წლის მუნდიალზე გამართული იტალია-კორეის სკანდალური მატჩის არბიტრს, ეკვადორელ **ბაირონ მორენოს**. ბუნებრივია, იგი იქვე დააკავეს. გუშინ კი ამერიკულმა სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ სასამართლოზე ყოფილმა მსაჯმა დანაშაული – აშშ-ის ტერიტორიაზე 6 კილოგრამი ჰეროინის შეტანის მცდელობა აღიარა. მორენოს 5 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

იტალიის თასი. 1/8 ფინალი

# იუვემ ნავსი გატეხა

**იუვენტუსი–კატანია 2:0**

**იუვენტუსი (5-3-2):** ბუფონი – სორენსენი, ბონუჩი, კიელინი, გროსო (46. გრიგერა) – კრასიჩი, მელო, მარკიზიო, პეპე – ტონი (63. აკვილანი), დელ პიერო (90. მოტა).

**კატანია (4-1-4-1):** კამპანოლო – ავგუსტინი, სილვესტრი, სპოლი (90. სტრუმბო), მარკეზე – შაკა - ანტენუჩი, დელ ვეკიო, მარტინიო (76. პეშე), რიკიუტი – მასკარა (74. გომესი).

**გოლები:** 1:0 კრასიჩი (34), 2:0 პეპე (54).




ტურინის ოლიმპიურ სტადიონზე იტალიის თასის კიდევ ერთი მეოთხედფინალისტი გამოვლინდა და ეს გუნდი „იუვენტუსი" გახლავთ. **ლუიჯი დელ ნერის** სამნყსომ საკუთარ მოედანზე „კატანია" დაამარცხა და ამით, წარუმატებელი სერია შეწყვიტა. „იუვეს" გულშემატკივრებისთვის ერთი კარგი და მეორე ცუდი ამბავი გვაქვს - კარგია ის, რომ **ჯანლუიჯი ბუფონი** დაუბრუნდა მოედანს, ცუდი კი ის გახლავთ, რომ **ლუკა ტონი** დაშავდა და ლაზარეთში მინიმუმ სამი კვირით გადაინაცვლა. ეს ამბავი „კატანიასთან" შეხვედრის პირველივე ტაიმში მოხდა და დელ ნერი იძულებული გახდა, ვეტერანი ფორვარდი **ალბერტო აკვილანით** შეეცვალა. ნომინალური ნახევარმცველი კი იმად ჩაერთო თამაშში, რომ „იუვეს" სხვა ფორვარდი უბრალოდ აღარ ჰყავდა. შედეგად, აღნიშნული პაექრობა „ბიანკონერიმ" ერთი გამოკვეთილი შემტევით წარმართა და ისიც ვეტერანი **ალესანდრო დელ პიერო** გახლდათ. შეხვედრის უკანასკნელ წუთებზე ისიც შეცვალეს და მართლაც საინტერესო სურათი მივიღეთ - „იუვემ" 5-5-0 ტაქტიკით ჩაამთავრა თამაში.

მიუხედავად პრობლემებისა, ტურინელებმა ორი უპასუხო ბურთი გაუტანეს მეტოქეს და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს. პირველი **მილოშ კრასიჩის** ანგარიშზეა, ვინც მარცხენა ფრთიდან დელ პიეროს მიერ გაკეთებულ შესანიშნავ გადაცემას გამოეხმაურა და სიცილიელთა მეკარე უშანსოდ დატოვა. მეორე გოლი სტანდარტულს მოჰყვა - იმავე დელ პიეროს ჩაწოდების შემდეგ, **ჯორჯო კიელინიმ** შეუცვალა ბურთს მიმართულება, **სიმონე პეპე** კი საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდა და შეხვედრის საბოლოო რეზულტატი დააფიქსირა.

რამდენჯერმე გადაარჩინა გუნდი გაშვებული გოლისგან ჯანლუიჯი ბუფონმა, რომელიც ნამატჩევს გულშემატკივრებს ემადლიერებოდა: *„პირველ რიგში, მინდა ქომაგებს ვუთხრა დიდი მადლობა, რომლებიც მთელი შეხვედრის განმავლობაში ჩემს სახელს სკანდირებდნენ. ეს მართლაც საოცარი შეგრძნება იყო, რამაც ენერგიით ამავსო და ვფიქრობ, ურიგოდ არ მიასპარეზია"*.

**ლაშა წიკლაური**

რეალი

# რეალითი შოუ: კასტინგი 8 ფორვარდით



როგორც იქნა, „სამეფო კლუბში" აღიარეს, რომ „რეალი" თავდამსხმელს ეძებს. აქამდე, ეს მხოლოდ **ჟოზე მოურინიოს** ხმამაღლა გაცხადებული სურვილი იყო, რომელიც ირწმუნებოდა, **ქარიმ ბენზემას** არაფერს ვერჩი, ძალიან მონადინებულია, მაგრამ გუნდში არსებული სიტუაცია ახალ სისხლს ითხოვს შეტევაშიო. პრინციპში, ეს ბუნებრივიცაა, ერთადერთი სალსალამათი ფორვარდით თამაშს სეზონის განმავლობაში „რეალი" კი არა, სუსტი ევროპული კლუბი არ კადრულობს.

„მარკამ" საფუძვლიანად გამოიკვლია ჭორ-მართალი „რეალის" სატრანსფერო აქტივობაზე და დაასახელა ის 8 ფეხბურთელი, რომელიც ფაქტობრივად დაუსწრებელ კასტინგს გადის ახლა „რეალში". ერთ-ერთი მათგანი კი მალე **გონსალო იგუაინის** შეცვლას შეეცდება. მოკლედ, ეს ფეხბურთელებია: **მიროსლავ კლოზე, მარიო გომესი, ადამ სალაი, ემანუელ ადებაიორი, ლისანდრო ლოპესი, ტეოფანის გეკასი, ნელსონ ვალდესი** და **ლუიშ ფაბიანო**.

კასტინგი გახსნილად „რეალის" დირექტორმა **ხორხე ვალდანომ** გამოაცხადა, 3:1 მოგებული დერბის შემდეგ მან ოფიციალურად დაადასტურა, რომ „რეალი" თავდამსმელის შესაძენად ბაზარში მიდის. სხვა გზა „სამეფო კლუბს" არც აქვს, ქარიმ ბენზემა ბევრს კი ცდილობს, მაგრამ გოლები იშვიათად გააქვს, როდემდე უნდა იყოს ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდი **კრიშტიანო რონალდოს** სუპერპროდუქტიულობის იმედზე?

ვალდანო ამბობს, რომ კასტინგი „რეალში" მხოლოდ 6-თვიან თამაშზე გამოცხადდა, გუნდი სულაც არ ეძებს ისეთ ფეხბურთელს, რომელსაც შემდეგ სეზონებშიც დაეყრდნობა - ახალმა ფორვარდმა გუნდს შეტევაში შექმნილი კრიზისი უნდა გადაატანინოს და წავიდეს, მოკლედ ლაპარაკია იჯარაზე. „მარკას" მიაჩნია, რომ მაინც ყველაზე რეალური „მანჩესტერ სიტის" აფრიკელი შემტევი **ემანუელ ადებაიორის** გადმოსვლაა „სანტიაგო ბერნაბეუზე", რადგან მის კანდიდატურას თვით ჟოზე ლობირებს. ბრიტანული ტაბლოიდები ამტკიცებენ, რომ „სიტი" ტოგოელის იჯარით 1,2 მილიონი ევროს ფარგლებში მოითბობს ხელს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ვალენსია

# მატა ვალენსიაში, 2014 წლამდე


ხუან მატა

„ვალენსიას" ლიდერმა **ხუან მატამ** „ლოს ჩესთან" კონტრაქტი გააახანგრძლივა. ამის შესახებ საჯაროდ კლუბის პრეზიდენტმა **მანუელ ლორენტემ** განაცხადა, კლუბის ხელმძღვანელობის თავყრილობის შემდეგ. გარემარბის კონტრაქტი კლუბთან მომავალი სეზონის ბოლოს სრულდებოდა და მატამ რამდენჯერმე მოითხოვა ახალი ხელშეკრულების გაფორმება, თუკი მისი შენარჩუნება „ვალენსიაში" სურდათ. მატასთან და მის აგენტთან კლუბი მოლაპარაკებას წელიწადზე მეტია რაც მართავდა, მაგრამ აქამდე შედეგი არ ჩანდა. ბევრმა იფიქრა, რომ მატაც „ვალენსიას" სხვა ლიდერების ბედს გაიზიარებდა, რომელთაც კარიერა სხვაგან გააგრძელეს.

საზეიმო ცერემონიალი კონტრაქტის გაგრძელებასთან დაკავშირებით დღეს დენიაში გაიმართება. ახალ სეზონში მატამ „ვალენსიას" რიგებში (ყველა ტურნირში) 21 მატჩში 4 გოლი გაიტანა. ხუან მანუელ მატა ბურგოსელია, მისი კარიერა „ოვიედოში" დაიწყო და მადრიდის „რეალში" გაგრძელდა. 2006/07 წლების სეზონში მატამ „რეალის" სარეზერვო გუნდში 9 გოლი გაიტანა, შემდეგ „რეალის" ხელმძღვანელობათან კონტრაქტის გამო იჩხუბა და „ვალენსიაში" წავიდა. ესპანეთის ნაკრებში მატას 10 მატჩი აქვს ჩატარებული და 3 გოლი აქვს გატანილი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

[illegible]

ბიბლიოთეკა

## არამზითარი ზამთარი!

აზიის საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტი **მუჰამედ ბენ ჰამამი** კატეგორიულად გამორიცხავს მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის იანვარში ჩატარებას. მისი თქმით, ყატარული მუნდიალი აუცილებლად ზაფხულში გაიმართება.

*"მათ, ვინც ჩემპიონატის იანვარში ჩატარებას ითხოვს, საამისოდ არც წონადი არგუმენტები გააჩნიათ და არც რაიმე ბერკეტები. ეს მხოლოდ ჩემპიონატის ორგანიზატორთა გადასაწყვეტია, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ ტურნირი ტრადიციულ დროს გაიმართება და თანაც, უმაღლეს დონეზე"*, - აცხადებს ბენ ჰამამი.

არადა, მუნდიალის იანვარში ჩატარების ინიციატივით თვით იოზეპ ბლატერი გამოვიდა...

## გურკუფი ბრუნდება

"ლიონის" ნახევარმცველმა **იოან გურკუფმა** მუხლის ტრავმა მოიშუშა და საფრანგეთის ჩემპიონატის უახლოეს ტურში "ლორიანის" წინააღმდეგ თამაშს შეძლებს. გურკუფი 24 ნოემბერს, ჩემპიონთა ლიგაზე გელზენკირხენის "შალკეს" წინააღმდეგ გამართული მატჩისას დაშავდა. მოედანზე დაბრუნება მას დეკემბერშიც შეეძლო, მაგრამ "ლიონის" დამრიგებელმა **კლოდ პიუელმა** შეგირდის ჯანმრთელობით არ გარისკა და მას კიდევ ცოტა ხნით მოცდა ურჩია. ახლა კი, პიუელის თქმით, გურკუფი ბოლომდე განკურნებულია და მოედანზე 90 წუთის გატარება უპრობლემოდ შეუძლია.

სანამ დაშავდებოდა, გურკუფი "ლიონის" ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო და წესით, ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაბრუნება არ უნდა გაუჭირდეს.

## დრენტე დააბრუნეს

"ერკულესის" მთავარმა მწვრთნელმა **ესტებან ვიგომ როისტონ დრენტე** ხიხონის "სპორტინგთან" მატჩის განაცხადში შეიყვანა. ამ ფაქტზე თქვენს ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ ჰოლანდიელი უხელფასობის გამო გაფიცული იყო და დავალიანების გასტუმრებამდე თამაშზე უარს ამბობდა. მისი ნაბიჯით კლუბის ხელმძღვანელობა და სამწვრთნელო შტაბი არ აღფრთოვანებულა და "ერკულესის" წლევანდელმა ორმა მატჩმა ჰოლანდიელის გარეშე ჩაიარა, ახლა კი უთანხმოება, როგორც ჩანს, ამოწურულია.

## ემერი შეიძლება ზაფხულში წავიდეს

დიდია იმის ალბათობა, რომ სეზონის დასრულებისთანავე **უნაი ემერიმ** "ვალენსიას" თავკაცის პოსტი დატოვოს. როგორც ამბობენ, მას კლუბის ხელმძღვანელებთან, პრეზიდენტ **მანუელ ლორენტესა** და ტექნიკურ დირექტორ **ბრაულიო ვასკესთან** არცთუ გულთბილი ურთიერთობა აქვს. თურმე შეფებს მწვრთნელის არც სატრანსფერო პოლიტიკა მოსწონთ და არც სათამაშო სტილი.

არადა, 39 წლის ემერის სულაც არ აქვს ურიგო შედეგები. "ღამურები" პრიმერაში ამჟამად მეოთხე საფეხურზე არიან და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალშიც გავიდნენ. ემერი "ვალენსიას" 2008 წლიდან წვრთნის, მანამდე კი "ალმერიაში" მუშაობდა.

"ვალენსიასთან" დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო სიახლე ისაა, რომ კლუბი "მალიორკას" პლეიმეიქერ **გონსალო კასტროს** შეძენას აპირებს. 26 წლის ურუგვაელის ხელში ჩაგდება "ატლეტიკოსა" და "ვილიარეალსაც" სურთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ევროთასები

# ექსვიდან ექვსის შანსი


ანტონ ფეიქრიშვილი

ევროთასების გათამაშებაში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა ექვსი გუნდიდან პლეი ოფში გასვლის შანსი ექვსივეს აქვს. ყველაზე პრესტიჟულ „ჰაინეკენის თასის“ გათამაშებაში სამი „ქართული კლუბი“ თამაშობს და სამივე ლიდერთა შორისაა.

A ჯგუფში **აქვსენტი გიორგაძისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“ სტუმრად ეთამაშება უელსურ „კარდიფ ბლუზს“, რომელიც მომდევნო ეტაპზე გასვლის თეორიულ შანსს ინარჩუნებს. კასტრელებმა ოთხი თამაშიდან ორი მოიგეს და 10 ქულით მეორე ადგილზე არიან.

ალსანიშნავია, რომ წარმატების შემთხვევაში „კასტრი“ პლეი ოფის საგზურს გაინაღდებს. თუ არა და ერთი კვირის შემდეგ ბოლო ტურში შინ მოუწევს ბრძოლა ჯგუფის ლიდერ ინგლისურ „ნორსჰემპთონთან“.

უელსში „კასტრი“ უძლიერესი შემადგენლობით გაემგზავრა. ფეიქრიშვილი და გიორგაძე სათადარიგოთა შორის არიან. ამავე ჯგუფში „ნორსჰემპთონი“ შინ ეთამაშება შოტლანდიურ „ედინბურგს“, რომელიც ასევე პლეი ოფში გასვლისთვის იბრძვის.

### A ჯგუფი

**ნორსჰემპთონი-ედინბურგი, კარდიფი-კასტრი**

### სატურნირო მდგომარეობა

**ნორსჰემპთონი - 16 ქულა, კასტრი - 10, ედინბურგი - 7, კარდიფი - 6.**

B ჯგუფში **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი“ შინ „მეტრო რასინგს“ ეთამაშება. ორივე გუნდმა ორ-ორი მატჩი მოიგო, ცხრა-ცხრა ქულა დააგროვა. ისინი მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ. ჯგუფში სატურნირო მდგომარეობა საკმაოდ ჩახლართულია. პლეი ოფში გასვლის შანსს ბოლოადგილოსანი ინგლისური „სარასენზიც“ ინარჩუნებს, რომელმაც ერთი შეხვედრა მოიგო, ექვსი ქულა დააგროვა და სტუმრად ხვდება ლიდერს, ირლანდიურ „ლენსტერს“.

„ვულკანების“ მდგომარეობა გადამწყვეტი მატჩების წინ საგანგაშოა. „კლერმონს“ ტრავმების ეპიდემიამ დარია ხელი. არგენტინელ **მარტინ სკელსოს**, მისი თანამემამულე **მარიო ლედესმაც** დაემატა. ჯანმრთელად არაა დავით ზირაქაშვილიც, თუმცა ახალზელანდიელმა მწვრთნელმა **ვერნ კოტერმა** ის სათადარიგოთა შორის მაინც შეიყვანა.

### B ჯგუფი

**კლერმონი-მეტრო რასინგი, ლენსტერი-სარასენზი**

### სატურნირო მდგომარეობა

**ლენსტერი -14 ქულა, კლერმონი -9 , მეტრო რასინგი - 9, სარასენზი - 6.**

C ჯგუფში ლიდერი **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონია“. ჩვენებურის გუნდი შინ ეთამაშება უშუალო კონკურენტ ირლანდიურ „მანსტერს“, რომელსაც ორი ქულით უსწრებს. გამარჯვების შემთხვევაში ტულონელები პლეი ოფის საგზურს ერთი ტურით ადრე გაინაღდებენ. ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაშია. თავიდანვე ითამაშებს გუნდის ლიდერიც, მგეზავი **ჯონი ვილკინსონი**, რაც იმის დასტურია, რომ „ტულონი“ „ჰაინეკენის“ თასის გათამაშებას სერიოზულად უდგება.

ამავე ჯგუფში ინგლისური „ლონდონ აირიში“ შინ ეთამაშება „ოსფრიზს“.

### C ჯგუფი

**ტულონი-მანსტერი, ლონდონ აირიში-ოსფრიზი**

### სატურნირო მდგომარეობა

**ტულონი - 13 ქულა, მანსტერი - 11, ოსფრიზი - 10, ლონდონ აირიში - 5.**

„ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშებაში სამი ქართული გუნდიდან ორი ჯგუფის ლიდერია. ბოლოსწინა, მეხუთე ტური E ჯგუფის ლიდერ, „ლა როშელისა“ და **ბექა შეყლაშვილის** „აჟენის“ მატჩით გაიხსნა. აჟენელებმა სტუმრებს პირველი ტაიმი მინიმალური სხვაობით 14:13 მოუგეს. ანგარიშში ამ უპირატესობას ჩვენებურის გუნდი 72-ე წუთამდე ინარჩუნებდა - 17:16, მაგრამ ბოლო რვა წუთში ორი ლელო გაუშვა და 17:28 წააგო.

შეყლაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 48-ე წუთიდან ჩაერთო.

ამავე ჯგუფში აუტსაიდერი, იტალიური „როვიგო“ შინ ინგლისურ „გლოსტერს“ შეხვდება.

### E ჯგუფი

**აჟენი-ლა როშელი 17:28, როვიგო-გლოსტერი**

### სატურნირო მდგომარეობა

**ლა როშელი - 19 ქულა, აჟენი - 15, გლოსტერი - 11, როვიგო - 0**

B ჯგუფში **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივმა“ ოთხი თამაშიდან ოთხივე მოიგო და 18 ქულით პირველ ადგილზეა. ბრიველები უახლოეს მდევარ „სეილ შარქსს“ შვიდი ქულით უსწრებენ. ჩვენებურთა გუნდი ბოლოსწინა ტურში შინ მიიღებს ესპანურ „ელ სალვადორს“, რომელსაც აუცილებლად დაამარცხებს და პლეი ოფში გავა. კაკოვინი სათადარიგოთა შორისაა, ხინჩაგიშვილი ისვენებს.

ინგლისელები შინ ეთამაშებიან იტალიურ „პადოვას“, რომელიც ასევე უშანსოდაა.

### B ჯგუფი

**ბრივი-ელ სალვადორი, სეილ შარქსი-პადოვა**

### სატურნირო მდგომარეობა

**ბრივი - 18 ქულა, სეილ შარქსი - 11, პადოვა - 5, ელ სალვადორი - 4.**

C ჯგუფის ლიდერი **მამუკა გორგოძის, გიორგი ჩხაიძის, გოდერძი შველიძის, გიორგი ჟღენტისა** და **მიხეილ ნარიაშვილის „მონპელიეა“**. ჩვენებურთა გუნდმა ოთხი თამაშიდან სამი მოიგო და 13 ქულა დააგროვა. მონპელიელები უახლოეს მდევარ ინგლისურ „ექსეტერს“ ორი ქულით უსწრებენ. ბოლოსწინა ტურში კი, სტუმრად ითამაშებენ ინგლისურ „ნიუკასლთან“, რომელიც რვა ქულით მესამეა.

შველიძე და ჩხაიძე ძირითად შემადგენლობაში არიან. ჟღენტი და გორგოძე ისვენებენ.

„ექსეტერი“ შინ ეთამაშება ბოლოადგილოსან „ბურგუენს“

### C ჯგუფი

**ნიუკასლი-მონპელიე, ექსეტერი-ბურგუენი**

### სატურნირო მდგომარეობა

**მონპელიე - 13 ქულა, ექსეტერი - 11, ნიუკასლი - 8, ბურგუენი - 6**


დავით ქუბრიაშვილი (შუაში)

14 იანვარი მსოფლიო რაგბის ისტორიაში

### 1889 წელი

ახალი ზელანდიის ნაკრებმა „კასტელფორდთან“ 9:3 წააგო. „ოლ ბლექსისთვის“ ეს ახალი წლის დადგომიდან მოყოლებული მეშვიდე თამაში იყო. ორივე გუნდმა სამ-სამი ლელო გაიტანა. იორკშირელებმა წარმატებას ფეხჩუბინობის წყალობით მიაღწიეს.

### 1905 წელი

ინგლისის ნაკრებმა სტუმრად უელსში ყველაზე დიდი ანგარიშით წააგო - 25:0. გარემარბმა **ტედი მორგანმა** ორი ლელო გაიტანა. თითო ლელო მიითვალეს, **რასტი გებმა, დიკ ჯოუნზმა, ვილ ჰევეჰინმა** და **ბოქსი ჰარდინგმა**. თამაშს 30 ათასი მაყურებელი ესწრებოდა.

### 1956 წელი

ექვსი წლის განმავლობაში შოტლანდიის ნაკრებმა პირველად დაიწყო ხუთი ერის გათამაშება გამარჯვებით. „სკოტებმა“ საფრანგეთის ეროვნული გუნდი მშრალი ანგარიშით - 12:0 დაამარცხეს. „ლე ბლეს“ შემადგენლობაში არ უთამაშია **ჟან პრეტს** , რომელმაც რაგბის თამაშს ერთი თვით ადრე დაანება თავი. შოტლანდიელთა მეორეხაზელმა **ჰემიშ კემპმა** ორი ლელო გაიტანა.

### 1967 წელი

საფრანგეთის ნაკრებმა შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან მინიმალური სხვაობით - 9:8 წააგო. მატჩისას დაშავდა „ლე ბლეს“ ლიდერი **ჯო მასო.** იმ დღეს დაბადების დღეს ჰქონდა ფრანგთა კაპიტან **კრისტიან დარუს**, რომელიც 30 წლის შესრულდა.

### 1995 წელი

ინგლისის რაგბის კავშირი ბირმინგემში გამართულ სხდომაზე კლუბების მხრიდან გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა. ისინი რაგბის პროფესიულ რელსებზე გადასვლას აპროტესტებდნენ. იმავდროულად შედგა კავშირის ახალი პრეზიდენტის **კლიფ ბრაიტლის** არჩევნებიც, რომელმაც, მოგვიანებით, ინგლისური რაგბი ქაოსისგან იხსნა.

### 2007 წელი

„ჰაინკენის თასის“ გათამაშებაში მე-800 თამაში გაიმართა. „ოსფრიზმა“ „ლიბერთი სთედიუმზე“ ფრედ ითამაშა „სტად ფრანსესთან“ - 22:22.

### 2008 წელი

უელსის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა **უორენ გეთლენდმა** მცირე სიურპრიზი შემოგვთავაზა. მან რაგბიდან წასული **მარტინ ვილიამსი** ნაკრებში გამოიძახა. „მარტინს ტელეფონით ვესაუბრე და ვუთხარი, რომ ნაკრები იმ სტილის და ფილოსოფიის მიმდევარი იქნება, რომელიც მას სრულად შეესაბამება“ - თქვა გეთლენდმა. ალსანიშნავია, რომ ვილიამსმა ის სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა და გადამწყვეტი ლელო გაიტანა იმ მატჩში, რომელმაც უელსელებს დიდი სლემი მოაგებინა.

### 2009 წელი

ინგლისის რაგბის კავშირმა სპეციალურ სხდომაზე გუნდებისთვის ჯამაგირის ზედა ზღვრად 4 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაადგინა. კლუბების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ასევე მიღებული იქნა გადაწყვეტილება სხვა ღონისძიებების შესახებ, რომლებსაც გუნდების შემოსავალი უნდა გაეზარდათ.

ლეგიონერები


მურად ბურჯელალი

# სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა

## ბურჯელალი 500 ათას ევროს ითხოვს

საქართველოს ნაკრების მესამეხაზელმა **მამუკა გორგოძემ** ახლახან „მონპელიესთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამ ამბავს საკმაოდ ცუდი გაგრძელება მოჰყვება, რადგან „ტულონის“ პრეზიდენტი **მურად ბურჯელალი**, რომელთანაც „გულივერას“ წინასწარი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული, იოლად დანებებას არ აპირებს.

ყოველივე ამით კი „ტულონსა“ და „მონპელიეს“ შორის არსებული ფარული დაპირისპირება, შესაძლოა, ღია ომში გადაიზარდოს. ხუთშაბათს ბურჯელალმა პრესკონფერენცია გამართა:

„მსგავსი ფაქტი პირველი არ არის. გორგოძემ წინასწარი კონტრაქტი „ბრივთანაც“ დაარღვია. მაშინ ის საქმიდან მშრალი გამოვიდა. თუმცა, ეს ფაქტი გავითვალისწინე და როცა კონტრაქტს ვუფორმებდი, სპეციალური პუნქტით თავი დავიზღვიე. „მონპელიეს“ თუ მისი კლუბში დატოვება სურს 500 ათასი ევრო უნდა გადამიხადოს.

მე არ ვიცი, რა მოხდა. გორგოძეს ძალიან უნდოდა „ტულონში“ თამაში. ეტყობა მას დიდი ხნის განმავლობაში უკითხავდნენ ლექციებს, რომ ჩვენ ბოროტების მატარებლები ვართ, მისთვის ცუდი გვინდა. ისინი კი კეთილები არიან, კარგ კონტრაქტს, მისთვის და მისი ოჯახისთვის კარგ პირობებს სთავაზობდნენ. ჰოდა, ვინც ეს გააკეთა, ვინ გორგოძეს ურჩია ასეთი ნაბიჯი გადაედგა, ფულიც იმან გადამიხადოს,“- თქვა მურად ბურჯელალმა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

### ყურადღება, ტენდერი!

საქართველოს რაგბის კავშირი აცხადებს ტენდერს 2011 წლის სეზონზე საქართველოს ნაკრები გუნდებისათვის ავიაბილეთების მიწოდებაზე. დამატებითი პირობების გასაგებად იხილეთ საქართველოს რაგბის კავშირის ვებ გვერდი: www.rugby.ge

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ვიზიტი

# ვიზერი და ბარკოსი თბილისში


მარიუს ვიზერი

ვერ გეტყვით, რამდენი ტიტულოვანი ფალავნი ჩამოვა 29-30 იანვარს თბილისის სპორტის სასახლეში გასამართ ძიუდოისტთა მსოფლიოს თასზე, მაგრამ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციიდან კი უმაღლესი რანგის სტუმრები გვეწვევიან - პრეზიდენტი **მარიუს ვიზერი** და მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე **ხუან კარლოს ბარკოსი.** ჯერჯერობით უცნობია მათი ჩამოსვლის ზუსტი თარიღი, თუმცა მასპინძელთა სურვილია, მინიმუმ, ერთი დღით ადრე მაინც გვესტუმრონ, რათა შეძლებისდაგვარად მოინახულონ ქვეყნის ღირსშესანიშნაობები. ვიზიტის ფარგლებში იგეგმება სტუმართა შეხვედრა ქვეყნის პრეზიდენტთან.

ამ რანგის ხალხის ჩამოსვლა ყოველთვის საინტერესოა. მით უფრო, საქართველო არც ისე განებივრებულია ამ მხრივ, მაგრამ ეს სტუმრობა კიდევ უფრო დიდ ინტერესს სადღეისო გადასახედიდან იწვევს. ჩვენი ქვეყანა აქამდეც იყო მსოფლიო თუ ევროპული სპორტული ოჯახის ღირსეული წევრი, მაგრამ ახლა მათ ურთიერთობაში ახალი ეტაპი ჩნდება - აქამდე თუ აქტიურად და წარმატებით ვმონაწილეობდით უცხოურ შეჯიბრებებში, უკვე თავად გვიჩნდება ტურნირების მასპინძლობის სურვილი. ეს ტენდენცია კიდევ უფრო შეუქცევადი გახადა „თბილისი 2015“ კამპანიაში გამარჯვებამ - რაკილა ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობა მოვიპოვეთ, გვინდა არ გვინდა, მანამდე სატესტო რეჟიმში მთელ რიგ სპორტულ ღონისძიებებს უნდა ვუმასპინძლოთ. ეს გვჭირდება როგორც საორგანიზაციო საკითხებში გასაწაფავად, ასევე ახალაშენებული ბაზების გამოსაცდელად. ამ მიმართულებით უკვე მიმდინარეობს მუშაობა - რამდენიმე სახეობაში ფიქრობენ ევროპული და მსოფლიო მასშტაბის შეჯიბრებების მასპინძლობას. იქნებ ეს ყოველთვის არ იყოს ევროპის და მსოფლიოს პირველობა და იყოს შედარებით დაბალი რანგის ტურნირი, ან ლაპარაკი არ იყოს უფროსებზე და იგეგმებოდეს ახალგაზრდებში, მაგრამ ფაქტია, საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებათა ჩატარება მოგვიწევს, საამისოდ კი ბრძოლაა საჭირო. ცხადია, ამ სახეობათა შორის ძიუდოცაა, თუმცა ეს მხოლოდ საჭიდაო სახეობებს არ ეხებათ, რომლებზედაც მოდის ბოლო წლების მედალთა უმეტესობა. ოლიმპიური სახეობებიდან ყველაზე დიდი სატურნირო გარღვევა აქამდეც ძიუდოში გავაკეთეთ - 2009 წელს ევროპის ჩემპიონატს ვუმასპინძლეთ უფროსებში და მაშინვე გახდა ცნობილი, რომ საქართველო ამაზე გაჩერებას არ აპირებდა. მალევე დაიწყო ლაპარაკი უფროსთა მსოფლიოს პირველობის გამართვაზე, მაგრამ ამ საქმეს ფინანსური მხარე აფერხებს - მისი მასპინძლობისთვის 2 მილიონი დოლარია გადასახდელი, ეს კი ნამდვილად არაა ცოტა თანხა. დაინტერესების შემთხვევაში სახელმწიფო ამ ფულის გამოყოფას კი მოახერხებს, მაგრამ სპორტის მმართველნი მიიჩნევენ, რომ „ჩიტი ბდღვნად არ უღირთ“. ამხელა თანხით ქვეყნის შიგნით ბევრად უკეთეს საქმეებს გავაკეთებთ ქართული სპორტისთვისო, ამბობენ ისინი.

თუმცა მთლად მსოფლიოს პირველობა თუ არა, გარკვეული რანგის საერთაშორისო ტურნირების ჩატარება ძიუდოში მაინც მოგვიწევს, ამ საქმეში კი ვიზერს დიდი დახმარების გაწევა შეუძლია. რუმინელი მოხელე წლების განმავლობაში რჩება საქართველოს დიდ მეგობრად. მას ძალიან ახლო ურთიერთობა - საქმიანიც და მეგობრულიც აკავშირებდა ჩვენებთან ჯერ კიდევ ევროპული ფედერაციის პრეზიდენტობიდან მოყოლებული, ეს კეთილგანწყობა კი არც საერთაშორისო ფედერაციაში გადანაცვლების შემდეგ შეცვლილა. მეტიც - მეგობრული დამოკიდებულება არა მხოლოდ ძიუდოში ვლინდება და ვიზერმა საკმაოდ დიდი როლი შეასრულა იმავე „თბილისი 2015“ საარჩევნო კამპანიაში, უშუალოდ წილისყრისასაც. როგორც საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ამბობენ, რამდენიმე ხმა მან პირადი კონტაქტებით მოგვაპოვებინა, რაც ფასდაუდებელი სამსახურია. ვიზერის როლი მუდამ დიდი იყო თბილისის მსოფლიოს თასის ცხოვრებაში - მისთვის წოდებისა და რანგის, სალიცენზიო სტატუსის შენარჩუნებაში. მისივე პირადი კონტაქტებით მოხერხდა ჩვენი ნაკრების დაშვება მსოფლიოს შარშანდელ გუნდურ პირველობაზე, წლეულს კი მფარველად ჩვენებურ მსაჯებსაც ევლინება...

ბუნებრივია, ვიზერი არც ახლა ჩამოვა მხოლოდ ტურნირისთვის. თანაც, ქართული მხარე, კონკრეტულად კი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მის დასახვედრად საგანგებოდ ემზადება - სიღნაღში ექსკურსია და კულტურული ძეგლების გაცნობა ამ გეგმის მხოლოდ ნაწილია. ჯერჯერობით ვერ გეტყვით, დადგება თუ არა ამ ვიზიტისას რომელიმე პირველხარისხოვანი ტურნირის საქართველოში გამართვის საკითხი, მაგრამ ვფიქრობთ, ამ ეტაპზე მთავარი ნიშანსვეტი მაინც ოლიმპიადაა - იქამდე არც ისე დიდი დრო დარჩა. დასამალი არავისთვისაა, რომ ოლიმპიადებზე ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსაჯთა თუ საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელთა კეთილგანწყობას, ახლანდელ შემთხვევაში კი ისიც გავითვალისწინოთ, რომ ვიზერთან ერთად მსაჯთა ხელმძღვანელი, ესპანელი ბარკოსიც ჩამოდის - ესეც საყურადღებო ფაქტია. თუმცა ზემოთქმულს მთლად მედლების ყიდვამდეც ნუ დავახურდავებთ - მსაჯებმა რომ არ დაგჩაგრონ და ობიექტურად განსაჯონ, ესეც ძალზე დიდი საქმეა.

თუმცა ამ მერკანტილური მიზნების გარდა, არსებობს ზოგადი ფაქტორიც - როცა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი რომელიმე ქვეყანაში ჩადის, ესე იგი, პატივს სცემს და აღიარებს მას, როგორც თავისი ორგანიზაციის ღირსეულ წევრს. სამწუხაროდ, საქართველოში ამ რანგის მოხელენი არც ისე ხშირად ჩამოდიან, ვიზერის ვიზიტი კი, ვიმედოვნებთ, წარმატებული იქნება.

**ირაკლი თავაძე**

ბაქოს მასტერსი

# მასტერსი დალაგდა

ბაქოში „სერხედჯის“ ოლიმპიურ ცენტრში დღეს ძიუდოისტთა სეზონის პირველი შეჯიბრება - მასტერსის ტურნირი იწყება, რომელშიც ექვსი ქართველი ჭიდაობს: **დავით ასუმბანი, ამირან პაპინაშვილი** (ორივე - 60), **ლევან წიკლაური** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) და **ზვიად ხანჯალიაშვილი** (+100). გუშინ წილისყრამ მათი მეტოქეები გამოავლინა.

დღეს ჩვენებურთაგან მხოლოდ 60-ის ფალავნები იჭიდავებენ. როტერდამის „დიდი პრიზის“ ჩემპიონი პაპინაშვილი პირველ წრეში იტალიელ მსოფლიოსა და ევროპის ბრინჯაოს პრიზიორ **ელიო ვერდეს** ხვდება, ასუმბანი კი ტურნირს რუს ევროპის ჩემპიონ **არსენ გალსტიანთან** შეხვედრით დაიწყებს. ასუმბანს გალსტიანთან აქამდე არასოდეს უჭიდავია, პაპინაშვილი კი ვერდეს ერთხელ გადაეყარა და წააგო - წლეულს, მოსკოვის „დიდი მუზარადის“ მერვედფინალში. ამათგან უფრო ძლიერი ბადე ისედაც პაპინაშვილს აქვს - იტალიელს თუ გასცდა, მომდევნო შეხვედრა უზბეკ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ **რიშოდ სობიროვსა** და მონგოლ **ბოლბაატარ განბატს** შორის მოგებულთან ექნება. სობიროვს შარშან ასუმბანმა პარიზული „დიდი მუზარადის“ ფინალში კი მოუგო, მაგრამ მერე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, რითაც ყველაფერია ნათქვამი, მონგოლი კი წლეულს ძალზე დამაჯერებლად ჭიდაობს.

რაც შეეხება ასუმბანს, გალსტიანს თუ გასცდა, ბრაზილიელ **ფელიპე კიტადაის** და კიდევ ერთ მონგოლს, **ბოლბაატარ ჩიმედ-იონდონს** შორის გამარჯვებულს შეხვდება.

ხვალ ლევან წიკლაური პირველივე წრეში კანოს მემორიალის შარშანდელ გამარჯვებულთან, იაპონელ **ტაკაჰირო ნაკაისთან** იჭიდავებს. სხვათა შორის, იმ ტურნირზე ნაკაიმ **ავთანდილ ჭრიკიშვილს** მოუგო, წიკლაურს კი პირველად ხვდება. ამათში გამარჯვებულს საკმაოდ სუსტი მეტოქე ეყოლება - სლოვენიელი ევროპის პრიზიორი **ალიაზ სედეჯი** ან ხორვატი **ტომისლავ მარიჯანოვიჩი.**

პირველ წრეში შედარებით გაუმართლა ვალერი ლიპარტელიანს - უზბეკ **ხურშიდ ნაბიევს** ხვდება, ვისაც დღემდე ერთხელ შეხვდა და ისიც მოუგო. სამაგიეროდ, ჯგუფში სხვები ჰყავს საშიშები - მასპინძელთა ევროპის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **ელხან მამადოვი** და მსოფლიოს იაპონელი ვიცე-ჩემპიონი **დაიკი ნიშიამა.** აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მედლები ორივემ ბოლო პირველობაზე მოიპოვეს, ამხელა შეჯიბრების ორი მედალოსანი მეტოქედ ერთად კი ხუმრობა საქმე არაა.

წილისყრამ ნამდვილად არ გაუმართლა ჟორჟოლიანს - მასტერსს მასპინძელთან, ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონ **ელმარ გასიმოვთან** შეხვედრით იწყებს, მას თუ გასცდება, მომდევნო მეტოქედ იაპონელ მსოფლიოს ჩემპიონ **ტაკამასა ანაისა** და მონგოლ **ტემუულენ ბატულგას** შორის გამარჯვებული ელოდება.

თუმცა წილისყრამ ყველაზე მეტად მაინც ხანჯალიაშვილი გაწირა - იაპონელთა ოლიმპიურ და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **კეიჯი სუძუკის** ხვდება. მართალია, კეიჯი ძველებურად ველარ ბრწყინავს, მაგრამ ბებერი ხარის ხომ რქანიც ხნავენ. ამათში მოგებულის მეტოქე ბელარუს ოლიმპიურ ჩემპიონ **იჰარ მაკარაუს** და პოლონელ ევროპის ორგზის ვიცე-ჩემპიონ **იანუშ ვოინაროვიჩს** შორის გამარჯვებული იქნება.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# ანას, ოქსანას!..

## ტატიშვილმა რადვანსკა დაამარცხა, კალაშნიკოვამ რუსს მოუგო

ქართველმა ჩოგბურთელებმა მელბურნის კორტებზე წლის პირველი „დიდი სლემის“ ტურნირი წარმატებით დაიწყეს. 25-მილიონიანი საპრიზო ფონდის შეჯიბრის საკვალიფიკაციო ბადეში **ანა ტატიშვილმა** (132) და **ოქსანა კალაშნიკოვამ** (191) პირველი გამარჯვებები მოიპოვეს. 20 წლის კალაშნიკოვას მეტოქე რუსი **ეკატერინა ბიჩკოვა** (180) იყო, რომელსაც ადრე ავსტრალიის ღია პირველობის მე-2 წრეშიც გაუღწევია და მსოფლიოს 66-ე ჩოგანიც ყოფილა. კალაშნიკოვას კი არასოდეს უთამაშია „დიდი სლემის“ ტურნირის ძირითად ბადეში (ბიჩკოვამ 14-ჯერ ითამაშა), ავსტრალიაში დებიუტი სულაც შარშან ჰქონდა, როცა ბედის ირონიით, თანამემამულე **მაკა ჩახნაშვილს** შეხვდა პირველ საკვალიფიკაციო წრეში. მაშინ ოქსანამ იოლად აჯობა მაკას და მეორე წრეში რუს **ანასტასია პავლოვასთან** (124) დამარცხდა.

კალაშნიკოვამ ბიჩკოვას სამ სეტში აჯობა, მელბურნის ნომერ მე-5 კორტზე გოგონებმა 2 საათი და 5 წუთი დაყვეს. ოქსანამ პირველი სეტი მოიგო, მეორეში უპირატესობა მთლიანად გაფლანგა და ტაიბრეიკში დათმო სეტი, მაგრამ გადამწყვეტ სეტში მაინც აჯობა რუსს - 6:4, 6:7 (2), 6:4. კალაშნიკოვა ბევრად აკურატულად თამაშობდა პირველ მოწოდებაზე, ვიდრე მოწინააღმდეგე, მეტოქეს 2 ეისი (4-ის წინააღმდეგ) ჩაუგდო და მხოლოდ 2 ორმაგი შეცდომა დაუშვა (ბიჩკოვამ - 9). ჩვენებურმა 11 ბრეიქპოინტიდან 4 მოიგო, ხოლო რუსმა - 4-დან 1. ასე რომ, ოქსანამ, სულ მცირე, გაიმეორა შარშანდელი მიღწევა და 40 სარეიტინგო ქულა გაინაღდა.

კალაშნიკოვას დღევანდელი მეტოქე 20 წლის ამერიკელი **ირინა ფალკონია** (184), რომელმაც ერთი ამოსუნთქვით გაანადგურა მე-20 ნომრად განთესილი **მასა ზეკ პეშკირიჩი** (სლოვენია, 141) - 6:0, 6:1. ამერიკელი ამაზე წინ რეიტინგში არასოდეს ყოფილა. ტოტალიზატორები მატჩის ფავორიტად ამერიკელს მიიჩნევენ (ფალკონი - 1,57; კალაშნიკოვა - 2,25).

კალაშნიკოვაზე თვეებით უფროსი ანა ტატიშვილი ავსტრალიის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ბადეში მე-12 ნომრად არის განთესილი. პირველი ბარიერის გადალახვით, მან უკვე გააუმჯობესა შარშანდელი შედეგი. გასულ წელს მან პირველ წრეში გერმანელ **კატრინ ფოირლესთან** (166) წააგო. გუშინ ანამ პოლონელი **ურსულა რადვანსკა** (193) სამ სეტში დაამარცხა - 4:6, 6:2, 6:0. როგორც ხედავთ, ჩვენებურს მხოლოდ პირველ სეტში გაუჭირდა, თუმცა მეორე სეტიც (ანგარიშის მიუხედავად) დიდ ხანს გაგრძელდა. საერთო ჯამში, გოგონებმა მელბურნის მე-12 კორტზე საათი და 50 წუთი დაყვეს. ანას 16-ჯერ მიეცა მეტოქის მოწოდების მოგების შანსი და 8-ჯერ გამოიყენა, რადვანსკამ 10 ცდიდან 4 ბრეიქპოინტი განახორციელა.

დღეს ტატიშვილი 25 წლის უკრაინელ **მარია კორიტცევას** (147) ეთამაშება, რომელმაც პირველ წრეში ფრანგი **ლაურა ტორპი** (178) დაამარცხა - 6:4, 6:2. ამ წყვილში ტატიშვილია ფავორიტი (ტატიშვილი - 1,53; კორიტცევა - 2,38).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმოს სამყარო. ჰაცუ ბაშო. 9-23 იანვარი

# ტოკიოში ისევ ისე

იანვრის ბაშოზე ქართველ სუმოისტთა საშველი არ ჩანს - ზედიზედ მეორე დღეა ჩვენებურები მარცხდებიან. ალმოსავლეთის მე-2 მაეგაშირა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** საკუთარი ანტირეკორდი გაიმეორა - ბაშოზე ზედიზედ 6-ჯერ წააგო. მისი მეტოქე ბულგარელი ოძეკი **კოტოოშუ** იყო, ორივემ შეძლო ცაციათი მეტოქის მავაშის დაჭერა, მაგრამ ილეთის განხორციელება მხოლოდ ბულგარელმა შეძლო (უვატედაშინაგე). 0-6, ასეთია ელიტის ყველაზე ახალგაზრდა წევრის ბალანსი, დღეს ის მე-4 მაეგაშირა **ჰომაშოს** (4-2) შეერკინება (ურთიერთშეხვედრებში 3:3). აღსანიშნავია, რომ ბაშოზე მოგება მხოლოდ ორ რიკიშის არა აქვს და ორივე მე-2 მაეგაშირაა, ტოჩინოშინი და **იოშიკაძე**.

ერთადერთი დადებითი, რასაც ამ ბაშოზე **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** მიაღწია, ელიტაში მე-300 გამარჯვებაა. სხვა მხრივ, უკვე განგაშის დროა - „შავი ზღვა“ მე-15 მაეგაშირაა და უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნის პირასაა. გუშინ კოკაიმ ვერ გაუძლო ღონიერი **ტოიოჰიბიკის** შემოტევას და დოჰიოზე ბეჭებით დაეცა. ჩვენებურს 1-5 ბალანსი აქვს, მისი მომავალი მეტოქე მე-11 მაეგაშირა **შიმოტორია** (1-5), რომელთანაც ურთიერთშეხვედრებში ფრე აქვს - 7:7.

ველარც **გაგამარუს (თეიმურაზ ჯუღელი)**აქვს კარგად საქმე - გუშინ მან მონღოლ **ტოკიტენკუსთან** წააგო. დღეს თეიმურაზი მე-4 მაეგაშირა **ტოკუსეგავას** (4-2) შეხვდება.

ახალი წლის ბაშოზე დაუმარცხებელთა რიცხვი ორამდე შემცირდა. 6-6 მოგება მხოლოდ დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოსა** და მე-16 მაეგაშირა **ტოჩინონადას** აქვთ, მათ კვალში 4 რიკიში უდგას.

**VI დღე:** ჰაკუჰო-არანი (იორიკირი), ბარუტო-ტოჩიოძანი (კოტენაგე), კოტოოშუ-ტოჩინოშინი (უვატედაშინაგე), ტამავაში-ჰარუმაფუჯი (ოშიტაოში), ჰომაშო-კაიო (სუკუინაგე), კოტოშოგიკუ-კისენოსატო (იორიკირი), კაკურიუ-ტოიონოშიმა (ცუკიდაში), ამინიშიკი-იოშიკაძე (ჰატაკიკომი), ტოკუსეგავა-კიოკუტენჰო (იორიკირი), გოეიდო-ასასეკირიუ (სუკუინაგე), ტოკიტენკუ-გაგამარუ (შიტატენაგე), ტაკეკაძე-ტოსაიუტაკა (სუკუინაგე), კიტატაიკი-ვაკანოსატო (იორიკირი), შოტენრო-ტაკამისაკარი (იორიკირი), მოკონამი-ჰაკუბა (უვატენაგე), ოკინოუმი-მიაბიამა (იორიკირი), კიმურაიამა-შიმოტორი (ოშიდაში), ტოჩინონადა-კორიუ (სუკუინაგე), კოტოკასუგა-ტოიოძაკურა (ოშიდაში), ვაკაკოიუ-სოკოკურაი (კატასუკაში), ტოიოჰიბიკი-კოკაი (იორიტაოში).

### სატურნირო მდგომარეობა

**6-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), ვაკანოსატო (მაეგაშირა 16). **5-1:** ბარუტო (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი), კოტოშოგიკუ (სეკივაკე), ვაკანოსატო (მ 9)... **2-6:** გაგამარუ (მ 6)... **1-5:** კოკაი (მ 15)... **0-6:** ტოჩინოშინი (მ 2).

**VII დღე:** ჰაკუჰო-ტოჩიოძანი, კოტოოშუ-იოშიკაძე, ჰარუმაფუჯი-არანი, კაიო-კაკურიუ, ბარუტო-ტამავაში, კისენოსატო-ტოიონოშიმა, კოტოშოგიკუ-ამინიშიკი, ტოჩინოშინი-ჰომაშო, ტოკუსეგავა-გაგამარუ, გოეიდო-ტაკეკაძე, ტოსაიუტაკა-ასასეკირიუ, კიოკუტენჰო-კიტატაიკი, ტოკიტენკუ-შოტენრო, ვაკანოსატო-ტაკამისაკარი, მიაბიამა-ჰაკუბა, შიმოტორი-კოკაი, კორიუ-სოკოკურაი, მოკონამი-ტოჩინონადა, ოკინოუმი-კიმურაიამა, კოტოკასუგა-ტოიოჰიბიკი, ვაკაკოიუ-ტოიოძაკურა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოში სპორტული მოძრაობის უხუცესი მოღვაწე, საქართველოს სპორტკომიტეტის ყოფილი თანამშრომელი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორი

**დავით კინწურაშვილი**

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენები და სპორტის მოღვაწეები: ნონა გაფრინდაშვილი, ვახტანგ ბალავაძე, რომან რურუა, ვლადიმერ კანკავა, ვლადიმერ გოიაშვილი, გივი ცქიტიშვილი, მორის სახვაძე, გურამ ძაგანია, გივი მძელური, იროდი ბეჟაშვილი, თემურ აფხაზავა, ესტატე გოგლიჩიძე, ლუკა კურტანიძე, ნოე ლობჟანიძე, ომარ მიქელთაძე, მუხრან ვახტანგაძე, მანუჩარ კვირკველია, თემურ ხითარიშვილი, ამირან ზუხბაია, ღრმა მწუხარებით იუწყებიან კოლეგის, დიდი პროფესიონალისა და კეთილშობილი პიროვნების

**დავით კინწურაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს.

### ყურადღება, ტენდერი!

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია აცხადებს ტენდერს 2011 წლის სეზონზე ძიუდოს ნაკრები გუნდებისათვის ავიაბილეთების მიწოდებაზე. დამატებითი პირობების გასაგებად მიმართეთ საქართველოს ძიუდოს ეროვნულ ფედერაციას, მისამართზე თბილისი, ბელიაშვილის ქ. 5, ტელ, 51-77-09; 52-82-05.

ტენდერის ბოლო ვადაა: 2011 წლის 1 თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ ნუგზარ ქეიშვილთან



ნუგზარ ქეიშვილი (მარცხნივ)

# ვისაც მოგება უნდოდა...

**სუპერლიგის პირველი წრის შემდეგ მნიშვნელოვნად გაძლიერდა „არმია" და შსს. იგივე შეიძლება ითქვას თსუ-ზე - იანვრის დასაწყისში გუნდში „არმიადან" გადავიდა მიხეილ ბერიშვილი, რომელიც სტუდენტებს საგრძნობლად გააძლიერებს.**

**გუნდში მომხდარ სიახლეებსა და მზადებაზე თსუ-ს მთავარ მწვრთნელ ნუგზარ ქეიშვილს ველაპარაკეთ. რესპონდენტმა ცვლილებებით დაიწყო.**

- დავიმატეთ მიხეილ ბერიშვილი, რომელიც თსუ-ში აქამდეც თამაშობდა. იგი უნივერსალური კალათბურთელია და დაგვეხმარება როგორც ფარქვეშ, ასევე პერიმეტრიდან.

**- მე-10 ტურში „ქუთაისთან" ფარქვეშ ძალიან გაგიჭირდათ...**

- ტანმაღალი კალათბურთელების პრობლემა გვაქვს. 29 დეკემბერს ხელის ტრავმის გამო ვერ ითამაშა რიჩარდ მათიაშვილმა. წელი აწუხებდა ილია ლონდარიძეს, რომელიც ბოლომდე ვერ დავტვირთეთ. ასევე ტრავმირებულია გიორგი ყველაშვილი, რომელსაც მუხლი აწუხებს. მიხეილ ბერიშვილის დამატება მდგომარეობას ცოტა შეგვიმსუბუქებს.

**- კიდევ ვინმეს შეძენას ხომ არ აპირებთ?**

- განაცხადში კიდევ გვაქვს ადგილები, თუმცა ამ საკითხზე საუბარი მომავლისთვის გადავდოთ.

**- შეკრებას თბილისში გადიხართ?**

- დიახ. ვაპირებდით ბაკურიანში წასვლას. ამისთვის ყველაფერი მზად იყო, 2 იანვარს უნდა გავმგზავრებულიყავით, მაგრამ ბაკურიანში თოვლი არ იყო და ამიტომ, ტალახში წვრთნას თბილისში დარჩენა ვამჯობინეთ. ორჯერადად ვვარჯიშობთ. დილას მძლეოსნობის დარბაზში ფიზმომზადებაზე ვმუშაობთ, ხოლო სალამოს ბურთით. ქორქია-საკანდელიძის მემორიალისა და საქართველოს თასის გათამაშებისთვის აქტიურად ვემზადებით.

**- თსუ-ს მიზნებზე რას იტყვით?**

- შარშანდელ ჩემპიონატში ბევრს არ ეგონა, თუ ფინალში გავიდოდით, თუმცა ეს მოვახერხეთ. წლეულსაც აქტიურად ვემზადებით და ვეცდებით, რაც შეიძლება წინ წავიდეთ. მით უმეტეს, რომ ჩემპიონატის პირველადგილოსან „არმიასთან" 37 ქულის სხვაობით ვიგებდით, თუმცა ბოლო წუთებზე სამი მეფარე ხუთი პერსონალურის გამო გაგვიგდეს და დავმარცხდით. ადრეც ვთქვი - ვისაც მოგება უნდა, პირველ წრეში უნდა გვაჯობოს, ჩემპიონატის მეორე ნახევარში ფორმაში შევალთ და ჩვენი ძლევა ყველას გაუჭირდება.

ვაჟა სიმონიშვილი





დღემდე ესპანეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ოთხ ქართველ კალათბურთელს უთამაშია, **ნიკა ცქიტიშვილს, ვლადიმერ ბოისას, ვიქტორ სანიკიძესა** და **თორნიკე შენგელიას...**

ამ სიას შეიძლება კვირას მეხუთე ქართველი დაემატოს - სევილიურ „კახასოლთან" ერთად „ბისკაიასთან" მატჩისთვის ემზადება ახალგაზრდა **ბექა ბურჯანაძე** (1994 წელსაა დაბადებული, 200 სმ სიმაღლისაა). იგი სევილიელთა ახალგაზრდული გუნდის წევრია და ება-ს ლიგაზე ეფექტური შედეგიანობითაც გამოირჩევა. სწორედ ამიტომ, უმაღლესი ლიგის გუნდის მწვრთნელმა **ხოან პლაზამ** ბექას მთავარ გუნდში გადაყვანა გადაწყვიტა. ამ ამბავს გაზეთმა „დიარიო დი სევილიამ" სტატია მიუძღვნა, სახელწოდებით „ფაჩულიას ნათესავი „კახასოლში":

*„სევილიურ „კახასოლში" აქამდე საქართველოს ნაკრების ორი წევრი თამაშობდა - ნიკოლოზ ცქიტიშვილი და ტაირონ ელისი. პირველმა გუნდი 2007 წელს დატოვა, ხოლო ტაირონი „ესტუდიანტესში" „კახასოლიდან" შარშან გადავიდა.*

*ამიერიდან ასპარეზზე ახალგაზრდა ქართველი, ბექა ბურჯანაძე გამოდის. იგი სევილიურ კლუბში 15 წლის ასაკში ჩაირიცხა. „კახასოლის" ხელმძღვანელობამ ბურჯანაძე საქართველოს კადეტთა ნაკრებში წარმატებული გამოსვლის შემდეგ შენიშნა. ესპანეთში იგი შარშან ჩამოვიდა და სწრაფ პროგრესს განიცდის.*

● ახალგაზრდობა

# ბურჯანაძე ესპანეთის უმაღლეს ლიგაში

*ეს მხედველობიდან არ გამორჩენია „კახასოლის" თავკაც ხოან პლაზას, რომელმაც ახალგაზრდა ქართველი პირველ გუნდში მიიწვია. ბექა კვირას, „ბისკაიასთან" მატჩში ტრავმირებულ ტარიკ კირკსეის შეცვლის.*

*ბურჯანაძე ცნობილი ქართველი კალათბურთელის, „ატლანტა ჰოქსის" ცენტრის ზაზა ფაჩულიას ნათესავია."*

ისლა დაგვრჩენია, კვირის მატჩს დაველოდოთ. ვნახოთ, ითამაშებს თუ არა ბექა 16 იანვარს „ბისკაიასთან" სტუმრად გასამართ შეხვედრაში.

ვაჟა სიმონიშვილი





● ჭადრაკი

# არმაგედონმა თეთრები იმსხვერპლა

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი რაუნდის ხუთ შეხვედრაში მეოთხედფინალისტთა გამოსავლენად ორ-ორი კლასიკური პარტია საკმარისი აღმოჩნდა, სამ წყვილში უძლიერესი კი ტაიბრეიკებმა დაასახელა. 2009 წლის ქვეყნის ჩემპიონი **თორნიკე სანიკიძე** და **დავით ჯოჯუა** ბავშვობიდან მეგობრობენ და ერთმანეთის თამაშის სტილსაც კარგად იცნობენ, ამიტომ კლასიკურ პარტიებში ორთაბრძოლის გაუმწვავებლად ყაიმზე შეთანხმდნენ. ტაიბრეიკებში მეტოქეებმა თითო 25-წუთიანი და ბლიც-პარტია მოიგეს. 3:3-ზე წილისყრამ ჯოჯუას თეთრი ფიგურები და 6 წუთი არგუნა, სანიკიძეს - შავები და 5 წუთი, რაც საკმარისი აღმოჩნდა მატჩის მოსაგებად (4:3) და მეოთხედფინალში გასასვლელად.

ფაქტობრივად, მსგავსი სცენარით წარიმართა **გიორგი მარგველაშვილისა** და **დავით ბენიძის** პაექრობა, იმ განსხვავებით, რომ აქ, კლასიკურის მსგავსად, 25-წუთიანი პარტიებიც ყაიმით დასრულდა. „არმაგედონში" კი მარგველაშვილმა შავებით აჯობა მოწინააღმდეგეს. აი, **ლუკა პაიჭაძისა** და **დავით არუთინიანის** დაპირისპირება უფრო ადრე დამთავრდა. ახალგაზრდა პაიჭაძემ გამოცდილი და ქალთა ნაკრების მწვრთნელი არუთინიანი პირველ 25-წუთიან პარტიაში დაამარცხა, მეორეში დაუზავდა და მომდევნო ეტაპზეც გააღწია.

დღეს მე-2 რაუნდის პირველ ტურში ითამაშებენ:

**დავით ზარქუა** (2356)-**გიორგი მარგველაშვილი** (2544), **ლუკა პაიჭაძე** (2483)-**თამაზ გელაშვილი** (2608), **ლევან ფანცულაია** (2610)-**კოტე შანავა** (2560), **თორნიკე სანიკიძე** (2559)-**გიგა ყუფარაძე** (2395).

ვაჟა დანელია

# ანაკლიაში ორი ხელისუფალია

ქალთა ეროვნული ჩემპიონატის გუშინდელ მეხუთე ტური, სტარტის მსგავსად, უხვმოსავლიანობით გამოირჩა: 6-დან მხოლოდ ერთი შეხვედრა დამთავრდა ყაიმით - ერთპიროვნული ლიდერი **სალომე მელია** (2449) შავი ფიგურებით 21-ე სვლაზე **მაკა ფურცელაძეს** (2323) დაუზავდა, რითაც ისარგებლა საქართველოს ვიცე-ჩემპიონმა **ნინო ხურციძემ** (2436), რომელმაც **ლელა ჯავახიშვილი** (2438) დაამარცხა და ქულებით მელიას გაუთანაბრდა. დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **ნინო ბაციაშვილი** (2396)-**სოფიკო ხუხაშვილი** (25437) 0:1, **მარიამ დანელია** (2248)-**მაია ლომინეიშვილი** (2345) 0:1, **სოფიო ნიკოლაძე** (2254)-**მირანდა მიქაძე** (2362) 1:0, **ბელა ხოტენაშვილი** (2440)-**მერი არაბიძე** (2315) 1:0.

ხუთი ტურის შემდეგ: მელია, ხურციძე - 3,5-3,5, ლომინეიშვილი, ხოტენაშვილი (ორივეს - 4-4 შეხვედრიდან) - 3-3, ფურცელაძე (4), დანელია - 2,5-2,5, ბაციაშვილი, ჯავახიშვილი, მიქაძე, ნიკოლაძე - 2-2, ხუხაშვილი (4), პაიკიძე (4) - 1,5-1,5, არაბიძე - 1 ქულა.

მე-6 ტურში ითამაშებენ მელია-ხოტენაშვილი, მიქაძე-ფურცელაძე, ხურციძე-ნიკოლაძე, ლომინეიშვილი-ჯავახიშვილი, ხუხაშვილი-დანელია, პაიკიძე-ბაციაშვილი, არაბიძე ისვენებს.

- ჩემპიონატის ორგანიზატორებმა და მასპინძლებმა სასტუმრო „ანაკლიაში" თამაშისა და დასვენების შესანიშნავი პირობები შეგვიქმნეს, - გვითხრა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელმა, ჩემპიონატის მონაწილე **სოფიო ნიკოლაძემ**. - თითოეული პარტია, მაშინაც კი, როცა ყაიმით მთავრდება, სიმწვავითა და დაძაბულობით გამოირჩევა. მოასპარეზეებს საამისოდ მოტივაციაც აქვთ - დიდი საპრიზო ფონდი (13500 ლარი), ჩემპიონი პირდაპირ ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ხვდება, ხოლო მედალოსნებს ჭადრაკის ფედერაცია ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დააფინანსებს. სიახლეა ის, რომ საქართველოს ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზურაბ სტურუა ყოველი ტურის შემდეგ ყველა პარტიას ჩვენი თანდასწრებით აანალიზებს. მოჭადრაკეთა შეხვედრებს თვალს ადევნებს ეროვნული ნაკრების კაპიტანი დიდოსტატი ნინო გურიელი.



ნინო ხურციძე

ჭადრაკის დაფებზე უშეღავათო შეხლა-შემოხლის მიუხედავად, ჩემპიონატზე მეგობრული ატმოსფერო სუფევს, ერთად აღვნიშნეთ ძველით ახალი წელი. მოცალეობის ჟამს ბილიარდითაც ვერთობით. აქ ხუხაშვილი და ბაციაშვილი პირველობას არავის უთმობენ. დარწმუნებული ვარ, ანაკლიაში მიღებული შთაბეჭდილებები საქართველოს ჩემპიონატის მონაწილეებს არასდროს დაავიწყდებათ.

ვაჟა დანელია

სოფიო ნიკოლაძის ფოტო



## მილოცვები

**საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან საიუბილეო 60 წელს ულოცავს სახელოვან ვეტერან ძიუდოისტს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს რამაზ ხარშილაძეს.**

*1976 წელს მონრეალის ოლიმპიადაზე რამაზ ხარშილაძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა, მანამდე 1975 წელს კი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების მესამე პრიზიორი გახდა. ევროპაზე იგივე წარმატება გაიმეორა 1980 წელს. ორჯერ (1975, 1976) მოიპოვა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის, 1974, 1975, 1976 და 1980 წლებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება, ორჯერ (1973, 1977) მეორე, 1981 წელს კი მესამე ადგილი ხვდა წილად. ექვსჯერ მოიგო თბილისის საერთაშორისო ტურნირი, ხუთჯერ მეგობრული არმიების საერთაშორისო შეჯიბრება. არის მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.*

## ჯაკო ხუთი წლისაა

საქართველოში სპორტული რადიოს დაარსება თაობების ნატვრა იყო. მასზე ოცნებობდა დიდი **კოტე მახარაძეც**. ამ ლეგენდარული პიროვნების ხსოვნის უკვდავსაყოფად მისი სახელი რადიოს სახელწოდებაში აისახა. **ჯამლეტ ხუხაშვილმა** პრაქტიკულად განახორციელა საქართველოში სპორტული რადიოს დამფუძნებლის **გიორგი მახარაშვილის** იდეა.

„ჯაკოსთვის" გამორჩეული სპორტის სახეობები და თემები არ არსებობს, მისთვის ყველა ძვირფასია, განსაკუთრებით ორიენტირებულია პრობლემების წამოწევასა და სპეციალისტებთან ერთად მისი გადაჭრის გზების ძიებაზე.

„ჯაკოს" დღეს ხუთი წელი უსრულდება, ვულოცავთ!

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მარადონას ათი რჩეული ათიანი

**01. პელე (ბრაზილია)**



როგორც ფეხბურთელი, საუკეთესო იყო. ამბობენ, რომ მუდმივად მას ვედრები, მაგრამ ეს სიცრუეა - პელესთვის არასდროს შემიდარებია თავი .

**02. იოჰან კრუიფი (ჰოლანდია)**



მისი თამაში მხოლოდ კარიერის მიწურულს ვნახე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა! მხიბლავს ფეხბურთის კრუიფისეული აღქმა, თამაშის მისეული ხედვა. ერთი სიტყვით, ის ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო!

**03. მიშელ პლატინი (საფრანგეთი)**



უმაღლესი კლასი - ფენომენი! იტალიაში მან ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველთვის მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ თამაში დიდ სიხარულს არ ჰგვრიდა. თავისი ამპლუის ფეხბურთელისთვის ის ცივი იყო, ძალიან ცივი.

**04. ზიკო (ბრაზილია)**



თამაშების ხელმძღვანელი! პელეს შემდეგ ბრაზილიის ნაკრებში მაისურა მეათე ნომრით ასე კარგად არავის მორგებია. ჩემთვის ის იყო უდიდესი ავტორიტეტი, ნამდვილი ლიდერი. მოკლედ, ფანტასტიკური ფეხბურთელი!

**05. ენცო ფრანჩესკოლი (ურუგვაი)**



პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელთა შორის დასამკვიდრებლად მას სულაც არ დასჭირვებია მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება. მისი ფეხბურთი ლამაზი და ჰაეროვანი იყო.

**06. რობერტო ბაჯო (იტალია)**



ღვთაებრივი! მას სწორედ ეს მეტსახელი უხდებოდა და შეარქვეს კიდეც. დიდებული ფეხბურთელი იყო, მაგრამ იტალიის მუნდიალზე, სხვადასხვა მიზეზთა გამო, შესაძლებელზე ნაკლებად გაანათა.

**07. პოლ გესკოინი (ინგლისი)**




გამოჩენისთანავე ყველაალაპარაკა, რომ ახალი ვარსკვლავი დაიბადა. საუკეთესო წლებში მართლაც ვარსკვლავი იყო, მაგრამ მერე გზიდან გადაუხვია.

**08. ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი)**



მინდა ყველას გასაგონად ვთქვა, რომ მას თამაშის საოცარი ხედვა ჰქონდა, ყველასგან განსხვავებული, მაგრამ აქვე ასევე ყველას გასაგონად დავძენ: თამაშით მაინცდამაინც არ ხალისობდა. მგონი, უფრო ლაღად უნდა ეთამაშა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ.

**09. ალესანდრო დელ პიერო (იტალია)**



ზიდანის საპირისპირო სიტუაციაა: ფეხბურთის თამაში ძალიან სიამოვნებს, ბურთს თხემით ტერფამდე გრძნობს, ამ თამაშის სიყვარული მის სულშია. მასსა და ფრანგს შორის, მე იტალიელს ავირჩევდი.

**10. მიქაელ ლაუდრუპი (დანია)**



1986 წელს, მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე, მისი თამაში ყველაზე მეტად მომწონდა. მას ერთი შეხებით თამაში უყვარდა და ეხერხებოდა, რაც მის ფეხბურთს სიმსუბუქეს ანიჭებდა და გეჩვენებოდა, რომ ფეხბურთი იოლი სათამაშოა.






*1964 წელი. ტოკიო (იაპონია). XVIII ოლიმპიური თამაშების აფიშა და მედალი*

### ● იყო ასეთი შემთხვევა

## ნაბიჭვარი მანქანის ქვეშ

**დიეგო მარადონა** მორიგ შარში გაეხვია. ამჯერად მან მანქანით ტელეოპერატორს ფეხზე გადაუარა. ცხადია, შემთხვევით...

ეს ამბავი იმ პრესკონფერენციისას მოხდა, რომელზეც არგენტინის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა თავისი 23 რჩეული დაასახელა, ანუ ის ფეხბურთელები, რომლებიც სამხრეთ აფრიკაში მუნდიალზე წაიყვანა. დიეგო პრესკონფერენციაზე „მინით" მივიდა. შენობას მიუახლოვდა თუ არა, რეპორტიორების ალყაში აღმოჩნდა. ჩოჩქოლში ერთ-ერთს არ გაუმართლა, წაიქცა, რის შემდეგაც დიეგოს მანქანამ მას წვივზე გადაუარა.

*„შე ნაბიჭვარო, - უყვირა მარადონამ მანქანიდან, - როგორ დადგი ფეხი ისეთ ადგილას, სადაც მე შეიძლებოდა გამევლო?!"*

მედიკოსები დაზარალებულ ტელეოპერატორს მაშინვე მისცვივდნენ და საავადმყოფოში გააქანეს.

მასალები მოამზადა **გიორგი ფულარიანმა**

### ● თარიღი. 15-21 იანვარი

15.01.1899 წ. შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „მილანი" (იტალია).
15.01.1901 წ. დაიბადა **ლუიჯი მენოტი** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1983 წელს.
15.01.1989 წ. ბრაზილიაში სტარტი აიღო მსოფლიოს პირველმა ჩემპიონატმა მინიფეხბურთში.
16.01.1935 წ. დაიბადა **უდო ლატეკი** - ფეხბურთი, მწვრთნელი (გერმანია).
17.01.1911 წ. დაიბადა **გავრილ კაჩალინი** - ფეხბურთი (რუსეთი). გარდაიცვალა 1995 წელს
18.01.1955 წ. დაიბადა **ტიბორ ნილაში** - ფეხბურთი (უნგრეთი).
19.01.1922 წ. დაიბადა **მიგელ მუნიოსი** - ფეხბურთი (ესპანეთი). გარდაიცვალა 1990 წელს.
20.01.1953 წ. დაიბადა **ჯონი რობერტსონი** - ფეხბურთი.
21.01.1901 წ. დაიბადა **რიკარდო ზამორა** (ესპანეთი) - გარდაიცვალა 1978 წელს.

### ● ვიქტორინა. თქვენთვის, ერუდიტებო

**1. ვინ არის უეფას თასის პირველი გამარჯვებული?**
ა - ბირმინგემის ნაკრები
ბ - ლონდონის ნაკრები
გ - ბარსელონას ნაკრები

**2. დაასახელეთ „ოქროს ბურთის"' პირველი მფლობელი?**
ა - ალფრედო დი სტეფანო
ბ - სტენლი მეტიუზი
გ - ფრანც ბეკენბაუერი

**3. პრემიერლიგის ყველაზე ძვირადღირებული მეკარეა:**
ა - პეპე რეინა
ბ - ედვინ ვან დერ საარი
გ - პეტერ ჩეხი

**4. რომელ წელს დაარსდა პრიმერა დივიზიონი(ლა ლიგა)?**
ა -1928
ბ -1929
გ -1930

**5. რომელმა მოთამაშემ შეძლო ჩემპიონთა ლიგის ფინალში დუბლის შესრულება?**
ა - ფილიპო ინძაგი
ბ - სამუელ ეტოო?
გ - ანდრეი შევჩენკო

პასუხები მომდევნო ნომერში

### ● სახალისო ამბები

■ **კიგანების ტრადიციულ ოჯახში ვაჟებს მამის სახელებს არქმევდნენ. ჯოზეფს ჯოზეფი უჩნდებოდა და ასე შემდეგ. ამიტომ იყო, 1951 წლის 14 თებერვალს ქვეყნად კიდევ ერთი ჯოზეფის დაბადება არავის გაჰკვირვებია, მაგრამ ამან დიდი უხერხულობა შეუქმნა დედას. ჯო! დაიძახებდა ოჯახის დიასახლისი და მამა-შვილი ერთდროულად სცემდა პასუხს. ითმინა დედამ ცოტა ხანს ეს გაუგებრობა, ითმინა და თავის დასაღწევად გადაწყვიტა ვაჟისთვის მეორე სახელი კევინი დაეძახა. ალბათ, მიხვდით, რომელ კევინზეა (კიგანი) ლაპარაკი.**

■ 1989-90 წლების როთმანსის ყოველწლიურ წიგნში „მანჩესტერ იუნაიტედის" სკოლის მოსწავლეთა გუნდში მოხსენიებულია მავანი რაიან ჯეი უილსონი. მაშინ, არავინ იცოდა, რომ „ოლდ ტრაფორდს" დიდი ვარსკვლავი რაიან გიგზი ეზრდებოდა, რადგან ბიჭუნა ჯერ კიდევ თავის ნამდვილ, ანუ მამის გვარზე მას მერე გადავიდა (და დღემდე უელსელობს კიდეც), რაც დენი უილსონმა ცოლს სცემა და მიატოვა.

### ● ღვთისავარ ანთაძის კუთხე

### ფეხბურთი ახლო ხედით

## მოთამაშეთა დოკუმენტები

ნესით დადგენილი დოკუმენტების გარეშე ფეხბურთელი არ დაიშვება მატჩზე. შეხვედრის მსაჯი აკონტროლებს: 1) დამოწმებულია თუ არა მოწმობა ხელმძღვანელი ორგანიზაციის მიერ; ბ) არის თუ არა მოწმობაში ფეხბურთელის ფოტოსურათი და მისი ხელმოწერა; გ) დამოწმებულია თუ არა ფეხბურთელის სურათი ბეჭდით შესაბამისი ხელმომწერი ორგანიზაციის მიერ; დ) ჩაკრულია თუ არა პირად მოწმობაში სარეგისტრაციო მარკა გარკვეული პერიოდის განმავლობაში; ე) ნამდვილად არის თუ არა მოთამაშე გუნდის წევრი; ვ) განყვეტილი ხომ არა აქვს მოთამაშეს მუშაობის სტაჟი; ზ) აღნიშნულია თუ არა სარეგისტრაციო პირად მოწმობაში სამედიცინო დასკვნა. ფეხბურთელები მატჩში მონაწილეობენ სარეგისტრაციო მოწმობების და არა საწევრო ბარათის წარდგენის საფუძველზე.

თუკი ფეხბურთელის სამედიცინო შემოწმების ფურცელში თარიღი არ ჩანს ან გადასწორებულია, მსაჯი მას ნებას რთავს, მონაწილეობა მიიღოს შეხვედრაში, მაგრამ შესაბამისი დოკუმენტი მატჩის ოქმთან ერთად გადაეგზავნებათ ზემდგომ ორგანოებს. იმავეს აკეთებს მსაჯი, თუკი აღმოაჩენს სტაჟის შეწყვეტის თარიღს. ისეთ მოთამაშეს, რომელსაც შესაბამისი პერიოდის სარეგისტრაციო მარკა არა აქვს ჩაკრული, მსაჯს უფლება აქვს თამაშში მონაწილეობის ნება არ დართოს - ასევე, მოწინააღმდეგე გუნდის კაპიტნებს უფლება აქვთ, მსაჯს მიუთითონ მეტოქის გუნდის ფეხბურთელების ამა თუ იმ დარღვევის შესახებ.

### ● თავსატეხი „ანთა". მეთხუთმეტე ამოცანა

„ანთა" ინტელექტუალურ-გასართობი თავსატეხია საფეხბურთო ცხრილის შესახებ, თუმცა მის ამოსახსნელად სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული ცოდნა საჭირო არ არის. თავსატეხის არსი კი შემდგომში მდგომარეობს: ჩვენ შემოგთავაზებთ პირობით ქვეჯგუფს ოთხი გუნდის შემადგენლობით, თუმცა, ყველა გრაფა, გარდა ბურთების ბალანსის, ქულისა და დაკავებული ადგილისა, იქნება ცარიელი. თქვენ უნდა დააკვირდეთ თითოეულ მონაცემს და ლოგიკურად შეავსოთ ცარიელი ისე, რომ არ დაირღვეს არსებული მონაცემები. დაადგინეთ ურთიერთშეხვედრების ანგარიშები და ასევე ის, რამდენი მოგება, ფრე და წაგება აქვთ პირობითად A, B, C და D გუნდებს.

*შენიშვნა: თ-თამაში; მ-მოგება, ფ-ფრე; წ-წაგება; ბ-ბურთების ბალანსი; ქ-ქულა; ა-ადგილი.*

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | | | | | | | | | 8-3 | 9 | I |
| B | | | | | | | | | 3-1 | 6 | II |
| C | | | | | | | | | 3-7 | 1 | III |
| D | | | | | | | | | 0-3 | 1 | IV |

**წინა ამოცანის პასუხი**

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | | 1:1 | 6:0 | 2:0 | 3 | 2 | 1 | 0 | 9-1 | 7 | I |
| B | 1:1 | | 1:1 | 4:2 | 3 | 1 | 2 | 0 | 6-4 | 5 | II |
| C | 0:6 | 1:1 | | 1:1 | 3 | 0 | 2 | 1 | 2-8 | 2 | III |
| D | 0:2 | 2:4 | 1:1 | | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 | IV |

გვერდი მომზადებულია **თენგიზ თომაშვილის** პროექტით

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. "ახალ მარადონად" წოდებული არგენტინელი ფეხბურთელი; 3. ქ. ოლიმპიაში აღმართული მონუმენტის „მშვიდობის ჩირაღდანი"' ქართველი სკულპტორი; 9. "ინტერის" ბრაზილიელი მცველი; 10. საფეხბურთო კლუბ "მერცხალის" ქალაქი; 11. ფრანგი ფეხბურთელი, თავდამსხმელი; 13. ზინედინ ზიდანის მშობლიური ქალაქი; 14. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი; 19. ნიგერიული წარმოშობის ამერიკელი ფეხბურთელი; 20. პირველი ესპანელი, რომელიც მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდა; 22. გორელი თავისუფალი სტილით მოჭიდავე, ლეგიონერი; 23. რბენის, რბოლის დისტანცია; 24. უნგრელი მოჭადრაკე დების გვარი; 27. სხვადასხვა გუნდიდან შერჩეულ სპორტსმენთაგან შედგენილი გუნდი; 29. საფეხბურთო კლუბ "მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი; 30. კლუბ "ფიორენტინას" მცველი; 32. "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი; 33. თბილისის "დინამოს" ნახევარმცველი.

**შვეულად:** 1. "ინტერის" არგენტინელი თავდამსხმელი; 2. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი "რეალ-..."; 4. სპორტული პრიზის ერთ-ერთი ნაირსახეობა; 5. საწყალოსნო სპორტის სახეობა; 6. არგენტინის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი 1998-2004 წლებში; 7. კანადელი ჰოკეისტი, "კალგარი ფლეიმზის" კაპიტანი; 8. უკრაინის ქალაქი, რომლის საფეხბურთო კლუბებია "შახტიორი" და "მეტალურგი"; 12. ბრაზილიური "სანტოსის" ნახევარმცველი; 13. ცნობილი ლიტველი კალათბურთელი; 15. ჩოგბურთში პარტიის ნაწილი; 16. ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე; 17. ვეტერანი რუსი საბჭოთა მოთხილამურე ქალი; 18. ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი; 21. სათხილამურო კურორტებით განთქმული ევროპის ქვეყანა; 25. ყოფილი გერმანელი ფეხბურთელი, მცველი; 26. ლუკას პოდოლსკის საფეხბურთო კლუბი; 28. მხედრის შარვალი; 31. პროფესიონალი მოკრივე დავიდ...

*პასუხები მომდევნო ნომერში*

*შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ*

ქართული ბიბლიოთეკა

## ოლიმპიზმი

# ფიფა და სოკი ზამთარს ვერ იყოფენ



ჟაკ როგე

გუშინდელ ნომერში გაუწყეთ იმის შესახებ, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა საკუთარი რიგებიდან განა გარიცხა, რომლის მთავრობაც უხეშად ჩაერია ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობაში. სოკ-მა ეს გადაწყვეტილება ლოზანაში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მიიღო. ამ შეკრებაზე სხვა საინტერესო საკითხებიც განიხილეს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობას მოლაპარაკებები შესთავაზა. ეს იქამდე უნდა მოხდეს, სანამ ფიფა ყატარში მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის ზამთარში ჩატარებას გადაწყვეტს.

*„ამ საკითხთან დაკავშირებით ფიფასთან ჯერ არ გვილაპარაკია, რადგან ამ ეტაპზე მხოლოდ იდეის დონეზე არსებობს 2022 წლის ჩემპიონატის ზამთარში ჩატარება,* - განაცხადა როგემ. - *თუმცა ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე ლოგიკური იქნებოდა მოლაპარაკებათა მაგიდასთან დასხდომა და იმის გარკვევა, რამდენად აწყობთ მხარეებს საფეხბურთო პირველობის გადატანა“.*

როგეს თქმით, ამ ორმა უმსხვილესმა ორგანიზაციამ ოპტიმალური გამოსავალი უნდა იპოვოს და არ დაუშვას საფეხბურთო ჩემპიონატისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშების ერთდროულად ჩატარება.

სოკ-ის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ ყატარმა მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის ზაფხულში ჩატარებაზე შეიტანა განაცხადი და ფიფამ სწორედ ამას უყარა კენჭი. ყატარში პლანეტის პირველობის ზამთარში გამართვის შესახებ წინადადებამ დეკემბერში გაიჟღერა. საქმე ისაა, რომ ამ არაბულ სახელმწიფოში ზაფხულობით ტემპერატურა 45 გრადუსს აღწევს და ასეთ პირობებში ფეხბურთის თამაში პრობლემურია. ჩემპიონატის ზამთარში გადატანის იდეას ფიფას პრეზიდენტმა **ზეპ ბლატერმაც** დაუჭირა მხარი: *„რა თქმა უნდა, ვემხრობი ამ წინადადებას. საჭიროა ფეხბურთელებმა სათანადო კლიმატურ პირობებში ითამაშონ“,* - აღნიშნა ფიფას ხელმძღვანელმა. ბლატერი მიიჩნევს, რომ ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ჩემპიონატის დეკემბერ-იანვარში ჩატარება.

იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიოს ჩემპიონატი და ოლიმპიური თამაშები ერთ დროს ჩატარდება, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ტელეტრანსლაციებიდან შემოსავლის უდიდეს ნაწილს დაკარგავს. თუმცა ჟაკ როგეს სანერვიულო ბევრი არაფერი აქვს. თუ ბლატერმა მსოფლიოს ჩემპიონატი დეკემბრის ბოლოსა და იანვრის დასაწყისში ჩაატარა, მაშინ მუნდიალი ვადებში არ დაემთხვევა ზამთრის თამაშებს. როგორც წესი, „თეთრი“ ოლიმპიადა თებერვალში იმართება. მაგალითად, ვანკუვერის თამაშები 12 თებერვალს დაიწყო.

■ ■ ■

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე სოკ-ის პრეზიდენტმა გამოაცხადა 2020 წლის ზაფხულის თამაშების ჩატარებაზე განაცხადების მიღების ბოლო ვადა - ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველებმა განაცხადები 2011 წლის პირველ სექტემბრამდე უნდა შეიტანონ, ხოლო საგანაცხადო წიგნების წარდგენის ბოლო ვადა 2012 წლის 15 თებერვალი გახლავთ. 2020 წლის თამაშების მასპინძელს 2013 წლის 7 სექტემბერს სოკ-ის სესიაზე აირჩევენ, რომელიც ბუენოს აირესში გაიმართება. ამ ოლიმპიადის მასპინძლობაზე პრეტენზიას აცხადებენ რომი, სტამბოლი, ბერლინი და მადრიდი. მათ კონკურენციას გაუწევენ ინდოეთი და სამხრეთ აფრიკა, თუმცა ამ ქვეყნებს კანდიდატი ქალაქები ჯერ არ აურჩევიათ.

და კიდევ ერთი საკითხი: 2010 წლის ოქტომბერში არსებობა შეწყვიტა ჰოლანდიის ანტილის კუნძულების ავტონომიამ. შესაბამისად, დაიშალა ამ ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ამიტომაც „კუნძულელი“ სპორტსმენები ლონდონის თამაშებზე ოლიმპიური დროშით გამოვლენ.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ფილადელფია 7:5**

1:1, 1:2, 5:2

**გოლები**: 0:1 ჰარტნელი-15 (ლეინო-21, ბრიერი-16), 1:1 ხარა-7 (სავარი-5, კრეისი-21), 2:1 პ. ბერჟერონი-14 (კამპფერი-2, რეკი-18), 2:2 ჟერდიოვი-14 (ნოდლი-8), 2:3 ჯ. კარტერი-17 (ვან რიმსდიკი-10, ტიმონენი-20), 3:3 რეკი-9 (ხარა-14, ტომასი-1), 4:3 რაიდერი-12 (მაკუეიდი-5, ჰორტონი-15), 4:4 ბრიერი-23 (ქობურნი-8, ლეინო-22), 4:5 ო'დონელი-1 (მ. რიჩარდსი-25, ჟერდიოვი-3), 5:5 მარჩანდი-9 (გ. კემპბელი-9, ველერი-9), 6:5 კამპფერი-4, 7:5 გ. კემპბელი-5 (ველერი-10, პ. ბერჟერონი-20).

**ბაფალო-კაროლინა 3:2**

1:0, 1:1, 1:1

**გოლები**: 1:0 გერბი-2 (ვანეკი-16, გოსტადი-10), 1:1 ტ. რუუტუ-12 (ე. სტაალი-22, კორვო-13), 2:1 მაკორმიკი-6 (ლეოპოლდი-15, მონტადონი-10), 2:2 სტეფორდი-15 (ვანეკი-17, ტიმ კონოლი-12), 3:2 სკინერი-15 (მაკბეინი-14, ი. იოკინენი-22).

**სან ხოსე-ედმონტონი 2:5**

0:1, 0:2, 2:2

**გოლები**: 0:1 კოლიანო-5 (რედო-3), 0:2 პენერი-13 (ჰემსკი-16, ჰოლი-12), 0:3 ჰოლი-13 (ჰემსკი-17, გილბერტი-9), 1:3 ჯ. ტორნტონი-11 (ჰიტლი-23, მარლო-16), 1:4 უმარკი-2 (ჰემსკი-18, პააიარვი-11), 2:4 ქლოუ-12 (ჯ. ტორნტონი-28, ჰიტლი-24), 2:5 ჰოლი-14 (ჰემსკი-19).

**რეინჯერსი-ვანკუვერი 1:0**

0:0, 1:0, 0:0

**გოლი**: 1:0 ვოლსკი-7 (გაბორიკი-13, დუბინსკი-21).

**ფლორიდა-ნეშვილი 3:2**

1:1, 0:0, 2:1

**გოლები**: 1:0 დვორაკი-6 (რისონერი-10, სტილმანი-9), 1:1 კ. უილსონი-11 (ლეგვანდი-10, სვატოსი-2), 1:2 ლეგვანდი-5 (შ. უებერი-19, რ. სატერი-19), 2:2 ოლეში-3 (სანტორელი-10, მაკეიბი-16), 3:2 ბუტი-13 (ოლეში-9, ვივერი-8).

**ფინიქსი-ტორონტო 5:1**

1:0, 0:0, 4:1

**გოლები**: 1:0 ვრბატა-9 (რეი უიტნი-21, ეკმან-ლარსონი-8), 2:0 დოუნი-11 (იენდლი-26, რეი უიტნი-22), 3:0 პიატი-11 (იენდლი-27, კორპიკოსკი-11), 4:0 კორპიკოსკი-11 (ბოდკერი-2, ტარისი-7), 4:1 კ. არმსტრონგი-6 (მ. ბრაუნი-2, ბოისი-3), 5:1 იენდლი-7 (აპშოლი-10).

**ლოს ანჯელესი-სტ. ლუისი 1:3**

0:1, 1:2, 0:0

**გოლები**: 0:1 კრომბინი-4 (პიეტრანჯელო-15, ბერგლუნდი-14), 1:1 ჰანძუში-7 (მარტინესი-5, ჯ. ჯონსონი-5), 1:2 რივსი-2 (მაკრეი-1, პორტერი-2), 1:3 სტინი-15 (ბოიესი-15, ე. ჯონსონი-12).

**აილენდერსი-ოტავა 4:6**

1:2, 1:4, 2:0

**გოლები**: 0:1 ალფრედსონი-14 (ფიშერი-7), 1:1 ჟილისი-1 (კონოპკა-5), 1:2 ვინჩესტერი-4 (გონჩარი-15, კ. ნილი-9), 1:3 მ. მიხალეკი-9 (კ. კელი-9, კარკნერი-3), 2:3 კომო-12 (ჰამონიკი-6, ენდრიუ მაკდონალდი-13), 2:4 კ. კელი-9 (მ. მიხალეკი-8), 2:5 ფოლინო-6 (ლოკი-1, კარკნერი-4), 2:6 ზ. სმიტი-4 (ვინჩესტერი-6, ლი-1), 3:6 პარენტო-10 (იურჩინა-5, მოულსონი-9), 4:6 იურჩინა-3 (ტავარესი-15, გრაბნერი-4).

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| სტრომსგოდსეტი-ასკერი | 0:0 |
| შივასი-გრააფსხაპი | 0:1 |
| ესქისეჰირი-ვილემი | 0:0 |
| ნიიმეგენი-ბრიუგე | 2:0 |
| ბრედა-სერკლი | 0:3 |
| სტანდარდი-უტრეხტი | 0:1 |
| **აზიის თასი** | |
| ავსტრალია-ს. კორეა | 1:1 |
| ბაჰრეინი-ინდოეთი | 5:2 |
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| ბრენტფორდი-ექსეტერი | 1:1 |
| კოლჩესტერი-ბორნმუთი | 2:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| სიენა-პესკარა | 2:1 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ხირონა-ნუმანსია | 2:0 |
| **გერმანია** | |
| ლევერკუზენი-დორტმუნდი | 1:3 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კარლსრუე-ფიურტი | 1:1 |
| უნიონი-ალემანია | 2:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| კამბური-დორდრეჰტი | 3:0 |
| ვოლენდამი-მაასტრიხტი | 1:2 |
| ცვოლე-ემენი | 3:4 |
| ფორტუნა-აპელდოორნი | 1:2 |
| ჰელმონდი-დენ ბოში | 2:2 |
| ვაალვიკი-ეინდჰოვენი | 4:1 |
| ვეენდამი-ტელსტარი | 2:1 |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ოსტენდე-სტანდარდი (ვ) | 0:0 |
| **პორტუგალია** | |
| პორტიმონენსე-ბრაგა | 0:3 |

| | |
|---|---|
| **ავსტრალია** | |
| გოლდ კოუსტი-ნ. ქუინსლენდი | 4:0 |
| **კალათბურთი** | |
| **საფრანგეთი** | |
| ლე მანი-პუატიე | 85:80 |
| სტრასბური-ვიში | 95:80 |
| ტულონი-გრაველინი | 68:91 |
| **რუსეთი** | |
| ენისეი-ტრიუმფი | 92:84 |
| **თურქეთი** | |
| ფენერბაჰჩე-ტ. ტელეკომი | 83:68 |
| **ხელბურთი** | |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **კაცები** | |
| ისლანდია-უნგრეთი | 32:26 |
| საფრანგეთი-ტუნისი | 32:19 |
| გერმანია-ეგვიპტე | 30:25 |
| ხორვატია-რუმინეთი | 27:21 |
| კორეა-არგენტინა | 25:25 |
| ნორვეგია-იაპონია | 35:29 |
| დანია-ავსტრალია | 47:12 |
| ესპანეთი-ბაჰრეინი | 33:22 |
| პოლონეთი-სლოვაკეთი | 35:33 |
| სერბეთი-ალჟირი | 25:24 |
| ავსტრია-ბრაზილია | 34:24 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| დინამო (მ)-ვიტიაზი | 3:4 (ბ) |
| ცსკა-სკა | 1:2 |
| დინამო (მნ)-სპარტაკი | 2:4 |
| დინამო (რ)-სევერსტალი | 3:4 (ბ) |
| **ავსტრია** | |
| აკრონი-ზაგრები | 2:3 (ბ) |
| ვენა-კლაგენფიურტი | 3:4 |
| ვილახი-ალბა | 3:2 |
| ლინცი-გრაცი | 2:1 (ბ) |
| **ბელარუსი** | |
| მეტალურგი-სოკილი | 2:1 (ო) |
| ნემანი-ლიეპაიასი | 4:1 |

| | |
|---|---|
| **[illegible]** | |
| აისბარენი-ვოლფსბურგი | 5:4 |
| ჰანოვერი-ჰამბურგი | 5:0 |
| იზერლონი-ნიურნბერგი | 5:3 |
| კრეფელდი-ინგოლშტადტი | 5:1 |
| მანჰაიმი-კიოლნი | 5:4 (ბ) |
| მიუნხენი-დიუსელდორფი | 6:1 |
| შტრაუბინგი-აუგსბურგი | 4:1 |
| **დანია** | |
| ოდენსე-ჰერნინგი | 0:6 |
| ოლბორგი-ესბერგი | 3:6 |
| ჰვიდოვრე-როდოვრე | 4:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-პოპრადი | 6:4 |
| ჟილინა-მარტინი | 3:2 (ო) |
| ნიტრა-ზვოლენი | 4:0 |
| სლოვანი-სკალიცა | 4:1 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-იოკერიტი | 4:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-ბრნო | 6:4 |
| ლიტვინოვი-სლავია | 2:3 (ბ) |
| ბოლესლავი-კლადნო | 3:4 |
| ბუდეიოვიცე-ვიტკოვიცე | 6:1 |
| კარლოვი ვარი-პლზენი | 2:3 |
| ლიბერეცი-ზლინი | 7:5 |
| **შვეიცარია** | |
| ლანგნაუ-ფრიბურგი | 3:5 |
| რაპერსვილი-ამბრი | 5:1 |
| სერვეტი-ბილი | 2:4 |
| ციურიხი-ლუგანო | 0:5 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ოკლენდი** | |
| ნალბანდიანი-ალმაგრო | 6:4, 6:2 |
| ფერერი-ხირალდო | 6:3, 7:5 |
| **ATP. სიდნეი** | |
| სიმონი-გულბისი | 7:6, 6:0 |
| ტროიცკი-ფ. მაიერი | 6:4, 7:6 |
| **WTA. სიდნეი** | |
| კლაისტერსი-ნა ლი | 6:7, 3:6 |
| **WTA. ჰობარტი** | |
| პენგი-მატეკი | 6:4, 1:6, 1:6 |
| ზაკოპალოვა-გროტი | 3:6, 2:6 |

## TV პროგრამა

### 15 იანვარი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

**18:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ბაიერნი (LIVE).
**21:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ფიორენტინა (LIVE).
**23:45** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ბოლონია (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**18:25** გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ჰოფენჰაიმი (LIVE).
**20:55** იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ფიორენტინა (LIVE).
**22:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-რასინგი (LIVE).
**00:55** ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ესპანიოლი (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**11:45** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS 134. საპორო. იაპონია (LIVE).
**13:40** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. I ცდა. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
**15:15** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
**16:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
**18:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ბაიერნი (LIVE).
**23:10** ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-პოლონეთი. შვედეთი (LIVE).
**01:30** ამერიკული ფეხბურთი. NFL. პლეი ოფი. პიტსბურგი-ბალტიმორი (LIVE).
**05:00** ამერიკული ფეხბურთი. NFL. პლეი ოფი. ატლანტა-გრინ ბეი (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**19:25** ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. უნგრეთი-ნორვეგია. შვედეთი (LIVE).
**22:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-პიტსბურგი (LIVE).
**05:00** ამერიკული ფეხბურთი. NFL. პლეი ოფი. ატლანტა-გრინ ბეი (LIVE).

**HTB-პლუსი (კლასიკა)**

**18:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-მაინცი (LIVE).
**23:55** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-სოშო (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**18:30** რუსეთის ჩემპიონატი. ხიმკი-უნიქსი (LIVE).
**05:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მემფისი-დალასი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**12:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. სიდნეი. ავსტრალია (LIVE).

**SPORT+**

**16:55** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები. ქალები. სპრინტი. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
**21:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰამბურგი (LIVE).
**23:40** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ბოლონია (LIVE).
**03:30** ცურვა. აშშ-ის გრან-პრი (LIVE).

**EUROSPORT**

**12:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS 134. საპორო. იაპონია (LIVE).
**13:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. I ცდა. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
**15:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
**17:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
**17:45** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ქალები. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
**19:00** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. ზეეფელდი. ავსტრია (LIVE).
**23:15** რალი-რეიდი დაკარი. XIII ეტაპი. არგენტინა (LIVE).
**23:45** სნუკერი. მასტერსი. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**12:45** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. ტრამპლინი. HS140. ზეეფელდი. ავსტრია (LIVE).
**13:45** სნოუბორდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბიგ ეირი. კვალიფიკაცია. I რაუნდი. ლა-მოლინა. ესპანეთი (LIVE).
**14:45** ციგაობა. მსოფლიოს თასი. ორადგილიანი. II ცდა. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
**16:00** სნოუბორდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბიგ ეირი. კვალიფიკაცია. II რაუნდი. ლა-მოლინა. ესპანეთი (LIVE).
**17:00** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები. ქალები. სპრინტი. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
**18:45** სნოუბორდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბიგ ეირი. კვალიფიკაცია. III რაუნდი. ლა-მოლინა. ესპანეთი (LIVE).
**22:00** სნოუბორდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბიგ ეირი. ფინალი. ლა-მოლინა. ესპანეთი (LIVE).
**23:30** ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. VII ტური. ბუსტო არიზო-ნოვარა (LIVE).

### 16 იანვარი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

**15:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კალიარი-პალერმო (LIVE).
**18:05** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ევერტონი (LIVE).
**20:10** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-რეალი (LIVE).
**00:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ბორდო (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**15:25** იტალიის ჩემპიონატი. კალიარი-პალერმო (LIVE).
**17:55** იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-სამპდორია (LIVE).
**21:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-რეალი (LIVE).
**23:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-მალაგა (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**11:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
**13:15** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. I ცდა. ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
**15:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
**16:05** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. II ცდა. ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
**17:00** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები. ქალები. გუნდური სპრინტი. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
**23:10** ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. რუმინეთი-დანია. შვედეთი (LIVE).
**01:30** ამერიკული ფეხბურთი. NFL. პლეი ოფი. ატლანტა-გრინ ბეი (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**17:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ბარი (LIVE).
**20:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კაიზერსლაუტერნი-კიოლნი (LIVE).
**23:40** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ბარი (LIVE).
**03:55** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. I დღე. მელბურნი (LIVE).

**HTB-პლუსი (კლასიკა)**

**18:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-ჰანოვერი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**03:45** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. I დღე. მელბურნი (LIVE).

**SPORT+**

**17:00** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები. ქალები. გუნდური სპრინტი. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
**21:55** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-რეალი (LIVE).
**23:55** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ბორდო (LIVE).

**EUROSPORT**

**12:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
**13:15** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. I ცდა. ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
**14:00** ციგაობა. მსოფლიოს თასი. ქალები. II ცდა. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
**15:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
**16:15** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. კაცები. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
**17:00** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები. ქალები. გუნდური სპრინტი. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
**18:15** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. ქალები. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
**19:00** სნუკერი. მასტერსი. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**00:00** სნუკერი. მასტერსი. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**04:00** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. I დღე. მელბურნი (LIVE).
**06:00** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. I დღე. მელბურნი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**13:00** ციგაობა. მსოფლიოს თასი. ქალები. I ცდა. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
**14:00** ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. სკი-კროსი. ლე კონტამინე. საფრანგეთი (LIVE).
**15:00** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. ტრამპლინი. HS140. ზეეფელდი. ავსტრია (LIVE).
**16:15** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. II ცდა. ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
**18:00** სნუკერი. მასტერსი. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**20:15** ფეხბურთი. აზიის თასი. ჯგუფური ეტაპი. ჩინეთი-უზბეკეთი. კატარი (LIVE).
**04:00** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. I დღე. მელბურნი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღიას წინ

# სუპერმატჩით იწყება

გუშინ ცნობილი გახდა სეზონში „დიდი სლემის“ პირველი ტურნირის - ავსტრალიის ღია პირველობის ბადე. წილისყრა ლეგენდარულმა **ივან ლენდლმა** ჩაატარა.

ამ წილისყრას ორი მთავარი ინტრიგა ჰქონდა: ჯერ ერთი, ყველას აინტერესებდა, ბადის რომელ მეოთხედში მოხვდებოდა რეიტინგის პირველი ოთხეულიდან „გაძევებული“ **ენდი მიურეი**, და კიდევ, საინტერესო იყო, ვის ერგებოდა მეტოქედ განუთესავი არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო**. მაგრამ პირველი წრის ცენტრალური მატჩი იქედან წამოვიდა, საიდანაც ამას ყველაზე ნაკლებად ელოდნენ - ადგილობრივი პუბლიკის კერპი **ლეიტონ ჰიუიტი** საწყის ეტაპზე მეორე არგენტინელ **დავიდ ნალბანდიანს** გადაეყარა. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი კარგ ფორმაში ხვდება ავსტრალიის ღია პირველობას - წილისყრის პარალელურად ის ოკლენდის ტურნირის ნახევარფინალში ესპანელ **ნიკოლას ალმაგროს** ეთამაშებოდა და თავისი მომავალი მეტოქის შესახებ მოგვიანებით შეიტყო. ნალბანდიანი ოკლენდში ფინალში გავიდა, სადაც ესპანელ **დავიდ ფერერს** შეხვდება. ნაადრევ ეტაპზე ასეთი სუპერწყვილის მიღება იმით არის განპირობებული, რომ ახალ საუკუნეში ჰიუიტი მეორედ აღმოჩნდა რეიტინგის საუკეთესო ოცდაათეულის მიღმა. პირველად ეს ორი წლის წინ მოხდა და მაშინ ავსტრალიელს მეტოქედ ჩილელი **ფერნანდო გონსალესი** ერგო, რომელმაც ლეიტონი ხუთ სეტში დაამარცხა. ნალბანდიანთან ჰიუიტს 2005 წელს აქვს ნათამაშები და მეხუთე სეტში 10:8 გაიმარჯვა.

რაც შეეხება აშშ-ის ღია პირველობის ყოფილ ჩემპიონ დელ პოტროს, იღბალი მის მხარეს იყო და პირველ წრეში შედარებით იოლი მეტოქე შეხვდა ისრაელელი **დუდი სელას** სახით, თუმცა მეორე წრეში არგენტინელი, სავარაუდოდ, კვიპროსელ **მარკოს ბაღდატისს** შეხვდება.

რეიტინგის წამყვანმა ჩოგბურთელებმა სხვადასხვა სირთულის მეოთხედები მიიღეს. ენდი მიურეის პოტენციურ მეტოქედ **რობინ სიოდერლინგი** იქცა - სწორედ შვედმა წაართვა კლასიფიკაციაში მიურეის მეოთხე პოზიცია. საერთოდ, ფორტუნამ სკანდინაველს საკმაოდ რთული მეტოქეები შეახვედრა. პირველ წრეში მას იტალიელი **პოტიტო სტარაჩე** ელოდება. თითქოს იოლი მეტოქეა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შარშან პირველ წრეში სიოდერლინგი **მარსელ გრანოლერსს** ხვდებოდა და სეტებში 2:0-ს უგებდა ესპანელს, მაგრამ ხუთ სეტში დამარცხდა. თუ ამჯერად ასეთ გაუგებრობას თავიდან აიცილებს, რობინს მესამე წრეში (მეორეში კვალიფიკაციის გამარჯვებულს შეხვდება) **ტომაშ ბელუჩი** ერგება. და, რა თქმა უნდა, ძალიან რთული იქნება მეოთხე წრის შეხვედრა **ერნესტ გულბისთან** ან **ჟო-ვილფრიდ ცონგასთან**. აი, ამის შემდეგ შეიძლება შედგეს მიურეისთან მეოთხედფინალი. თავად ენდის ბადე უფრო იოლია: თავიდან **კაროლ ბეკი**, შემდეგ **ილია მარჩენკო** ან **რამირეს იდალგო** და უფრო იქით ყველაზე დაბალი ნომრით განთესილი **გარსია ლოპესი**. მერვედფინალში ნამდვილ გამოცდად უნდა იქცეს დელ პოტროსთან, ბაღდატისთან ან **იურგენ მელცერთან** შეხვედრა.

ნადალის მეოთხედში ორი ესპანელი და ორი ლათინოამერიკელია. **მარკოს დანიელს**, კვალიფიკაციის გამარჯვებულს, **დანიელ ხიმენო-ტრავეროს** ან **ბერნარდ ტომიჩს** ბოლომდე გამოუჯანმრთელებელი ნადალიც ეყოფა. მერვედფინალში მსოფლიოს პირველი ჩოგანი ვერ ასცდება მეტოქის უძლიერეს მონოდებებს - თუ ესპანელამდე **ჯონ ისნერი** ვერ მიაღწევს, მაშინ **მარინ ჩილიჩი** გაიხსენებს, რომ მას აქ ნახევარფინალი აქვს „დასაცავი“. 1/4 ფინალში ესპანელის სავარაუდო მეტოქეები იქნებიან - ფერერი, **მიკაელ ლოდრა, მიხაელ იუჟნი**, ნალბანდიანი და ჰიუიტი.

თუ **როჯერ ფედერერი ლუკაშ ლაჩკოს** ბარიერს გაივლის, მეორე წრეში უხერხულ მეტოქე **ჟილ სიმონს** დაელოდება. მესამე წრეში, სავარაუდოდ, შვეიცარიელი **ალბერტ მონტანიესს** შეხვდება, ხოლო მერვედფინალში ჩემპიონთან დაპირისპირების ყველაზე კარგი შანსი აქვთ ამერიკელებს - **სემ კუერისა** და **მარდი ფიშს**. სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა როჯერი ინდიან უელსში გაანადგურა და ბოლო ქულამდე ებრძოლა ცინცინატის მასტერსის ფინალში. მეოთხედფინალში მოჩანს ძველ ნაცნობ **ენდი როდიკთან** (პირადი შეხვედრები - 20:2) ან **გაელ მონფილსისტანისლავ ვავრინკას** მატჩის გამარჯვებულთან შეხვედრა.

ოდნავ უფრო რთული ბადე აქვს **ნოვაკ ჯოკოვიჩს**. შარშან სიოდერილინგის მძლეველი გრანოლერსი წელსაც შეეცდება სენსაციის „გამოცხობას“. თუ ეს არ გამოუვა, მეორე წრეში ნოვაკს ხორვატი მეტოქე ეყოლება - **ივო კარლოვიჩი** ან **ივან დოდიგი**. მესამე წრეში იგეგმება შეხვედრა **ვიქტორ ტროიცკისთან**, რომელმაც ჯოკოვიჩი კინაღამ დაამარცხა აშშ-ის ღიას პირველ წრეში. მერვედფინალის სავარაუდო მეტოქეებს შორის ყველაზე ძლიერები არიან ალმაგრო და **ივან ლუბიჩიჩი**. რაც შეეხება შემდეგ ეტაპს, იქ შესაძლებელია **ტომაშ ბერდიხთან, ნიკოლაი დავიდენკოსთან** ან **ფერნანდო ვერდასკოსთან** შეხვედრა.

თუ საუკეთესო ოთხეულის წევრები ნახევარფინალამდე ყველა ეტაპს გაივლიან, ამ სტადიაზე ისინი შემდეგნაირად დაწყვილდებიან: ნადალი-სიოდერლინგი, ჯოკოვიჩი-ფედერერი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ავსტრალიის ღია პირველობა. კაცების ბადე

1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2

ნადალი (ესპ, 1)
დანიელი (ბრა)
კვალიფიკაცია
ხიმენო-ტრავერი (ესპ)
ტომიჩი (ავსტრა)
შარდი (საფ)
ფალა (კოლ)
ფ. ლოპესი (ესპ, 31)
ისნერი (აშშ, 20)
სერა (საფ)
შტეპანეკი (ჩეხ)
კვალიფიკაცია
რუი მაშადო (პორ)
ხირალდო (კოლ)
კვალიფიკაცია
მარინ ჩილიჩი (ხორ, 15)
იუჟნი (რუს, 10)
ილჰანი (თურ)
კვალიფიკაცია
ანდერსონი (ს. აფრ)
კვალიფიკაცია
ფაუ (გერ)
ჩელა (არგ)
ლოდრა (საფ, 22)
ნალბანდიანი (არგ, 27)
ჰიუიტი (ავსტრა)
ბერანკისი (ლიტ)
მატოშევიჩი (ავსტრა)
რასელი (აშშ)
ებდენი (ავსტრა)
ნიემინენი (ფინ)
ფერერი (ესპ, 7)
სიოდერლინგი (შვედ, 4)
სტარაჩე (იტა)
კვალიფიკაცია
კვალიფიკაცია
ისტომინი (უზბ)
კვალიფიკაცია
მელო (ბრა)
ბელუჩი (ბრა, 30)
გულბისი (ლატ, 24)
ბეკერი (გერ)
დოლგოპოლოვი (უკრ)
კუკუშკინი (ყაზ)
სეპი (იტა)
კლემანი (საფ)
პეტცშნერი (გერ)
ცონგა (საფ, 13)
მელცერი (ავსტრია, 11)
კვალიფიკაცია
ბოლი (ავსტრა)
რიბა (ესპ)
სელა (ისრ)
დელ პოტრო (არგ)
კვალიფიკაცია
ბაღდატისი (კვიპ, 21)
გ. ლოპესი (ესპ, 32)
ბერერი (გერ)
შვანკი (არგ)
მაიერი (არგ)
მარჩენკო (უკრ)
რამირეს იდალგო (ესპ)
კ. ბეკი (სლოვაკ)
მიურეი (ბრიტ, 5)






1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64

ბერდიხი (ჩეხ, [illegible])
კვალიფიკაცია
კოლშრაიბერი (გერ)
კამკე (გერ)
ჰარისონი (აშშ)
მანარინო (საფ)
კვალიფიკაცია
გასკე (საფ, 28)
დავიდენკო (რუს, 23)
ფ. მაიერი (გერ)
ფონინი (იტა)
ნიშიკორი (იაპ)
ზვერევი (გერ)
ტიპსარევიჩი (სერ)
შუტლერი (გერ)
ვერდასკო (ესპ, 9)
ალმაგრო (ესპ, 14)
კვალიფიკაცია
ანდრეევი (რუს)
ვოლანდრი (იტა)
კვალიფიკაცია
პერი (საფ)
ლუჩაკი (ავსტრა)
ლუბიჩიჩი (ხორ, 17)
ტროიცკი (სერ, 29)
ტურსუნოვი (რუს)
დაბული (არგ)
კვალიფიკაცია
კარლოვიჩი (ხორ)
დოდიგი (ხორ)
გრანოლერსი (ესპ)
ჯოკოვიჩი (სერ, 3)
როდიკი (აშშ, 8)
ჰაიეკი (ჩეხ)
პრსიეჟნი (პოლ)
კუნიცინი (რუს)
ბერლოკი (არგ)
ჰაასე (ჰოლ)
ბენეტო (საფ)
მონაკო (არგ, 26)
ვავრინკა (შვეიც, 19)
გაბაშვილი (რუს)
კვალიფიკაცია
გოლუბევი (ყაზ)
ჟილი (პორ)
კუევასი (ურუ)
დე ბაკერი (ჰოლ)
მონფილსი (საფ, 12)
ფიში (აშშ, 16)
ჰანესკუ (რუმ)
რობრედო (ესპ)
დევარმანი (ინდ)
სტახოვსკი (უკრ)
ბრანდსი (გერ)
კუბოტი (პოლ)
კუერი (აშშ, 18)
მონტანიესი (ესპ, 25)
ბრაუნი (გერ)
ანდუხარი (ესპ)
მალისე (ბელ)
ლუ (ტაივ)
სიმონი (საფ)
ლაჩკო (სლოვაკ)
ფედერერი (შვეიც, 2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღიას წინ

# ახალი ჩემპიონის მოლოდინში

მამაკაცების მსგავსად, ქალების ბადეშიც ერთი გამორჩეული წყვილი მივიღეთ. სასტარტო მატჩში ამ ტურნირის ყოფილი ფინალისტები - ბელგიელი **კიმ კლაისტერსი** (2004) და რუსი **დინარა საფინა** (2009) შეხვდებიან ერთმანეთს. ბელგიელმა გუშინ ითამაშა სიდნეის ტურნირის ფინალში, რაც მის კარგ მზადყოფნაზე მეტყველებს, თუმცა გადამწყვეტ მატჩში კლაისტერსი მოულოდნელად დამარცხდა ჩინელ **ნა ლისთან**, არადა, პირველ სეტში 5:0 იყო დაწინაურებული.

საფინა კი, რომელიც თავის დროზე რეიტინგის პირველი ნომერი იყო, განთესვის ზონის მიღმა აღმოჩნდა. რუსი ვერაფრით იბრუნებს ძველ სპორტულ ფორმას, რაც წლევანდელმა ტურნირებმაც დაადასტურეს - ოკლენდსა და ჰობარტში დინარა პირველი წრიდან გამოეთიშა ბრძოლას.

მამაკაცებისგან განსხვავებით, ქალების ბადეში რამდენიმე მნიშვნელოვანი დანაკარგია. რა თქმა უნდა, პირველ რიგში აღსანიშნავია ამ ტურნირის ხუთგზის ჩემპიონი **სერენა უილიამსი**. ამერიკელი მელბურნში კენტ წლებში (2003, 2005, 2007, 2009) იმარჯვებდა, მაგრამ 2010 წლის სეზონში ტრადიცია დაარღვია და მეხუთედ მოიპოვა ტიტული. წელს სერენა ჩემპიონობას ვერ იცავს, ასე რომ, ავსტრალიის ღიას ახალი გამარჯვებული ეყოლება.

უმცროსი უილიამსის გარდა, ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები აქვთ **ჟიე ჟენგს** (26), **ალიონა ბონდარენკოს** (36), **აგნეშ შავაის** (37), **იაროსლავა შვედოვას** (39) და **ივონ მოისბურგერს** (94). ამან კვალიფიკაციის გავლის გარეშე ძირითად ბადეში მოხვედრის საშუალება მისცა საუკეთესო ასეულის მიღმა მყოფ რამდენიმე ჩოგბურთელს.

საბოლოოდ, ძირითად ბადეში მოხვედრილ მოთამაშეთაგან მხოლოდ ორ ჩოგბურთელს აქვს მოგებული ავსტრალიის ღია პირველობა - **ჟუსტინ ანენსა** (2004) და **მარია შარაპოვას** (2008). ბელგიელმა, რომელიც შარშან დაბრუნდა დიდ სპორტში და უაილდ-ქარდის მფლობელის რანგში ავსტრალიის ღიაზე ფინალში გაალწია, ტრავმის გამო დიდი ხანი გამოტოვა, ამიტომაც მისი მზადყოფნის შესახებ არაფერია ცნობილი. პირველ ორ წრეში მას იოლი მეტოქეები შეხვდნენ - კვალიფიკაციის გამარჯვებული და **ელენა ბალტაჩა** ბრიტანეთიდან. დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ მესამე წრეში მას სერიოზული მეტოქე ეყოლება რუსი **სვეტლანა კუზნეცოვას** სახით. რუსმა სეზონებს შორის შესვენებისას მნვრთნელი შეიცვალა, ინტენსიურად ივარჯიშა, მაგრამ წლის სასტარტო ტურნირებში ბევრით ვერაფრით გამოიჩინა თავი - ორჯერ სამსეტიან ბრძოლებში ჩინელ სპორტსმენებთან დამარცხდა: ოკლენდში **შუაი პენგთან** წააგო, სიდნეიში კი მეოთხედფინალში გაალწია და მომავალ ჩემპიონ ნა ლისთან დათმო შეხვედრა.

ამის შემდეგ ანენისა და კუზნეცოვას წყვილში გამარჯვებულს ელის არც ისე რთული ჯგუფიდან საუკეთესოების - **ფრანჩესკა სკიავონეს** ან **ცვეტანა პირონკოვას** შორის უძლიერესი, მეოთხედფინალში კი ბელგიელი (ან რუსი), სავარაუდოდ, **კაროლინ ვოზნიაცკის** (1), **დომინიკა ციბულკოვას** (29), **იანინა ვიკმაიერს** (21) ან **მარიონ ბარტოლის** (15) შეხვდება.

ბადის მეორე მეოთხედს სათავეში ჩაუდგა **ვენუს უილიამსი** (4), რომელიც არც ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდა ჰონგ კონგის საჩვენებელ ტურნირზე. თუმცა უფროსი უილიამსი შარშან არ მონაწილეობდა ამერიკული ტურნირების სერიაში და მხოლოდ ახლა იკრეფს ფორმას. პირველი მეტოქეები მას არც ისე სახიფათო ჰყავს, ასე რომ, მესამე წრეში **ანდრეა პეტკოვიჩთან** (30) მატჩისთვის მომზადებას მოასწრებს. შემდეგ კი იკვეთება მარია შარაპოვასთან შეხვედრის კონტურები. თავის მხრივ, რუსი ტურნირს **ტამარინე ტანასუგარნთან** შეხვედრით იწყებს, შემდეგ **ელენა ვესნინას** ან **ვირჟინ რაზანოს** დაუპირისპირდება, ამას მოჰყვება **კაია კანეპი** (20) ან **ჯულია გორჯესი**.

ამ მეოთხედის ქვემოთ არიან სიდნეის ჩემპიონი ნა ლი (9), **არავან რეზაი** (17), **დანიელა ჰანტუხოვა** (28) და **ვიქტორია აზარენკა** (8).

მესამე მეოთხედი ყველაზე მდიდარია „ხმაურიანი“ სახელებით. აქ არის ორი სერბი - **ელენა იანკოვიჩი** (7) და **ანა ივანოვიჩი** (19), რომლებსაც პირველ წრეში მეტოქეებად **ალა კუდრიავცევა** და **ეკატერინა მაკაროვა** ერგოთ. ამავე ჯგუფშია ზემოთ ნახსენები საფინასა და კლაისტერსის (3) წყვილი. საინტერესოდ მოსჩანს **კიმიკო დატესა** და **აგნიეშკა რადვანსკას** (12) წყვილი, ხოლო **მარტინეს სანჩესისა** (26) და **გრეტა არნის** მატჩში არაფერია გარკვეული. 31 წლის არნმა ერთი კვირის წინ ოკლენდის ტურნირი მოიგო, თანაც იქ ძლიერი მეტოქეები - შარაპოვა, გორჯესი და **იანინა ვიკმაიერი** დაამარცხა. და თუ ამ კომპანიას **ალისა კლეიბანოვასა** (24) (რომელმაც სიდნეიში ნახევარფინალს მიაღწია) და **ალექსანდრა დულგერუს** (27) დავუმატებთ, სრულიად არაპროგნოზირებად სურათს მივიღებთ.

დაბოლოს, ქვედა მეოთხედში აღმოჩნდა ავსტრალიის მთავარი იმედი - **სამანტა სტოსური** (5) და რუსეთის პირველი ნომერი - **ვერა ზვონარევა** (2). მეოთხედფინალში მათ შეხვედრას შეიძლება ხელი შეუშალონ **პეტრა კვიტოვამ** (25), **შაარ პეერმა** (10), **ანასტასია პავლიუჩენკოვამ** (16), **მარია კირილენკომ** (18)...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ავსტრალიის ღია პირველობა. ქალების ბადე






| 1/64 (ბადის ზედა ნახევარი) | 1/64 (ბადის ქვედა ნახევარი) |
|---|---|
| ვოზნიაცკი (დან, 1) | იანკოვიჩი (სერ, 7) |
| დულკო (არგ) | კუდრიავცევა (რუს) |
| პაჩეკი (ავსტრია) | კ. ბონდარენკო (უკრ) |
| კინგი (აშშ) | შ. პენგი (ჩინ) |
| ჰრადეცკა (ჩეხ) | გარსია (საფ) |
| ბრიანტი (იტა) | ლეპჩენკო (აშშ) |
| კერბერი (გერ) | მორიტა (იაპ) |
| ციბულკოვი (სლვკ, 29) | დულგერუ (რუმ, 27) |
| ვიკმაიერი (ბელ, 21) | კლეიბანოვა (რუს, 24) |
| გროტი (ავსტრა) | კვალიფიკაცია |
| ჰერცოგი (სლოვენ) | კვალიფიკაცია |
| სევასტოვა (ლატ) | ჰალეპი (რუმ) |
| კვალიფიკაცია | ფერგიუსონი (ავსტრა) |
| პოუს-ტიო (ესპ) | კვალიფიკაცია |
| ბარბიერი (იტა) | დატე (იაპ) |
| ბარტოლი (საფ, 15) | ა. რადვანსკა (პოლ, 12) |
| ანენი (ბელ, 11) | პეტროვა (რუს, 13) |
| კვალიფიკაცია | პერვაკი (რუს) |
| კვალიფიკაცია | მოლიკი (ავსტრა) |
| ბალტაჩა (ბრიტ) | ვინჩი (იტა) |
| კვალიფიკაცია | კვალიფიკაცია |
| მატეკი (აშშ) | შნიდერი (შვეიც) |
| რისკე (აშშ) | მაკაროვა (რუს) |
| კუზნეცოვა (რუს, 23) | ივანოვიჩი (სერ, 19) |
| პირონკოვა (ბულ, 32) | მ. სანჩესი (ესპ, 26) |
| პარმენტიე (საფ) | არნი (უნგ) |
| ბაშინსკი (შვეიც) | კორნე (საფ) |
| ნიკულესკუ (რუმ) | კვალიფიკაცია |
| მარინო (კან) | მაკჰეილი (აშშ) |
| ნამიგატა (იაპ) | სუარეს ნავარო (ესპ) |
| პარა სანტონხა (ესპ) | საფინა (რუს) |
| სკიავონე (იტა, 6) | კლაისტერსი (ბელ, 3) |
| ვ. უილიამსი (აშშ, 4) | სტოსური (ავსტრა, 5) |
| ერანი (იტა) | დევისი (აშშ) |
| ს. ზახვალოვა (ჩეხ) | კამერინი (იტა) |
| ვორაკოვა (ჩეხ) | დუშევინა (რუს) |
| კვალიფიკაცია | გოვორცოვა (ბლრ) |
| კვალიფიკაცია | ჩაკვეტაძე (რუს) |
| კრეიბასი (აშშ) | პეერსი (ავსტრა) |
| პეტკოვიჩი (გერ, 30) | კვიტოვა (ჩეხ, 25) |
| კანეპი (ესტ, 20) | პენეტა (იტა, 22) |
| რიბარიკოვა (სლვკ) | როდიონოვა (ავსტრა) |
| გორჯესი (გერ) | დომინგეს ლინო (ესპ) |
| გალოვიტცი (რუმ) | ლარსონი (შვედ) |
| ვესნინა (რუს) | კირსტეა (რუმ) |
| რაზანო (საფ) | ლუჩიჩი (ხორ) |
| ტანასუგარნი (ტაილ) | იოჰანსონი (საფ) |
| შარაპოვა (რუს, 14) | პეერი (ისრ, 10) |
| ნა ლი (ჩინ, 9) | პავლიუჩენკოვა (რუს, 16) |
| არვიდსონი (შვედ) | ფლიპკენსი (ბელ) |
| როდინა (რუს) | ამანმურადოვა (უზბ) |
| როგოვსკა (ავსტრა) | ბაროისი (გერ) |
| ონდრაშკოვა (ჩეხ) | მ. გარიგესი (ესპ) |
| დოკიჩი (ავსტრა) | ბენეშოვა (ჩეხ) |
| ბ. ზახვალოვა (ჩეხ) | ოპრანდი (იტა) |
| რეზაი (საფ, 17) | კირილენკო (რუს, 18) |
| ჰანტუხოვა (სლვკ, 28) | საფაროვა (ჩეხ, 31) |
| კულიკოვა (რუს) | ჟანგი (ჩინ) |
| შრემი (ხორ) | ზაკოპალოვა (ჩეხ) |
| სხეპერსი (ს. აფრ) | ოუდინი (აშშ) |
| ახლაიტნერი (ავსტრია) | იოვანოვსკი (სერ) |
| ჰლავაჩკოვა (ჩეხ) | ჩანგი (ტაივ) |
| კვალიფიკაცია | ბამერი (ავსტრია) |
| აზარენკა (ბლრ, 8) | ზვონარევა (რუს, 2) |

| 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2 |
|---|---|---|---|---|

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირის ბოლოს



ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ლებრონის გარეშე არ გამოდის

სტუმრად ზედიზედ 13 გამარჯვების შემდეგ გასვლაზე მიყოლებით ორი მატჩი წააგო „მაიამი ჰიტმა". მაგრამ თუ წინა შეხვედრაში „კლიპერსთან" მარცხი სენსაციად მოინათლა, გუშინ „დენვერთან" წაგება მოულოდნელი არ ყოფილა. საქმე ისაა, რომ ფლორიდელებს აკლდათ **ლებრონ ჯეიმსი**, რომელსაც ფეხის მცირე ტრავმა აწუხებდა და ექიმებმა ზედმეტი გართულებისგან თავი დაიზღვიეს. ჯეიმსის ნაცვლად „მაიამის" სასტარტოში... **ჯეიმსი** გამოჩნდა, გვარად **ჯონსი**. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ამ გადაადგილებას სტუმრებისთვის ხეირიანი არაფერი მოუტანია. მართალია, იგივე ჯონსი, **ჰაუსი** და **ჩელმერსი** შორიდან კარგად ისროდნენ (10 ზუსტი სამქულიანი 19-დან), მაგრამ ეს ერთადერთი ნათელი წერტილი იყო „ჰიტის" თამაშში. დანარჩენ შემთხვევებში, The Heatles-ის შეტევა არაფრად ვარგოდა. მხოლოდ პირველ მეოთხედში იყო თანაბარი თამაში, ამის შემდეგ კი „დენვერმა" ძალიან სწრაფად დაიწყო ანგარიშის გაზრდა. მესამე მეოთხედის მეოთხე წუთისთვის სხვაობა უკვე 20 ქულა იყო, კიდევ ოთხი წუთის შემდეგ კი ფავორიტი დამამცირებელი 30 ქულით აგებდა. ერთადერთი, რაც ფლორიდელებმა ბოლოს მოახერხეს, სამარცხვინო განადგურებას გადაურჩნენ.

■ ■ ■

გაცილებით საინტერესო აღმოჩნდა „ოკლაჰომასა" და „ორლანდოს" მატჩი. „ჯადოქრებმა" წინა დღეს „ნიუ ორლეანის" წინააღმდეგ 31 სამქულიანი შეასრულეს, მაგრამ ამ ტაქტიკამ მათ წარმატება ვერ მოუტანა. „ოკლაჰომა" „ჰორნეტზე" ძლიერი გუნდია და მასთან მხოლოდ შორეული ტყორცნებით ფონს გასვლა კიდევ უფრო არარეალური ჩანდა. ეს „ორლანდოს" დამრიგებელ **სტენ ვან განდისაც** კარგად ესმოდა, ამიტომაც პირველ მეოთხედში მისმა შეგირდებმა „მხოლოდ" 7 სამქულიანი ესროლეს და აქედან სამი ჩააგდეს. თუმცა ამან სტუმრებს დიდად არ უშველა - „ოკლაჰომა" დამაჯერებლად აკონტროლებდა თამაშს.

მეორე მეოთხედში სტუმრებმა უკვე 10-ჯერ გაისროლეს შორიდან და ისევ მაღალი პროცენტით (5 ზუსტი სროლა). ქულათა სხვაობა ოთხამდე შემცირდა, მაგრამ სტუმრები ვერაფრით დაეწივნენ მეტოქეს. ფლორიდელთა რიგებში საუკეთესო იყო **დუაიტ ჰოვარდი**, რომელიც პარტნიორების გაფუჭებული საქმის გამოსწორებით იყო დაკავებული. ფინალური სირენისთვის „სუპერმენს" ბრწყინვალე სტატისტიკა ჰქონდა - 39 ქულა, 18 მოხსნა და 2 დაფარება. მაგრამ რაც ყველაზე საოცარია, მან ამ დღეს 20-დან 17 საჯარიმო ჩააგდო!

სწორედ თავისი ცენტრის მონდომებით გაძლო ბოლომდე „ორლანდომ" და გამარჯვების შანსიც ჰქონდა. **ჰედო თურქოგლუსა** და **ჯამირ ნელსონის** ზუსტი ტყორცნებით საფინალო სირენამდე 32 წამით ადრე სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა - 119:121. მაგრამ იქვე მეტოქის აქტიურობას **კევინ დურანტმა** მშვიდი და რაც მთავარია, ზუსტი თამაშით უპასუხა. დურანტმა მატჩის გმირის სტატუსი **რასელ უესტბრუკთან** გაიყო, რომელმაც კარიერაში მეოთხე სამმაგი დუბლი შეასრულა.

**მინესოტა-ვაშინგტონი 109:97**

**28:18, 27:30, 27:30, 27:19**

**მ:** ლავი (35+11 მოხსნა), რიდნური (16+9 პასი), მილიჩიჩი (14+11 მოხსნა), ელინგტონი (11+7 მოხსნა+5 პასი), უებსტერი (11), ბრიუერი (10).

**ვ:** ლუისი (19+5 მოხსნა), ჰაინრიხი (18+5 პასი), იანგი (15), უოლი (14+10 პასი), ტორნტონი (14).

**ოკლაჰომა-ორლანდო 125:124**

**35:27, 29:33, 32:26, 29:38**

**ოკლ:** დურანტი (36), უესტბრუკი (32+13 პასი+10 მოხსნა), კრსტიჩი (16+11 მოხსნა), გრინი (12+6 მოხსნა).

**ორლ:** ჰოვარდი (39+18 მოხსნა), რიჩარდსონი (19), რედიკი (18), ანდერსონი (15+5 მოხსნა).

**დენვერი-მაიამი 130:102**

**26:23, 34:20, 38:25, 32:34**

**დ:** სმიტი (28+7 მოხსნა), ენტონი (21+5 მოხსნა), ნენე (17+9 მოხსნა), აფლალო (14), ლოუსონი (13), ელი (10), ჰარინგტონი (10).

**მ:** ბოში (24+6 მოხსნა), უეიდი (16), ჰაუსი (15), ჩელმერსი (14), აროიო (10).

ცურვა

# ლონდონისთვის მზადება დაწყებულია

14-გზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მაიკლ ფელპსმა** ოფიციალურად გამოაცხადა, რომ დაიწყო მზადება ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადისთვის. წლინახევრიანი გეგმის პირველი ეტაპი იქნება ტურნირი Austin Grand Prix, რომელიც ტეხასის შტატში გუშინ გვიან ღამით დაიწყო. ფელპსისთვის ეს გახლავთ პირველი ოფიციალური შეჯიბრი 2010 წლის აგვისტოს შემდეგ.


ფელპსი ისევ აუზშია

სპორტსმენის სიტყვებით, ახლა მისი მთავარი ამოცანა ტურნირებში დაბრუნება და „წყლის ხელმეორედ შეგრძნებაა". თავისი ბოლო ვარჯიშები ფელპსმა დადებითად შეაფასა.

რაც შეეხება ლონდონის ოლიმპიადას, ფელპსის თქმით, დარჩენილი წელიწად-ნახევარი ძალიან მალე გავა. „ახლა არც კი მჯერა, რომ პეკინის თამაშების შემდეგ ორწელიწად-ნახევარი გავიდა", - დაამატა მაიკლმა.

25 წლის ფელპსი ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენია. აქამდე არავის მოუგია ერთ ოლიმპიადაზე რვა, ჯამში კი 14 ოქროს მედალი. მაიკლი 2004 წლის თამაშებზე ექვსგზის ჩემპიონი გახდა, 2008 წელს კი რვა დისციპლინა მოიგო.

ავტოსპორტი. დაკარი 2011

# ჩემპიონის ფიასკო

## დაკარზე არგენტინელი პილოტი დაიღუპა

რალი-რეიდ „დაკარის" მე-11 ეტაპმა კიდევ უფრო მოაახლოვა მიმდინარე ლიდერთა ტრიუმფი. მანქანების კლასში, ალბათ, უკვე მილოცვებს იღებს „ფოლკსვაგენის" პილოტი **ნასერ ალ-ატიია**. მისმა კონკურენტმა და ჯერ კიდევ მოქმედმა ჩემპიონმა **კარლოს საინსმა** მიიჩნია, რომ მეორე ადგილი მას არ შეეფერებოდა, ამიტომაც მე-11 ეტაპზე ვა-ბანკზე წავიდა და ამისთვის დაისაჯა კიდეც - ესპანელი გზიდან გადავარდა და მის „ფოლკსვაგენს" წინა დაკიდება გაუტყდა. პრობლემის გამოსასწორებლად საათზე მეტი დაიკარგა და ეს ყველაფერი საინსს გენერალურ კლასიფიკაციაში მეორე ადგილის დაკარგვად დაუჯდა.

ეტაპი კი ალ-ატიიამ მოიგო, რომლის უახლოესი მდევარი საერთო ჩათვლაში მეორე თანაგუნდელი **ჟინიელ დე ვილიერსი** გახდა, ოღონდ სამხრეთაფრიკელი დიდი ხანია აღარ მიიჩნევა კატარელის კონკურენტად, რადგან მათ შორის სხვაობა 51 წუთს შეადგენს. ასე რომ, ალ-ატიიას შეუძლია არ გარისკოს და მშვიდად ჩავიდეს ბუენოს აირესში, სადაც პირველად იზეიმებს დაკარზე გამარჯვებას.

მოტოციკლთა კლასში ისევ ორი ლიდერის - **მარკ კომასა** და **სირილ დეპრეს** დომინირება შეიმჩნეოდა. ფრანგი დეპრე არ ნებდება და ყველანაირად ცდილობს წინა ეტაპებზე დაკარგულის ანაზღაურებას, თუმცა კომა შეცდომებს არ უშვებს. ესპანელს სწორი ტაქტიკა აქვს არჩეული - არ რისკავს და მშვიდად მიიწევს დაკარზე თავისი მეორე ტრიუმფისკენ.

დეპრემ მოიგო მე-11 ეტაპი, მაგრამ საერთო ჩათვლაში თავის ჩამორჩენას მხოლოდ 2 წუთი და 11 წამი ჩამოაკლო. ასე რომ, ახლა კომასა და დეპრეს შორის სხვაობა 16 წუთს უდრის.

■ ■ ■

მე-11 ეტაპი ტრაგიკული შემთხვევით აღინიშნა. წლევანდელი რალის პირველი მსხვერპლი გახდა 42 წლის პილოტი **მარსელო რეალესი**, რომლის მანქანასაც კონკურენტის ავტომობილი შეეჯახა და ეს ავარია არგენტინელისთვის ფატალურად დასრულდა.

*„ინციდენტი ფინიშამდე 30 კილომეტრით ადრე მოხდა, - წერენ ოფიციალურ განცხადებაში ორგანიზატორები. - პილოტი ადგილობრივ ჰოსპიტალში გადაიყვანეს, მაგრამ სამწუხაროდ, ექიმებმა ვერ შეძლეს მისი გადარჩენა".*


საინსმა ყველა შანსი დაკარგა

**XI ეტაპი**

**მანქანები**

1. **ალ ატიია** (კატარი, „ფოლკსვაგენი") - 4:17.27; 2. **პეტერანსელი** (საფრანგეთი, BMW) - +1.13; 3. **დე ვილიერსი** (ს. აფრიკა, „ფოლკსვაგენი") - 4.52; 4. **ჰოლოვჩიკი** (პოლონეთი, BMW) - +13.17; 5. **ლეალ დოს სანტოსი** (პორტუგალია, BMW) - +27:13...

**საერთო ჩათვლა**

1. **ალ ატიია** (კატარი, „ფოლკსვაგენი") - 38:16.01; 2. **დე ვილიერსი** (ს. აფრიკა, „ფოლკსვაგენი") - +51.49; 3. **საინსი** (ესპანეთი, „ფოლკსვაგენი") - +1:27.27; 4. **პეტერანსელი** (საფრანგეთი, BMW) - +1:40.45; 5. **ჰოლოვჩიკი** (პოლონეთი, BMW) - +4:02.54...

**მოტოციკლები**

1. **დეპრე** (საფრანგეთი, KTM) - 4:33.13; 2. **კომა** (ესპანეთი, KTM) - +2.11; 3. **ლოპეს კონტადრო** (ჩილე, Aprilia) - +6.19; 4. **როდრიგესი** (პორტუგალია, „იამაჰა") - +7.44; 5. **დუკლო** (საფრანგეთი, Aprilia) - +10.03...

**საერთო ჩათვლა**

1. **კომა** (ესპანეთი, KTM) - 43:14.55; 2. **დეპრე** (საფრანგეთი, KTM) - +15:59; 3. **ლოპეს კონტადრო** (ჩილე, Aprilia) - +49.24; 4. **როდრიგესი** (პორტუგალია, „იამაჰა") - +1:35.10; 5. **პედრედო გარსია** (ესპანეთი, KTM) - +2:42.55...

ჩოგბურთი

# სენსაცია ჩინელისგან

სენსაციურად დასრულდა სიდნეიში ქალთა ტურნირი, რომელიც ავსტრალიის ღია პირველობის ბოლო რეპეტიცია გახლდათ. აღიარებულმა ფავორიტმა **კიმ კლაისტერსმა** ორ სეტში დათმო გადამწყვეტი მატჩი ჩინელ **ნა ლისთან** - 6:7(3), 3:6.

პირველ სეტში მოვლენები უცნაური სცენარით განვითარდა. მატჩი ისე დაიწყო, რომ ბელგიელის საბოლოო გამარჯვებაში ეჭვი არავის არ უნდა შეპარვოდა. კიმი 5:0 დაწინაურდა და ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ნა ლიმ არათუ ანგარიშის გათანაბრება, არამედ სეტის მოგებაც კი მოახერხა. კლაისტერსი ვერც მეორე სეტში ბრწყინავდა და მხოლოდ სამი გეიმი აიღო. ბელგიელმა საერთო ჯამში 27 უნებლიე შეცდომა დაუშვა და ამ წაგებით დაკარგა რეიტინგის მეორე საფეხურზე ასვლის შანსი.

შარშანდელ უიმბლდონზე მარცხის შემდეგ, კლაისტერსმა ჯამში 30-ე შეხვედრა ჩაატარა და მხოლოდ მესამედ დამარცხდა. ამ დროის განმავლობაში მან ამერიკის ღია პირველობისა და წლის შემაჯამებელი ტურნირის მოგება მოასწრო. სწორედ ამიტომაც მიიჩნეოდა ის გუშინ ფავორიტად, თუმცა ნურც ის დაგვავიწყდება, რომ შარშან, ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში ორი ჩინელი ჩოგბურთელი გავიდა და ერთ-ერთი სწორედ ნა ლი იყო. მატჩის შემდეგ კიმმა შეაქო მეტოქე და განაცხადა, რომ ლის ყველა თვისება აქვს უახლოეს მომავალში „დიდი სლემის" ტურნირზე გასამარჯვებლად.

ნა ლიმ კარიერაში მეოთხე ტიტული მოიგო. დღეს ის მე-11 ჩოგანი გახლავთ, თუმცა გუშინდელი გამარჯვებით WTA-ის კლასიფიკაციის საუკეთესო ათეულში შეაბიჯებს. სიდნეიში პირველობისთვის ჩინელმა 103 ათასი დოლარი და 470 სარეიტინგო ქულა მოიპოვა.


ჩინელმა სეზონი სენსაციით დაიწყო

ავტოსპორტი

# დიდი დუელი იქნება?


ალონსო და როსი

რამდენიმე წლის წინ ლეგენდარულმა იტალიელმა მოტომრბოლმა **ვალენტინო როსიმ** საინტერესო დუელი შესთავაზა ესპანელ ავტომრბოლ **ფერნანდო ალონსოს**. სპორტსმენები მოტოგრანპრის მოტოციკლით, ფორმულა 1-ის ბოლიდითა და რალის მანქანით უნდა შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, სამი ცდის შედეგებს შეაჯამებდნენ და ასე გამოავლენდნენ საუკეთესოს. მაშინ ესპანელმა უარყო როსის წინადადება, მაგრამ ორი დღის წინ, „ფერარისა" და „დუკატის" მრბოლელთა ყოველწლიურ შეხვედრაზე ფერნანდომ არ გამორიცხა ასეთი დუელის ჩატარება...

*„გასულ წელს კარგად გავიცანით ერთმანეთი, როცა ის მარანელოში მოვიდა თავისი „ფერარის" წასაყვანად, - განაცხადა ალონსომ. - ვალენტინო კარგი ბიჭია, მისი კარიერა კი თავად მეტყველებს ყველაფერზე: მსოფლიოს ჩემპიონის ცხრა ტიტული. ის ისტორიაში საუკეთესო მოტომრბოლია და მისი შედეგის გამეორება ძალიან რთული იქნება. როსის მთელ მსოფლიოში გულშემატკივრობენ და ეს არც არის გასაკვირი: ვალენტინო რბოლებით ცხოვრობს და ტიტულის მეათედ მოგების დიდი სურვილი აქვს.*

*ჩვენ შორის დუელი? ჯერ კონკრეტულად არაფრის თქმა არ შემიძლია, მაგრამ, შესაძლოა, 2011 წლის სარბოლო სეზონის შემდეგ მოვამზადოთ ასეთი სიურპრიზი".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**